

საბჭოთა ხელოვნება

СОВЕТСКОЕ
ИСКУССТВО
SOVIET
ART
SOWJETKUNST
ЯРТ
SOVIETIQUE



1970

საქართველო ხელოვნება




თემი
მუსიკა
მხატვრობა
კინე
არეალისტიზმი
ერევანის համա



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-კოლექტიվური,
ლიტერატურულ-მხატვრული, მეცნიეրულ-თეოրիუլი պուլიტრობი შუրნალი

1970



ფ. მარელაშვილი.

რეოლუციის ბელადი



ზ. ლეშავა.

კაცობრიობის მომავლისათვის

ვლადიმერ
ილიას ძე
ლენინის
დაბადების
100 წლისთავისადმი
მიძღვნილი
საქართველოს
მხატვართა
საიუბილეო
გამოფენიდან

ლ ე ნ ი ნ უ რ ი

გ ა მ ა რ პ ე ბ ი ს

გივი ბოჭკუა

მოსკოვის რადიოსადგურმა 1935 წელს თხოვნით მიმართა თავის საზღვარგარეთელ მსმენელებს ეპასუხათ კითხვაზე: ვინ მიაჩნიათ ყველაზე დიდ ადამიანად მათ შორის, ვისი სახელებიც შემოინახა კაცობრიობის ისტორიამ.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მშრომელებისაგან მოვიდა ასობით პასუხი. აი ზოგიერთი მათგანი:

პასუხი ბელგიიდან — „ლენინი. მან 7 წლის განმავლობაში უფრო მეტი სიკეთე ქნა, ვინემ მსოფლიოს ყველა დიდმა ადამიანმა ოცი საუკუნის განმავლობაში“.

პასუხი ქსპანეთიდან — „ლენინი. მუშათა კლასს მუდამ ეყვარება იგი როგორც თავისი ბელადი და განმათავისუფლებელი“...

პასუხი ინგლისიდან — „ლენინი უდიდესი ფიგურაა ისტორიაში, რადგან იბრძოდა მუშათა მსების გასათავისუფლებლად, მან გააკეთა უდიდესი საქმე მათ შორის, რაც თდესმე გაუკეთებია ადამიანს“.

და ეს მოხდა 35 წლის წინათ, როდესაც დიდი ლენინის მოძღვრება ჯერ კიდევ კარგად არ იყო ცნობილი მსოფლიოს მრავალ კუთხეში, როდესაც ლენინის მიერ შექმნილი პირველი სოციალისტური ქვეყანა გოლიათური ნაბიჯებით მავალ, მაგრამ მაინც ჭაბუკად გამოიყურებოდა, ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გაემარჯვნა სოციალიზმს ერთ ქვეყნაშიც კი. მაგრამ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მესაჭის სახელი იმედად და ხსნად ესახებოდათ იმ ადამიანებს, რომლებიც პირადად ან საქმით იცნობდნენ მსოფლიო პროლეტარიატის გენიალურ ბელადს.

მას შემდეგ მესამედ საუკუნეზე მეტმა განვლო. ლენინის მიერ შექმნილ საბჭოთა ქვეყანაში საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმი და წარმატებით შენდება კომუნისტური საზოგადოება; მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იყვავილა მარქსის, ენგელსის, ლენინის ბრძნულმა ნააზრევმა — შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა; წინათ ჩამორჩენილი,

ՈՇԵԱՑՈ—

ՑԿԱ

նոնմա օվոնասֆարմետպազլա. օսոնո դարվիմենքնեն, հռմ մարշնօնմ-լցնոնօնմո մթրոմըլո եալոծու օգյոռողաւա დա մեռ-
լու մուս գամոպյենքծոտ Շցուլցի կապուտալունմուս սածո-
լու դամարպէցի, մռնոծուս დա մեցպար յյևսպլուարպուս
շուլուս գագացցի, սռպուլունմուս დա կռմշնօնմուս մթյ-
նցծլունի.

մ. օ. կալունոն ամծոծծու: „հիշն, ծոլմըյուցի, տայմժա-
ծալո եալու զարտ, արա զարտ դամիպրոծլցի, մացրամ մանց
զոյիշրոծու, հիշնո օգյուտու դացուպրու մսուլուու... յը
վոնասֆարմետպազլապ աեճա, զոնաօճան կռմշնօնսիւցի ելու-
մծլուանցլունի մարշնօնմ-լցնոնօնմուս — պայլաչյ մար-
տալո, սամարտլուն დա պայլուսմծլու մյբնոյըրցի օգյ-
նցիտ.

րապ դրո գագուս, լցնոն սակելո սւլ պայրո პուլ-
լարուլո, սապարյու დա մթոծլուրո եցի պայլա մայ-
նուս մթրոմըլունմուսատզուս. ամուրու ոյո, հռմ մտյուլո մսու-
լուս մովոնաչյ կապոծրոծու գուլմուցունյ յմհագցիուն-
գ. օ. լցնոն դաձացցի 100 վլուստազուս ալսանոշնացա-
դ.

րոտո դամսաթշրա լցնոնմա մսուլուու ալուրյինի?

օմուտո, հռմ ման, արա ու սաշեցիտ գաօշուարա մարշնօսա
დա յնշելսուս յընուալուրո մոմցրունի პրոլետարուակուս օս-
տորուու րուլուս Շըսակեծ, արամեց մուս գանեռուպուլցի
տազուսու ցեռուրյունու պրոցրամագ դասաւա. լցնոնմա կուրց
պայրո գաալրմացա մարշնօնմու დա աեալ սապյեշրչյ այցանա
ոցո.

րոցորպ ցնոծուուա, մյ-19 սապյենուս ծոլուս մսուլուու
րյըուլուցուրո մոմրամծուս ցյունտրմա დասավլու յըրուպունա
րույտու զամունացլա, րյուսետո զակծ լցնոնունմուս սամ-
շոծլո. ծյուրյաչուլու մյբնոյըրցի վարմոմագցենցլցի
յուցլունուս ցուլունին յըրումանցուսացան զայտումատ մար-
շնօնմու დա լցնոնունմու. օսոնո „ամթիուցենին“, հռմ լցնո-
նունմո զովրո, մեռլուր րյուսետուսատզուս մոսարցցի մոցլու-
նա დա մաս ար Շըուլցի ձյունցու մսուլուու րյունունսու.
ծյուրյաչունուս օգյուլուցի տազուն նածուցարշու յըրումանց-
տսապ կո շըուրուսպուրյենին մարշնօնմուս დա լցնոնունմու. մաց-
րամ յը մթուլուր ծոլուուու զուլուուու սկուլ շըեցլուցի տա սօսեմա
աեալ յըոյեածու. օցո մարշնօնմուս որցանուլո գացրմէլցի
զանցուարյին დա, թամասացամյ, ցանյուուցլու մուսան. սկյէ
ցյունտրալուրո յոմուրյուտու ուշուսեցի „ըլագումյուր ունուս
մյ լցնոնուս դաձացցի 100 վլուստազուսատզուս“ նատյուամու:
„լցնոնունմո օմերուալունմուս დա პրոլետարու ըըրու-
լուցուատա յըոյես, կռլոնուալունմուս մեցրցուս დա յըրու-
նուլ-ցանմատազուսպազլուցի մոմրամծուատա ցամարչցցիս յըո-
յիս, կապուտալունմուն սռպուլունմշ յապոծրոծուս ցագա-
ցլուս დա կռմշնօնսպուրո սաշոցագուցի մթյենցլունմուս մար-
շնօնմու.“ օստորուու սօնամցուլյ սացեցիտ დաագասկու-
րա, հռմ մարշնօնստուլ-լցնոնուրո մոմցրու մսուլուու
մնունցլունմուս մոցլունա დա մաս ցըրց ցըր այցլուս
մյատա կլասու ցլուերածտան յըրտագ, ցըրց ցըր այցլուս
ցըրց յըրու յըյան, րոյլուու մուսարցցի դաացց սռ-
պալունմուս დա կռմշնօնմուս մթյենցլունմուս ցիսա.

դաձեիացի յըրու յառլոնուալուրո յըյանցի դաացնյ ցանցո-
տարյին արագածութալուսթիւր ցնաւ.

աելա մարշնօնմ-լցնոնունմուս օգյունու սւլ պայրո մուսաչ-
ցուու եցի մուլու մսուլուուս մթրոմըլո մասեցիսատզուս. ունեսկուս մռնացյունիտ լցնոն մռումը յըբռուր յնաչյ
տարյենու վոչնեցի մռուս ձորցը լուցու մսուլուումու
დա տույմուս նացեցար մոլուարդ գուրայամց ալիշը.

այշամագ հիշնո ծալանցի նյիսումոյր մեսարյի մթունու-
ր յնաչյ յուտեսլունի ցլագումյ օլուս մուս նաշամու-
նին. դա արա մարտու յուտեսլունի, արամեց լումագ սվա-
լունի, օմիկուալունիտ լցնոնունմուս յոցլուսմծլու օգյուտու.
օգյունու կո, — լցնոն տյմու, — մատյրուալուր մալագ
ոյւցուան, րոպա օսոնո մասեցի յըուլունիտ.

սաձուուա սակելոմիու օգյուտու մուլու սռպուլուսթիւր սօս-
տիմուս մացալուտչյ մսուլուուս եալեցիմ տալունատլու նա-
կես, հռմ օստորու սվորյ օսու յուտարցի րոցորպ լց-



ლენინი წითელ მოედანზე



ი. ბროდსკი.

ვ. ი. ლენინი სმოლნში

ლენინმა თავისი ფასდაუდებელი შრომებით განავითარა და გაამდიდრა მარქსიზმის სამიერე შემადგენელი ნაწილი — ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომიკა და მეცნიერული კომენიზმიც. მარქსმა და ენგელსმა სოციალიზმი უტოპი-იდან მეცნიერებამდე აიყვანეს, ლენინმა კი თეორიულადაც გაამდიდრა იგი და პრაქტიკულადაც შეასხა ხორცი.

ვ. ი. ლენინის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ მან შექმნა ახალი ტიპის მტკიცე, უაღრესად ორგანიზებული კომუნისტური პარტია, რომლის უშუალო ხელმძღვანელო-

ბით შეიძლება კაპიტალიზმის დამხობა, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა.

ლენინი იყო ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომლის გამარჯვებითაც შეიქმნა ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში.

ვლადიმერ ილიას ძემ შექმნა პირველი სოციალისტური სახელმწიფო და თავად ჩაუდგა სათავეში სოციალიზმის მშენებლობას. მისი ბრძნული ხელმძღვანელობით სასტიკი

დამარცხება იწვნია ახალშობილი ქვეყნის ურიცხვმა გარეშე და შინაურმა მტკრმა.

ლენინი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც პრაქტიკულად შეიმუშავა სოციალიზმის გამარჯვებისათვის აუცილებელი გეგმა, რომლის ძირითადი მხარეებია ქვეყნის ელექტროფიკაცია და ინდუსტრიალიზაცია; სოფლის შეუნეობის კოოპერაცია; კულტურული რევოლუცია.

კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნით ლენინი სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო მუშათა და კომუნისტურ მოძრაობას. იგი ატეიურად იბრძოდა იმისათვის, რომ ახალგაზრდა კომუნისტური პარტიები სწორი გზით წასულიყვნენ და თან გაეყოლებინათ მუშათა კლასი და გლეხობა. იგი თავდადებით იბრძოდა ყოველგვარი მემარჯვენე თუ „მემარცხენე“ გადახრების წინააღმდეგ, დაუნდობლად აპრიტიკებდა კომუნისტური ნიღბით მოვლენილ ცრურების ციონერებს, რომლებიც ცდილობდნენ პარტიის შესუსტებას, გათიშვას, იდეურ გახრწნას. ბელადი ყოველთვის მოუწოდებდა კომუნისტებს ებრძოლათ ნაციონალიზმის წინააღმდეგ, შეესრულებინათ პროლეტარიატის ინტერნაციონალური მოვალეობანი. ვლადიმერ ილიას ძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ეროვნულ ღირსებებს, მაგრამ იგი ეროვნულ ინტერესებზე მაღლა აყენებდა კლასობრივ ინტერესებს.

სოფლით პროლეტარიატის ბელადის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა უდიდესი გმირობის ბრწყინვალე ნიმუშია. ლენინმა თავისი გენიალური შრომების სახით კაცობრიობას დაუტოვა უმდიდრესი ლიტერატურული და დოკუმენტური მემკვიდრეობა. ილიჩის შრომები მარქსისტული აზროვნების ფასდაუდებელი საგანძურო, ჩვენი პარტიის, ხალხის, მთელი კომუნისტური მოძრაობის მძლავრი იდეური იარაღია. მის სიბრძნეს მწყურვალებით წერაფება ყველა, ვისაც სურს ცოდნის შეძენა, მეცნიერების მწვერვალების დაპყრობა, მათი გამოყენება უკეთესი მერმისის შესაქმნელად. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ — მშრომელები ცოდნას ეტანებიან იმიტომ, რომ ის აუცილებელია მათი გამარჯვებისათვის.

ლენინი თავის შრომებში, წერილებში, მოხსენებებსა და სიტყვებში დიდ ყურადღებას უთმობდა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს. საკმარისია გავიხსენოთ მისი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, სტატიები ლევ ტოლსტოის წემოქმედების შესახებ, წერილები მაქსიმ გორკისადმი და სხვა, რომ ნათელი გახდეს მისი პრინციპული დამოკიდებულება ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი. ხელოვნება, — წერდა ილიჩი, — ვკუთვნის ხალხს. მას ღრმად უნდა ქვენდეს გადგმული ფესვები თვით ფართო მშრომელ მასებში... მან უნდა გააერთიანოს ამ მასების გრძნობა, აზრი და ნება, აამაღლოს ისინი. მან უნდა გააღიძოს მათში მხატვრები და განავითაროს ისინი.

უმსაქურებოდეს ხალხს, ეხმარებოდეს ახალი ცხოვრების შესაქმნელად, უნერგავდეს მას სოციალიზმის იდეებს — აი, რაში ხედავდა ლენინი ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივ როლს. ჩვენს სინამდვილეში ლიტერატურამ

და ხელოვნებამ, რომლის ძირითადი მეთოდია სოციალისტური რეალიზმი, უნდა გახსნას კომუნიზმის მშენებელი ადამიანის სულიერი სამყარო, მთელი სიგრძე-სიგანით ასახოს თანამედროვეობა, ჩაწვდეს საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსში, ეხმარებოდეს მშრომელ ხალხს კუთვნილი ადგილის დასაკავებლად კომუნიზმის იდეალებისათვის ბრძოლის ფერხულში.

ლენინის მიერ გამოწროთობილმა კომუნისტურმა პარტიის აღზარდა მთელი პლეადა შემოქმედებითი ინტელიგენციისა, შესანიშნავი ოსტატები ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის. მათ შორის არიან ქართველი მწერლები და ხელოვნების მუშაკები, რომელთაც იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში. ბევრმა მათგანმა ღირსეულად დაიმსახურა საერთაშორისო აღიარება, ლენინური და სახელმწიფო პრემიები. ქართველ მწერლებს, მსახიობებს, მუსიკოსებს, მოცეკვავებს, მხატვრებს თავიანთი ხელოვნებით მრავალგზის მოუჯადოებიათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა. სწორედ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნიადაგზე შესძლო ქართველმა ხალხმა გამოევლინა თავისი დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

საბჭოთა საქართველოს ხელოვნების მუშაკებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მოძმე რესპუბლიკების, სოციალისტური ქვეყნების თუ საზღვარგარეთის სხვა ხალხებთან. გავისსენოთ თუნდაც გასული წლის ღონისძიებანი. დიდი წარმატება ხვდა წილად ქართული ლიტერატურის დეგადას უპრაინაში; ზ. ფალიაშვილის სახლობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა გასტროლები გამართა პოლონეთში; ორი ხალხის შეგობრობის ტრიუმფად იქცა საქართველოს კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში; საზღვარგარეთ მართავდა კონცერტებს საქართველოს მრავალი მხატვრული კოლექტივი...

ვ. ი. ლენინი ხშირად მიუთითებდა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის აუცილებლობაზე. ამ მხრივ დიდი სარგებლობა მოაქვთ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ამხ. ვ. პ. მუავანაძე სიამაყით წერდა ამას წინათ ურნალ „კომუნისტი“-ში: „დნეპლია გადაჭარბებით შეაფასო ის წვლილი, რომელიც შეაქვთ ინტერნაციონალურ აღზრდაში საქართველოს შემოქმედებითს გავშირებსა და ორგანიზაციებს. ისინი ფართო პროპაგანდას უწევენ სსრ კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების მოძმე ხალხთა მხატვრული ლიტერატურის, თეატრალური, მუსიკალური და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებს. ხალხთა მეცნიერობის შესანიშნავ დღესასწაულად იქცა 1966 წელს გენიალური ქართველი პოეტის, მოაზროვნისა და პუმანისტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღესასწაულები“.

თანამედროვე პირობებში, როდესაც საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს კომუნიზმს,

წყვეტს რთულ ეკონომიურ და სოციალურ პრობლემებს, კი-დეგ უფრო იზრდება ლიტერატურისა და ხელოვნების როლი. მწერლები, კომპოზიტორები, თეატრისა და კინოს შემსაკები, მსატვრები მოწოდებული არიან შექმნან ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც გაამდიდრებენ ახალი საზოგა-დოების მშენებელთა სულიერ სამყაროს, მათ უნდა შეიტანონ ხალხში კომუნისტური იდეაბი, დააგამაყოფილონ მშრო-მელთა მზარდი ესთეტიკური მოთხოვნილებანი.

წარმატებანი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითა-რებაში დამკიცებულია უპირველეს ყოვლისა პარტიული ორგანიზაციების მიზანსწრაფულ იდეურ-პოლიტიკურ მუ-შაობაზე, ამ მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ფრონტისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაზე. ვ. ი. ლენინი ყოველთვის მიუთითებდა პარტიულ ხელმძღვანელობაზე, როგორც აუ-ცილებელზე ჩვენს ყოველგვარ შრომითს საქმიანობაში. პარ-ტიული ხელმძღვანელობა ლიტერატურისა და ხელოვნები-სადმი უზრუნველყოფს მათს მაღალ იდეურობას, შეური-გებლიბას ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოხდომებისადმი, კლასობრივ, პარტიულ მიდგომას შემოქმედების შეფასები-სას, მომთხოვნელობით დამოკიდებულებას მხატვრული ოს-ტატობის სრულყოფისათვის.

სკპ ყოველთვის მოითხოვდა და მოითხოეს ინტელიგენ-ციისაგან, რათა გან მასებში შეიტანოს კომუნისტური პარ-ტიის იდეები, დაქმაროს მას იმ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური პრობლემების გადაწყვე-ტაში, რომელიც დღის წესრიგში დგას. ქართველი მწერ-ლები და ხელოვნების მუშაკები სწორედ ამ გაგებით წარ-მართვენ თავიანთ საქმიანობას, რითაც დიდ დახმარებას უწევენ საქართველოს კომპარტიის იდეოლოგიურ მუშა-ობაში. ისინი ადანთებენ ადამიანებს გმირული შრომისა-თვის. ქართველ შემოქმედთათვის ნათელია, რომ კომუ-ნისტური პარტია ყოველთვის დაუჭრს მხარს ისეთ ლი-ტერატურასა და ხელოვნებას, რომელიც განამტკიცებს კო-მუნისტურ რწმენასა და იდეალებს, ამავე დროს პარტია შე-ურიგებლად ებრძების ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველ-გვარ გამოვლინებას, ცილისწამებას საბჭოთა ხალხის, მისი ცხოველისადმი. სწორედ ამიტომ ქართველი მწერლები და ხელოვნების მუშაკები დაუღალავად ეძიებენ ახალ, ეფექ-ტურ გამომსახველობით საშუალებებს რთული და მჩქეფა-რე დღევანდელობის სრულყოფილად ასახვისათვის.

ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილე-სათვის გულმოძგინედ ემზადებოდა მთელი მსოფლიოს მო-წინავე საზოგადოებრიობა. დიდი მუშაობა გაჩაღდა ჩვენს რესპუბლიკაშიც. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ-მა კომიტეტმა სპეციალური პლენური უძღვნის შემდეგ ამ დიდი იუ-ბილესადმი მზადების მიმდინარეობას. საქართველოს პარ-ტიულმა, საბჭოთა, შემოქმედებითმა და სხვა ორგანიზაცი-ებმა შეიმუშავეს კონკრეტული გეგმები დიდი ბელადის იუბილეს ღირსეულად ჩატარებისათვის. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მთელი რესპუბლიკა დადგა ლენინურ შრომითს ვახტაზე, რათა ხუთწლედის გეგმა შეს-რულდეს 1970 წლის 7 ნოემბრისათვის, ხოლო შრომის ნა-

ყოფიერების გადიდების დაგალება — ვლადიმერ ილიას ძის დაბადების 100 წლისთავისათვის.

იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გა-უმჯობესების მიზნით განხორციელდა მრავალი საინტერესო ღონისძიება. მოწყვეტი „ლენინური კითხვები“, რესპუბლიკის ხელმძღვანელ მუშაკთა, მეცნიერებისა და კულტურის გა-მოწენილ მოღვაწეთა ღერძია-მოხსენებები, კონფერენციები, ტურისტული ლაშქრობები ლენინურ ადგილებში, ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მოძრავი გა-შოფენები, კითხვა-პასუხის საღამოები.

ლენინის სახელოვან იუბილეს მიეძღვნა არაერთი სპექ-ტაკლი, კონცერტი, ლიტერატურულ-მუსიკალური ხადამ. პოლიტიკური განათლების სისტემაში, ლენინურ სახალხო სკოლებში გულმოძგინედ სწავლობებ დიდი ბელადის ცხოვ-რებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას, მის შრომებს. სა-ქართველოს სსრ მწერალთა კავშირმა, მინისტრთა საბჭოს ბეჭდებითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა, კულტურის სამინისტრომ, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, კომპარტიორთა კავშირმა, თეატრალურმა საზოგადოებამ, მხატვრთა კავშირმა გამოაცხადეს კონკურსები ვ. ი. ლენი-ნისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და ხელოვნების სა-უკეთესო ნაწარმოებისათვის. მიმდინარე წლის მარტში ვ. ი. ლენინის იუბილესთან დაკავშირებით, მოწყვეტი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პოეზიის საღამოები ბაქოში, ერე-ვანსა და თბილისში.

100 წელი გავიდა 1870 წლის იმ ბედნიერი აპრილის დღიდან, როცა ტანჯულ ქვეყანასა და ხალხს მოევლინა იმედის შუქურვარსკვლავი; 67 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვლადიმერ ულიანოვმა შექმნა ახალი ტიპის, ბრძო-ლებში ნაწილობი, ურყევი პარტია; ნახევარ საუკუნეზე მე-ტია აღმაგალი გზით მიდის ვლადიმერ ლენინის მიერ და-არსებული მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელ-მწიფო. ილიჩის უკვდავი იდეები კი უქრობ შუქურად კია-ფობს მთელს მსოფლიოში და ახალ-ახალი შრომითი და შემოქმედებითი გმირობისათვის აღაფრთოვანებს ადა-მინებს.

საუკუნეები კვლავაც მიჯრით მიეწყობიან ერთმანეთს, მაგრამ ლენინი მუდამ დარჩება იმ უდიდეს ადამიანად კა-ცობრიობის ისტორიაში, რომელზედაც აღფრთოვანებით წერდნენ ბელგიები, ესპანელი, ინგლისელი თუ სხვა ქვეყ-ნების შშრომელები ჯერ კიდევ 1935 წელს.


საუკუნეების შემდეგაც ამაყად გაიმეორებენ ადამიანები ვლადიმერ მაიაკოვსკის სიტყვებს:

„ლენინ,
სად ფაბრიკებს
მოსავთ განთიადი,
თოვლიან მოებიდან
ნამჭიან ბარამდის,
თქვენი სახელის და
გულის სიდიადით
ჩვენ ვსუნთქავთ,
ვცოცლობთ,
ვიბრძოლებთ მარადის.“



ლენინი მარქსისა და ენგელსის ძეგლის გახსნისას (კადრი
ფილმიდან).

გ. ი. ლენინი და ა. მ. გორკი



სმოლნის მთავარი ფასადი

ლენინის კაბინეტი კრემლში



ლ ი ლ ი ო ქ მ თ მ ბ ი ს

უ კ ა მ ქ ა დ ი

აკაკი სოხაძე

რევოლუციაშ იმპლავრა და 1917 წლის შემოდგომაზე მთელი რუსეთის იმპერია აბობოქრდა — ყველან, ფაბრიკებსა და ქარხნებში, სოფლად და ქალაქად იმართებოდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები — დემონსტრაციები და მიტინგები, მუშათა გაფიცვები და გლეხთა აჯანყებები. დღითი დღე ახალი ძალით ჩაღდებოდა ხალხების ბრძოლა შშვიდობისათვის, ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის.

კლასობრივი ძალების თანაფარ-

დობის, მათი ბრძოლის ხასიათმა, შმართველი წრეების პოლიტიკის ობიექტურმა ანალიზმა ვ. ი. ლენინი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ რუსეთში მომწიფედა საერთო ნაციონალური რევოლუცია, რომ იგი შევიდა თავისი ისტორიის ისეთ გარდამტეს პერიოდში, როდესაც სოციალისტური რევოლუცია აუცილებელი ხდება და არის ყველა პირობა მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში ასაღებად.

და ვ. ი. ლენინის წინადადებით პარტიამ აიღო გეზი შეიარაღებული

აჯანყებისაკენ. ეს მოხდა 1917 წლის 10 ოქტომბერს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ვ. ი. ლენინი გამოვიდა მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ და შეიტანა რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების შესახებ, ეს რეზოლუცია მიიღო ცენტრალურმა კომიტეტმა. ამავე სხდომაზე აჯანყების პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ლენინის მეთაურობით.

ბრძენი ბელადის თანამებრძოლები თავიანთ მოგონებებში წერენ,

რომ უკანასკნელ თვეს ვ. ი. ლენინი გამსჭვალული იყო აჯანყების იდე-ით, მხოლოდ მასზე ფიქრობდა და თავისი ღრმა რწმენით აღაფრთოვანებდა მეგობრებს, ამხანაგებს. ბელა-დი აჯანყებას ხელოვნებად მიიჩნევდა და ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილი თავისი წერილის დასასრულს აღნიშნავდა: „არ შეიძლება დღევანდელ მომენტში მარქსიზმის ერთგული, რევოლუციის ერთგული დარჩე, თუ აჯანყებას არ მოეპყარი, როგორც ხელოვნებას“¹. აჯანყების ხელოვნების ჭეშმარიტი დიდოსტატის ვ. ი. ლენინის გენიალური ხელმძღვანელობით, გეგმაზომიერი თანმიმდევრობით ხორცი ესხმოდა დიად წინასწარდასახულობას — დროებითი მთავრობის დამხობასა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას — მშრომელთა საუკუნოვან სანუკარ ოცნებას.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღეებში, ისტორიული კატაკლიზმებისა და უმაგალითო გარდაქმნათა უამს, ყოველდღე, ყოველ საათსა და წუთს ხდებოდა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები, წყდებოდა გრანდიოზული საკითხები.

საბჭოთა მკითხველის, ყოველი მშრომელის გულს აღაგზნებს დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღეთა მოგონება, ჩევენი მამათა და პაპათა დიადი საქმეების მატიანეთა გადაფურცვა. ჩევენ მხოლოდ ქრონოლოგიურად გადავალებთ თვალს გარდასულ დღეთა საგმირო საქმეებს; შევხედავთ მათ რევოლუციის შემოქმედთა თვალით, იმათი თვალით, ვინც ამ დიადი განთიადის უამს გვერდით ედგა დიდ ლენინს და საძირკველს უყრიდა ახალ სახელმწიფოს, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს.

1917 წლის 24 ოქტომბრის ცის-მარე დღისა. ჯერ კიდევ თვლემდნენ ბინდბუნდში გახვეული შენობები. ბურჟუაზიულ კვარტალებში სიცოცხლე ჩამქრალიყო, როცა ლეგენდარულმა „ავრორამ“ დაუშინა რეაქციის უკანასკნელ ციტადელს — ზამთრის სასახლეს — და ამცნო მსოფ-

ლიოს, რომ დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში.

შეიარაღებული აჯანყება, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ბოლშევიკები, მომზადებული იყო რევოლუციის მთელი მსვლელობით, მისმა დიდმა ხელოვანმა, ბრძენმა ლენინმა პარტიას მისცა მკაფიო, მეცნიერულად განჭვრეტილი გეგმა შეიარაღებული აჯანყებისა, რომლითაც ასწავლიდა:

„გაწესრიგდეს ჩევენი სამი მთავარი ძალა: ფლოტი, მუშები და ჯარის ნაწილები ისე, რომ აუცილებლად დაიკავონ და ყოველგარი მსხვერპლის გაღებით შეინარჩუნონ: а) ტელეფონი, ბ) ტელეგრაფი, გ) რკინიგზის სადგურები, დ) ხიდები პირები რიგში.

გმირიყოს ყველაზე გაბედული ელემენტები (ჩევენი „დამკვრელები“ და მუშათა ახალგაზრდობა, აგრეთვე საუკეთესო მატრისები) პატარ-პატარა რაზმებად მათ მიერ ყველა უმინშვნელოვანესი პუნქტის დასაკავებლად და მათი ყველგან, ყველა მნიშვნელოვან პერაციაზე მონაწილეობის მისაღებად, მაგალითად:

პიტერის გარემოცვა და მოწყვეტა, ფლოტის, მუშებისა და ჯარის კომბინირებული იერიშით მისი აღება, — ასეთია ამოცანა, რომელიც ხელოვნებასა და სამშაგ გაბედულებას მოითხოვს.

შედგეს თოფებითა და ყუმბარებით შეიარაღებული საუკეთესო მუშების რაზმები მტრის „ცენტრების“ (იუნკერთა სკოლის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და სხვათა) საიერიშოდ და გარემოსაცავად ლოზუნგით: გაწყდეთ ყველანი, მტერი კი არ გავუშვათ.

იმდედი ვიქტორით, რომ თუ ვინიცობაა გამოსვლა გადაწყდება, ხელმძღვანელები წარმატებით გამოიყენებენ დანტონისა და მარქსის დიადანდერებს.

როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო რევოლუციის წარმატება ორი-სამი დღის ბრძოლაზეა დამოკიდებული².

აჯანყების ლენინური გეგმის განხორციელებას ხელმძღვანელობდა

სამხედრო რევოლუციური კომიტეტი ი. სტალინის, ი. სვერდლოვის, ვ. მოლოტოვის, ვ. ძერუინსკის, ა. ბუბნოვისა და სხვ. შემადგენლობით.

რეაქციის ძალებმა დაარბიეს და დაბურეს პარტიის ორგანო „რაბოჩი პუტ“ (ამ სახელწოდებით გამოდიოდა იმხანად გაზეთი „პრავდა“).

იმავე დროს იუნკრები თავს და-ესხნენ მეორე ბოლშევიკურ გაზეთს და შეეცადნენ ხელთ ეგდოთ და არ გაეკრცელებინათ გზეთ „სოლდატის“ მთელი ტირაჟი, მაგრამ სტამბიულ მუშებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ და რეაქციის ეს ბოროტი განზრახვა ჩაიფუშა: გაზეთ „სოლდატის“ მორიგი ნომერი მალე მიიღეს აჯანყებულთა ჯარის ნაწილებსა და სეოლნში.

ასეთ ვითარებაში ვ. ი. ლენინი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ შეიარაღებული აჯანყება დაწყებულიყო საბჭოების II ყრილობამდე, რომლის გახსნა 20-დან 25 ოქტომბრისათვის იყო განზრახული. საჭირო იყო დაგვესწრო მტრისათვის, რომელმაც კამენევისა და ზინოვიევის გამცემლობის მეობებით შეიტყო შეიარაღებული აჯანყების მოწყობის საიდუმლოება და ყრილობის გახსნისათვის მოელოდა გამოსვლებს. შექმნილი ვითარება აიძულებდა ბოლშევიკებს მიეღოთ საგანგებო ზომები და დაეჩქარებინათ ძალთა მობილიზაცია შეიარაღებული აჯანყებისათვის.


აჯანყების წინადღეს ცენტრალური კომიტეტის დავალებით სამხედრო რევოლუციური კომიტეტისა და სამხედრო ორგანიზაციის მუშაკებმა დაინგარიშეს რევოლუციისა და კონტრევოლუციის ძალები. შედეგებმა ცხადჰყო პარტიის მიერ გაწყვეტილი გიგანტური მუშაობა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. ბრძოლის გადამწყვეტ ადგილზე პარტიას

(დასასრული მე-16 გვერდზე)

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 26, გვ. 12., „სახელგამი“. 1952 წ.

² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 26, გვ. 205-206. „სახელგამი“. 1952 წ.





კ. ხუნდაძე.

ათი დღე, რომელმაც შესძრა მსოფლიო

ვლადიმერ

ილიას ძე

ლენინის

დაბადების

100 წლისთავისადმი

მიძღვნილი

საქართველოს

მხატვართა

საიუბილეო

გამოფენიდან

გ. ჯაჭვი.

ლენინის გადასვლა საზღვარზე.

←

წითელი გვარდიის, ჯარისკაცებისა და მატროსების რევოლუციური რაზ-მების სახით გააჩნდა დიდი ძალა, რომელიც შესდგებოდა სულ ცოტა 300 ათასი მეტროლისაგან, ესე იგი დაახლოებით ათჯერ მეტი ვიდრე ზურუეუზიულ ხელისუფლებას ჰყავდა. შესრულებული იყო ლენინის მოთხოვნა — გადამწყვეტ მომენტში ჭარბი ძალების უზრუნველყოფის შესახებ.

შეიარაღებული აჯანყება დაიწყო 24 ოქტომბერს, სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის გახსნამდე, როგორც გათვალისწინებული იყო ლენინური გეგმით. აჯანყების ხელმძღვანელობა თავმოყრილი იყო სმოლნში. სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა აქედან მისცა ბრძანება წითელი გვარდიის მთავარ შტაბს შეიარაღებული მუშათა მობილიზაციის შესახებ. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი უაღრესად ენერგიულად მოქმედებდა. დღის პირველ ნახევარში უკაბდებულ იქნა შეტევაზე გადმოსული კონტრრევოლუცია და რევოლუციურმა ძალებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი პოზიციები. მუშები მდგომარეობის ბატონ-პატრონნი გახდნენ მოელი დედაქალაქის რიგ რაიონებსა და განაპირა უბნებში.

შექმნილი სიტუაცია მოითხოვდა გამოდილი შეტევითი ოპერაციების გაშლას. მხოლოდ ასეთი ტაქტიკა შეესაბამებოდა ვითარებას და მასების რევოლუციურ აღტყინებას. მაგრამ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი აყოვნებდა საერთო შეტევაზე გადასვლას. ამაზე გავლენა იქმნია კამენევისა და ზინოვიევის პოზიციამ, რომელიც ემსახურებოდნენ „თავდაცვითი — მოლოდინის“ ტაქტიკას. განსაკუთრებული დეზორგანიზაცია შექმნდა ტროცკის. კამენევთან ერთად მან სამხედრო-რევოლუციური საბჭო დაიყოლია პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბთან მოლაპარაკებაზე იმ მიზნით, რომ მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა კონფლიქტი, რომელიც შეიქმნა გარნიზონის მომისართა დანიშვნით. 23 ოქტომბერს დამით ეს მოლაპარა-

კება გრძელდებოდა. 24 ოქტომბერს დღისით ტროცკი და კამენევი შეუცადნენ მოეწყოთ მოლაპარაკება ქალაქის დუმასთან. სალამოს 7 საათზე პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე ტროცკიმ კვლავ განაცხადა, რომ შეიარაღებული აჯანყება არ შედის საბჭოს გეგმებში და არა იგი, არამედ საბჭოების ყრილობა გადაწყვეტს საკითხს ხელისუფლების შესახებ. ეს იყო დაწყებული აჯანყების ჩაშლის აშკარა ცდა.

რენგვატ ტროცკისა და მის მცირერიცხოვან მომხრეთა მოქმედება გადაჭრით დაგმო ვ. ი. ლენინმა. მან პატეგორიულად მოითხოვა, რომ რევოლუციური ძალები გადასულიყვნენ გადამწყვეტ შეტევაზე დროებითი მთავრობის დასამზობად. დაყოვნებას შეეძლო აჯანყების დაღუპვა, სწორედ ამ მდგომარეობამ უკანახა ვ. ი. ლენინს 24 ოქტომბრის სადამოს დაეწერა წერილი ცენტრალური კომიტეტის წევრებისადმი. მასში ნათქვამი იყო, რომ ისტორია არ აპატიებს დაყოვნებას რევოლუციონერებს, რომლებსაც შეეძლოთ გაემარჯვნათ დღეს (და უმჯობეს გამარჯვებენ დღეს), ხვალ კი შეიძლება ბევრი დაპარაგონ, შეიძლება ყველაფერი დაპარაგონ.

დაიწყო ვ. ი. ლენინის ტიტანური მუშაობა შეიარაღებული აჯანყების წარმატებით დამთავრებისათვის. რევოლუციის ბელადი სმოლნში ინსტრუქტაჟს უწევს პეტროგრადის რაიონული საბჭოების წარმომადგენლებს თუ როგორ მოაწყონ და წარმართონ შეიარაღებული აჯანყება ადგილებზე. იგი აჩქარებს აჯანყების ფართოდ გაშლას და მოითხოვს უწინარეს ყოვლისა ხელთ იგდონ ქალაქის მთავარი, დიდმნიშვნელოვანი ობიექტები. აჯანყების სამხედრო ხელმძღვანელებს მაღიმალ ეკითხება: „აღებულია თუ არა ცენტრალური სატელეფონო სადგური და ტელეგრაფი? ხელთ იგდეს თუ არა ხიდები და ვაგზლები?“ და ა. შ. ლენინი აჯანყების სამხედრო ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს აუცილებლად შეამოწმონ მის მიერ გაცემული ყველა განკარგულების შესრულება, აგრეთვე შეარჩიონ საიმედო ადამიანები რე-

ვოლუციური გადატრიალების საპასუხისმგებლო უბნებზე მოქმედებისათვის.


კონტრრევოლუციაც არ თვლემდა. კერენსკი და სამხედრო შტაბი ყოველგვარ ზომებს ღებულობდნენ რეაქციის ძალთა მობილიზაციისათვის, მაგრამ ამაოდ ღამის 2 საათზე სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის განკარგულებით დროებითი მთავრობის ყველა დაწყებულებაში გამოთიშეს შექი. რევოლუციურმა ჯარებმა დაიკავეს ბალტიისა და ნიკოლოზის ვაგზლები და მთავარი ფოსტამტი. ამ საათებში კერენსკისთან გამოცხადდა პოლკოვნიკი წინადადებით: მოეწყოთ ექსპედიცია, რომელიც აიღებდა სმოლნში მოთავსებულ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შტაბ-ბინას და დააპატიმრებდა მის ხელმძღვანელებს. კერენსკიმ მოიწონა წინადადება და დაავალა დაუყოვნებლივ განხეორციელებინათ იგი. მაგრამ პოზიორი კერენსკის წინადადებას განხორციელება არ ეწერა.

ღამის 3 საათსა და 10 წუთზე, როცა საბჭოების II ყრილობამ მუშაობა განაახლა, მოვიდა ცნობა ზამთრის სასახლის აღების შესახებ, მინისტრების დაპატიმრებაზე, რომ ოფიცრები და იუნკრები განიარაღებული არიან, რომ რევოლუციური ხალხის მხარეზე გადმოვიდა მე-3 ბატალიონი, რომელიც კერენსკიმ პეტროგრადის წინაღმდეგ გამოიყვანა.

საბჭოების II ყრილობამ გამოაქვეყნა ვ. ი. ლენინის მიერ დაწყერილი დეკრეტები მშვიდობაზე, ფაბრიკა-ქარხნების ბატონ-პატრონნი გახდნენ მუშები, ხოლო მიწა უსასყიდლოდ გადაეცა მშრომელ გლეხობას.

ასე იტევდებოდა და იბრძმედებოდა ოქტომბრის ქარცეცხლში საბჭოთა ხელისუფლება — ღენინური გენიის პირმშო, მშრომელთა სანუკვარი იმედი და ოცნება, რომელიც სვებედნიერი მერმისისათვის პლაფრთოვანებს მსოფლიოს მაშვრალთ უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ლენინის დიად იდეათა გამარჯვებისათვის, კომუნიზმის განხორციელებისათვის.

ვლადიმერ
ოლიას ძე -
ლენინის
დაბადების
100
წლისთავისადმი
მიძღვნილი
საქართველოს
მხატვართა
საუკილეო
გამოფენილან



უ. ჯაფარიძე.

3. o. ლენინი



გ. მდინარი, ზ. სამხარაძე.

მიწა უნდა ეკუთვნოდეს მის დამშუშავებელს

ვლადიმერ

ილიას ქე

ლენინს

დაბადების

100 წლისთავისადმი

ეიძღვილი

საქართველოს

მხატვართა

საიუბილეო

გამოფენილან

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

Ե Յ Ե Ր Ե Ր Ա Յ Ե

ოთარ ეგაძე

ორ ზელიტადს ემზადებოდნენ საქართველოს ფერმწერლე-
ბი საიუბილეო გამოფენისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების
100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამხატვრო ვერნისაჟი-
სათვის, რომელზედაც ახალის ძალით გამოვლინდა უკვე
ცნობილ, ან ჯერ უცნობ ახალგაზრდა შემოქმედთა ნიჭიე-
რება და პროფესიულობა, მათ მიერ თანამედროვეობის აღ-
ქმის უნარი და ხალხის შუაგულში ჩადგომის სასიკეთო წყუ-
რვილი.

და, აი, ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი საიუბილეო გა-
მოფენა მნიშვნელოვან მხატვრულ მოვლენად იქცა. მასში
ნათლად გამოჩნდა საქართველოს ფერმწერლების იდეუ-
რი სიღრმე-სიმაღლე. სოციალისტური საზოგადოებრი-
ვი მოვლენების ამოხსნა-შეწყობის დაუშრეტელობა, ძეგ-
ლის ახლებურად გარდაქმნა-წარმოსახვის სურვილი და ახ-
ლის მუდამ მზარდში გადართვის ფართო შემძლებლობა.
ამ გამოფენამ კიდევ ერთხელ ცხადცყო რომ, მხატვარი, რო-

ମେଘିପ ରୂପାଦିଦ୍ୟୁମ୍ବ ନାଥାରମନ୍ଦ୍ରବ କ୍ଷମିତିରୁରାଦ ଏତ୍ତି-
ରି ମେଘଦାଗ୍ରହେଲୋ ଦା ଗାମତ୍ତାରଜ୍ବେଲୋ ବେଦ୍ଯା କୁର୍ବାଲୀଙ୍ଗ ମିଳି-
ଶା, ରିସଟଗିଲାଚ ଉଲ୍ଲିପଣଦା ଦା ବେଦନାରିଦା କାପୁରବରିନବିଲି ପ୍ରକା-
ରାଶି ଦିଲି, ପ୍ରକାରାଶି କୁର୍ବାନ୍ତରି ଦା ପ୍ରକାରାଶି ଅଧାଶିନ୍ତରି
ଅଧାଶିନ୍ତି — ଗଲାଦିମ୍ବର ଉଲ୍ଲାପ ମୁଖେନିବି.

ამიტომ, ბუნებრივია, საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი ფერწერული ექსპონატები საზოგადოებრივი ცდადობის თვალსაზრისით უნდა განვიძილოთ, შესრულების მაღალი პროფესიულობის მოთხოვნით გაზიაროთ.

ამ ოვალუსაზრისითაც ღენინის დაბადების 100 წლისთვისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც საქართველოს დედაქალაქის თრ სხვადასხვა საგამოფენო შენობაში მოეწყო, მნიშვნელოვანი სიტყვაა თანამედროვე ქართულ სახ-ვით ხელოვნებაში.

ძნელია ერთ წერილში გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა ნაწარმოების, ან ყველა დარგის ყოვლისმომცველად გან-

ხილვა, ამას ხელოვნებათმცოდნეთა ფართო ჯგუფი თუ ითავებს. ჩევნები მიზანს შეადგენს გაგანალიზოთ ის ფერწერით ტილოები, რომლებიც ლენინის ცხოვრება-მოღვაწეობას ასახავენ. ამიტომ იმ ნაწარმოებზე შევჩერდებით, რომ-ლებშიც მთავარ იდეურ ამოსავალს ვლადიმერ ილიას ტელენინის პიროვნება წარმოადგენს.

ასეთ ნაწარმოებთა რიცხვი კი დიდი არაა, თუმცა ზოგი დიდ ყურადღებას იქცევს, უყურებთ საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილ მხატვართა ნაწარმოებებს და ადვილად ამოიკითხავთ თანამედროვეობასთან სულიერ კონტაქტს, ავტორთა იდეურ-ესთეტიკურ პოზიტიურობას, საზოგადოების შენების შუაგულში მოღვაწეობის სწრაფვას, იმის ცდას, რომ მნახველიც აღნოთოს მხატვრის დამოკიდებულებით დღვეანდელობისადმი, საბჭოური ცხოვრებით, სოციალისტური საზოგადოებრივი მოვლენების ჯანსაღი და მძაფრი თვალით ასასახავად, სიკეთის, პუმანურობისა და რევოლუციური შემართებულობის გასამტკიცებულად, კომუნისტური მორალისა და ეთიკის ნორმების ფართოდ და ღრმად გასახრობად.

შემოქმედი მხატვრის ასეთი თვისებების გამოვლენა მხოლოდ დიდი საზოგადოებრივი მოვლენების ნაწარმოებით შეიძლება, თანამედროვეობის სულით სავსე პუბლიცისტური ჟღვრადობით გამორჩეული ნამუშევრებით გადმოიცემა. საიუბილეო გამოფენის ვრცელსა და მრავალფეროვან ქვეპოზიციაში არის ასეთი ნაწარმოებებიც, — ვ. ი. ლენინის იერ-სახისა და მისი რევოლუციური მოღვაწეობის მომთხრობი მხატვრული კომპოზიციები, ლენინური იდეების პრატკიკული განხორციელების ამსახველი საინტერესო ფერწერული ტილოებიც.

საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ივანე ვეფხვაძე ერთ-ერთი ისეთი შემოქმედია, ვინც თავისი ფუნქციის ძალა ძირითადში რევოლუციურ თემატიკაში გამოავლინა. არ არის რესპუბლიკური გამოფენა, რომელზედაც ივანე ვეფხვაძე ლენინიანათი არ წარსდგეს. ვ. ი. ლენინის ცხოვრება-მოღვაწეობა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და სამოქალაქო მისი თემა მხატვრის შემოქმედების დაუშრეტელ სათავედ რჩება.

1970 წლის საიუბილეო გამოფენაზეც იგი წარმოგვიდგა ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი ფერტილოთი, რომელშიც ასახულია ოქტომბრის რევოლუციის გარისურაჟი. მხატვარმა რთული, მრავალფიგურიანი კომპოზიცია შექმნა ოცზე მეტი მოქმედი პერსონაჟით. „ლენინი და რევოლუციური მასა“, — აი მთავარი სანიშნე, რამაც განაპირობა ამ ნაწარმოების ცხველმყოფელობა, მისი საზოგადოებრივ-მხატვრული ჟღვრადობა. ფერტილო მკაფიო თხრობით გამოიჩევა. ერთი შეხედვითაც ნათელი ხდება სურათზე ასახული სიტუაცია, ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისის, ან გამარჯვების მეორე დღე, როცა პეტერბურგის შეიარაღებული პროლეტარიატი დიდი ლენინისა და ლენინელთა ხელმძღვანელობით ისტორიულ ნახტომს აკეთებდა ახალი საზოგადოებრივი ეპოქის კარიბჭესთან.

მხატვარმა ჩევეული მრავალფიგუროვანი კომპონირებით მონოლითურობით გამორჩეული ნაწარმოები შექრა, რომლის

ყოველი პერსონაჟი ცალ-ცალქეც ფსიქოლოგიური პორტრეტია და ყველა ერთად საერთო მიზან-მოქმედებით გაერთიანებული „მასა-კაციც“ არის.

შონუმენტალისტობის ნიჭი და ფერმწერლური ოსტატობა საშუალებას აძლევს იგანე ვეფხვაძეს შექმნას დიდი ფერტილო, რომლის წინა პლანზე გამოხატული გამოჩენილი, თუ გამოუჩენი პერსონაჟები ერთნაირის მეტიონებითა და შეშმარიტებით აღადგენენ ნახევარი საუკუნის უკან მომხდარ ისტორიულ ამბებს, — სმოლნის კორიდორიდან ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის წარმართვის მართალ სურათს.

როგორც ჭეშმარიტმა რეალისტმა მხატვარმა დამაჯერებლად შესძლო რევოლუციური სიუჟეტის მოქმედ პირთა ხელოვნურობის გარეშე დახატვა; პარტიისა და რევოლუციის ხელმძღვანელები, რევოლუციური აჯანყების ხორცშემსხმელი მუშები და ჯარისკაცები ფსიქოლოგიური ინდივიდუალობით აავსო და თითოეულისათვის დამხსასიათებელი პიროვნულ-სუბიექტური იერსახეებით გამოკვეთა. სურათის წინა ხაზზე ერთნაირი ინტენსივობითა და მსხვილი პლანით გამოსახულია ერთმანეთისაკენ მიუხედველი თხხი ფიგურა ერთიმეორის გულისცემას რომ ისმენენ და ერთმანეთის იდაყვის ძალას იმჩნევენ. სურათის მარცხენა ქვედა კუთხეში კი ტყვიამფრქვევა „მაქსიმიანათან“ მუშას ჩაუმუხლავს და საბრძოლო ვაზნებს არგებს, რევოლუციისათვის საიმედო ტყვიამფრქვევას გულმოდგინედ მართავს, მაგრამ მხატვებულ ძველ „ბერდანასაც“ ხელიდან არ უშვებს. მეტყვიამფრქვევის ურადღება საბრძოლო იარაღისაკენ არის მიმართული. მაგრამ, ამასთან ერთად, დიდი კლასობრივი ბრძოლის წინ რევოლუციის თავისი მონაწილეობის მოზოგვა-გაშლაზეც ფიქრობს და ამიტომ სახეზე ორმაგი ძალის საზრუნავი ეხატება, სამხედრო ქუდი თვალებზე ჩამოუხატავს და ვაზნების თვლასთან ერთად ბრძოლის დაწყების წუთებსაც ითვლის.

ჩამუხლული მეტყვიამფრქვევის გვერდით მუხლზე თოფ-დაყრდნობილი მოხუცი მუშა დგას, მოკლელულა კარაბინის ჩახმახს მართავს და ჭუჭყანი ჩვრით წმენდს. ისიც მთელი არსებით საბრძოლო იარაღს დასცემერის, მაგრამ აზრით მოახლოებული შეტაკების მოლოდინით იძაბება. მარცხენა ხელით ბერდანის ლულა ჩაუბლებავს, თითებს უჭერს, თითებს კლასობრივ მტრებს სულსა ხდიდეს. მოხუცი იმდენად ოსტატურად და სხარტად ფლობს კარაბინს, რომ მეორე პლანზე გამოხატული ქერა მებრძოლი ჭაბუკი თავშეკავებული აღტაცებით შეპყურებს, სტატის სიმარჯვით ტაბება და ფიქრით ასეთსავე სისხარტეს ეზომება.

მარჯვენა კუთხეში მხარზე ვაზნებასხმული, საყელოაწეული ახოვანი გალიფოსანი მოხუცი ნახევრად ზურგით შექცეულა და იმ ჯარისკაცს შეპყურებს, ვინც საბრძოლო გეინ-პირებულ სმოლნში მოქმედი რევოლუციური შტაბის მეთაურის, ბელადის დავალებით შესრულებას უპატაკებს. ჯარისკაცი მხედრულად გაჭიმულა, თოფი საპარადო მუხლთან დაუშვია და სამხედრო წრთობის გამომავლენი იერით მხრების შელში მხნედ გამართული ლენინთან მოტანილ სათქმელს ამბობს.

თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი დაძაბული დიალოგის დროს ჯარისკაცისა და ლენინის გარშემო მდგარი ყველა მებრძოლი ამ ორი ადამიანის სიტყვა-პასუხით უნდა ყოფილიყო დაპყრობილი, მაგრამ მხატვარი არ ღალატობს ცხოვრებით სიმართლეს და ლენინთან ახლო მყოფ პერსონაჟთა ანტურაჟს ისე აჩენს, როგორც ეს შესაძლოა ნამდვილად ყოფილიყო: მარჯვენა კუთხეში ერთი ნაცადი ჯარისკაცი თავისთვის თოფს ირჩევს და მთელი არსებით ამ საიმედო მეგობრის მოფერების აღმურში იწვის, — ლულას დაჭყურებს და ჩამახის ზამბარის ელასტიურობას სინჯავს, მხარზე გადასაკიდ თასმას მარჯვენა მუჭში იყუშავს და თოფის ცეცხლის ძალას გაუსროლებადაც საკუთარი ხელისგულით სცნობს, შესაძლოა იგი ლენინთან თავისი თანამებრძოლი ჯარისკაცის ლაპარაკასაც ისმენს, მაგრამ მხატვრის თვალი მაინც გვახვედრებს, რომ იგი ამ წუთში მაინც საბრძოლო იარაღის არჩევითაა გატაცებული.

მოპატაკე ჯარისკაცთან ვ. ი. ლენინის საუბარს თანამებრძოლები უსმენენ, — ლენინის მარჯვენა მხართან იაკონ სვერდლოვი დგას, ოდნავ დაცილებით კი იოსებ სტალინი და ფელიქს ძერუინსკი, ლენინისა და ჯარისკაცის საუბარს, ისხომებნ და თვითონაც სამოქმედოდ ეწყობიან. მათსავით ცხოვრელ ყურადღებას ავლენს კიდევ ორი მებრძოლი, — მარჯვენა კუთხეში სმენადმყენული, კეფაზე ფაფახმოვდებული ჯარისკაცი და სურათის ცენტრში ცნობისმოყვარეობით ლენინისაკენ მაცერალი ახალგაზრდა მეზღვაური. სხვებიც გართული არიან, — ან იარაღს სინჯავენ, ან საბრძოლო მოქმედების დაწყების ბრძანებას ელიან.

ასეთი ინდივიდირებული ფსიქოლოგიური პორტრეტების გამოკვეთით ივანე ვეფხვაძე რევოლუციური ატმოსფეროს გამძაფრების ისეთ სუსს ქმნის, როცა სურათის თვითებული პერსონაჟი სხვადასხვა ძალის დამოკიდებულებას ავლენს აჯანყებისადმი, მაგრამ ერთმანეთისაგან გამორჩეულობით ფსიქოლოგიურად უფრო მყვეთრსა ხდის რევოლუციური შეტევის წინა პერიოდს.

ივანე ვეფხვაძის მხატვრული დამაჯერებლობის ძალა იმაშიც არის, რომ იგი ვ. ი. ლენინის ფიგურას გარეგნული მხატვრული ეფექტებით არ გამოკვეთავს. ლენინს არც სპეციალური სიმბოლიზირების შუქს აფრქვევს და არც ახლო გარემოს უთავისუფლებს სახე-ფიგურის ხაზების გამოსარჩევად. პირიქით, მხატვარს ბელადის იერსახე შეუმწეველად გამოჰყავს რევოლუციური მასიდან და ლენინის ინტელექტუალური და ფიზიკური ბუნებრივი გამორჩეულობით თვით მუშა და ჯარისკაცთა მასასაც მყვეთრად გამორჩეულად აქცევს. მხატვარი გააზრებით ხატავს ლენინის ფიგურის წინ სამხედრო იარაღის ყუთს — ამოყრილი თოფებით. ამით კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის იმ რეალურ ატმოსფეროს, რომელშიც ლენინი მოქმედებს. მთელი კომპოზიციის მხატვრულ-იდეური განმაპირობებელი ლენინის იერსახეა, მაგრამ ეს თვალში საცემი არაა. ამაშია, ჩვენი აზრით, მხატვრის ფუნქცისა და შემოქმედებითი ხედვის დიდი ძალა და არ ვიტყვით, რომ ასეთი ღირსება სასურველი არ იყოს ყოველი ფერმწერისათვის, განსაკუთრებით იმათვის, ვინც დიდი პოლიტიკური ქღერადობისა და პუბლიცისტური

სუნთქვის კომპოზიციებს ქმნიან, საზოგადოებრივი მოვლენების პიროვნებების ცხოვრების ჩვენებითაც გვაცნობენ და ცალკე პირთა ფსიქოლოგიური ინდივიდუალობის ამოხსნით მთელი საზოგადოებისა თუ ეპოქის მართალ სურათს ხატავენ. ივანე ვეფხვაძე მხცოვანი მხატვარია და მოსაწონ თანმიმდევრობას იჩენს საკუთარ შემოქმედებაში, მხატვრულ გატაცებად ლენინიანს ირჩევს და, ისტა დაგვრჩნია, მაღლობა ვუთხრათ და ამ გზით სვლა ვუსურვოთ.

ასეთი გზის თანმიმდევრულად განგრძობის ფაქტია ისიც, რომ მხცოვანმა მხატვარმა საიუბილეო გამოფენაზე მეორე ფერტილო — ვ. ი. ლენინის ფიგურული პორტრეტიც გამოიტანა.

ამ ნაწარმოებში ნაჩვენებია ბელადი ხალისიანი განწყობილებით. იგი ნევის სანაპიროზეა გამოხატული, ენერგიულად მოაბიჯებს, პალტო გაუხსნაა, მერდზე მიბნეული სამაისო წითელი ბაფთით მიიჩეარის და ოდნავ მოღიმარი თვალებით იმზირება, შესაძლოა ნაცნობს ესალმება, ან ემშვიდობება. მოძრაობა მსუბუქი და მტკიცე აქვს, დაღლა არ ეტყობა. ეს ალბათ ის პერიოდია, როცა ლენინი ჯერ კიდევ პეტროგრადში იმყოფებოდა, რაკი ყოფილი სანკტ-პეტერბურგი ტრადიციით ახალი რუსთის სატახტო ქალაქად რჩებოდა. 1918 წელს კი ქვეყნის ცენტრად მოსკოვი იქცა და ბელადიც სამუშაოდ და საცხოვრებლად იქ გადავიდა.

მხატვარმა ვ. ი. ლენინი პლენერზე დახატა. ტყვიისფერად შეცრეცილ ნევის გაღმა ნაპირზე ისაკის ტაძრის სილუეტი ლივლივებს, მხარმაჯვინით „ფონდის ბირჟის“ ანტიკური სტილის სვეტებიანი შენობა მოჩანს, ხოლო ტროტუარზე პეტროგრადისათვის დამახასიათებელი ჯაჭვებჩამოგიდებული გრანიტის საბჯენი დაბალი სვეტები დგას. მხატვარმა ასეთი აქსესუარებთ სურათის ფსიქოლოგიური დინამიურობა გაზარდა, ლენინის შინაგან ტემპერამენტსა და ფიქრს რიტმული გამომახატველობა მისცა.

ვ. ი. ლენინის ფიგურული პორტრეტი მხატვრის წარმოსახვით არის დაწერილი. იგი არა პგაც არც არსებულ ფოტოსურათებს და არც სხვათა მიერ დაწერილ კომპოზიციური მასესხებლობის ელფერს ატარებს. ვეფხვაძის მიერ დახატული ლენინის სახე-ფიგურა შემოქმედებითი ორიგინალურობით გამოირჩევა ყველა ასეთი და მიახლოებით ამგვარი ფიგურული კომპოზიციისაგან. მიუხედავად ამისა იგი იმ საერთოსაც აჩენს, რითაც ვ. ი. ლენინის პორტრეტული იერსახე ყოველთვის ერთი ფსიქო-ეთნიური ჩარჩო-ნიშნებით უნდა გამოირჩეოდეს, მაგრამ ახალსაც ბევრს ამატებდეს.

ივანე ვეფხვაძის ეს ფიგურული პორტრეტი საინტერესოა სხვა მხრივადაც. მხატვარი არ მიეცა ზოგიერთი ფერმწერის ცდუნებას — ხატონ და წარმოსახონ პორტრეტარიტის ბელადი ხაზგამშულად „პოლოგრარიზირებული“ გარეგნობით, — დაკუნთული მკლავებითა და დაკოშრილი თითებით, განიერი, მძიმე მუხლებით, გრუზა კისრით და ჩასხმული მხატვებით. ვ. ი. ლენინის ასეთად დანახვა და წარმოსახვა რევოლუციური წყობილების პირველ წლებში პორტრეტულტონის დროგადასული გავლენით აისწენებოდა. 1924 წლამდე, და, უფრო ნაკლებად, ორმოცდაათიან წლებამდე, ვ. ი. ლენინის პორტრეტი ხელოვნურად დამძიმებუ-

ლი იყო. ივანე ვეფხვაძე, უჩა ჯაფარიძის, რობერტ სტურუ-ასა და გურამ გელოვანის ნაწარმოებთან ერთად, ბელადს ისეთ მართალ და დახვეწილ იერსახედ წარმოსახავს, რო-მელსაც ფსიქოლოგური სიღრმე-სიძლიერებული ახლავს და ბუ-ნებრივი ესთეტიკურობის ძალაც არ აკლდება.

ლენინიანას ქართულ ციკლს მიემატა ნიშიერი ფერმწე-რის, სანქტერესო კოლორისტის, საქართველოს დამსახურე-ბული მხატვრის ჯიბსონ ხუნდაძის დიდი ფერტილოც, რო-მელიც ასახავს ოქტომბრის რევოლუციის გარისერაჟზე ამე-რიკელი პროგრესული მწერლის ჯონ რიდის შეგვედრას გა-მარჯვებული პროლეტარიატის ბელადთან, პირველი სოცია-ლისტური სახელმწიფოს შემქმნელ ვლადიმერ ილიას ქე ლე-ნინთან.

თავის დღიურებში ჯონ რიდი დიდი სითბოთი აღწერდა ლენინს, ლოკალური შტრიხებით მკაფიოდ ხატვადა პროლე-ტარიატის მეთაურის იერსახეს, იმის შთამაგონებლობით აღსავს პორტრეტს, ვინც სათავეში ედგა ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციას, მგზნებარე და დაუვიწყარ დღებს, რომლებმაც მსოფლიო შესძრა.

ჯიბსონ ხუნდაძე ავტორია ლენინიანას ციკლის მრავალი კომპოზიციისა. მათი უმრავლესობა ლენინის მუზეუმის თბი-ლისის ფილიალის მუდმივ ექსპოზიციაშია ჩართული, ნაწილი კი სხვადასხვა საზოგადოებრივი დაწესებულებების კუ-თვინოლებას წარმოადგენს. ეს ახალი ნაწარმოები გამორჩეულია თავისი სიდიდითაც. საიუბილეო გამოფენაზე მისული იმასაც ადვილად შეამჩნევს, რომ ავტორმა სრულად ახალი, თითქოს მხატვრისათვის უწევულო მნერით შეკრა და და-ხატა რთული კომპოზიცია, რომელიც კამათსაც კი იწვევს მნახველში, მაგრამ შეუძნევლად და გულცივად არავინ არ სცილდება გრანადიოზულ, პოლიფონიურად კომპონირებულ ამ მრავალფეროვან ფერტილოს.

მხატვარმა მიზნად დაისახა ჩვენი დროისათვის უჩვეულო პლასტიკური ხაზებითა და ფერმტყველების სიმფო-ნიზიერებით გადმოეცა დიდი სოციალური და საზოგადოებ-რივი შეჯახება-შეცვლის ფინალი, რომლის შედეგადაც შე-იქმნა პირველი მუშურ-გლეხური მთავრობა დედამიწის ერთ შექვეშედ ნაწილზე და მთელი ძალაუფლება საბჭოებს გა-დაეცა.

ავტორმა მთავარ თემად ლენინთან ჯონ რიდის გაცნობის ეპიზოდი აიღო და ისტორიულად მოქმედი რევოლუციური მასის შემართება და კლასობრივი შეჯახების პროცესი აშ-ორი ადამიანის ერთმანეთთან მსოფლმხედველობითი სიახ-ლოვის გადმომემად აქცია.

სურათში ხალხის მასა, — მებრძოლი და ახლის დამფუ-ქნებელი, — აქტიურად მოქმედ კოლექტიურ ძალად არის გა-მოყანილი, რომელსაც პირველური ფსიქოლოგიის ნიშან-თვისები ატყვია, მაგრამ თითოეულის აზრი და მოძრაობა სურათის იდეური ცენტრის, ლენინის იერსახის ცხველ-მყოფელობას გამოჰყოფს. ჯ. ხუნდაძე მთელის ობიექტურო-ბით „ამოწერს“ გამოილი დროშის ტარზე მტკიცედ დაყრ-დნობილი მუშის ექსპრესიულ ფიგურას, ფერტილოს შეა-გულში წინ ფერმოდგმულ, ხელგამოშევრილ, და თავმო-გულში, დინამიურობით სავსე მებრძოლს, რომელსაც ხაზ-დერებულ, დინამიურობით სავსე მებრძოლს, რომელსაც ხაზ-

გასმულად სტილიზებული ტანსაცმელი აცვია და ტყვიამ-ფრევევზე დახრილ თავშევეულ ჯარისკაცთან ერთად სმოლ-ნის ცენტრალური შესასვლელის იმ ერთი წერტილისაკენ იხედება, სადაც ამერიკელი მწერალი ლენინის გამოწვდილ ხელს ათროლებული ხვდება. კომპოზიციის მარჯვენა კუ-თხეში ფარდალალა ფარაზიანი ჯარისკაცი აღმართულა, რომელსაც ნაკლები გარეგნული ექსპრესიულობა აჩნევია, აგრამ შინაგანი სიმტკიცე არ აკლია. მეორე პლანზე, სმოლ-ნის შესასვლელთან ხუთიოდე კიბის საფეხურის თავზე რე-ვოლუციის შემოქმედი მასის პერსონიზიზებული ტიპაჟი გა-მოუხატავს, რომელთა ნაწილი მებრძოლურ მოქმედ იერს აგ-ლენს, ნაწილი კი ისტორიული ამბის მოწმე-მომსმენ უბრა-ლო ადამიანების გუნდად ჩნდება.

მათ შუაგულში უაღრესად მოძრავი, შინაგანად ემოციუ-რი, მაგრამ სახეზე სრული სიმშვიდის გამომგლენი იერით ლენინი ხელს უწვდის ჯონ რიდს და იგრძნობა, რომ ეს შეხ-ვედრა დასაწყისია იმ შთამბეჭდავი გრძნობისა, რამაც წა-რუშლელი კვალი დატოვა რევოლუციური მწერლის მეხსიე-რებასა და შემოქმედებაში.

საერთო ემოციურობასა და რევოლუციურ ექსპრესიულო-ბას ხაზს უსვამს შუქ-ჩრდილებით გამოხატული სმოლნის კიბის საფეხურები, ცივი, მონაცრისფერო თოხვეთხედ სვე-ტებზე დაყრდნობილი თალები და სურათის ორივე მხრებზე აყრილი დროშები ზედ წარწერილი საბრძოლო ლოზუნგით — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“.

რასაკვირველია, ჯიბსონ ხუნდაძის ამ დიდსა და კოლო-რისტულ ფერტილოს ახლავს ზოგი რამ ისეთი, რაც მხატ-ვართა პროფესიონალურ თვალს უჩვეულოდ ეჩვენება, მაგ-რამ რატომ უნდა იყოს ეს მიუღებელი, თუ ესთეტიკურ კმა-ყოფილებას პევრის მნახველს და პროფესიულ ცნობისმოყ-ვარებასაც უზრდის მხატვრებს.

ერთი ცხადია, საიუბილეო გამოფენაზე ჯიბსონ ხუნდაძის ამ დიდ ნაწარმოებს მოწონება ხვდა და, თუ ზოგიერთებში გაკვირვების გრძნობაც იშვა, იქნებ იმიტომაცაა, რომ ავ-ტორმა გამამართლებელი, კომპოზიციის ტიპაჟის პლასტი-კური გამოხატვა-შემოსევის მისთვის უფრო მოსახერხებელი გზა აირჩია და ამ გზის გაშლა-გაღრმავებით საკუთარ ჩა-ნაფიქრ-საწადელსაც აიხდენს და კოლეგების მიერ მიჩნე-ულ სანახებელსაც აიცდენს.

თქმა არ უნდა, საქართველის დამსახურებული მსატვარი გურამ გელოვანი ისეთი შემოქმედია, რომელიც ქართული სახეითი ხელოვნების საიმედო ძალას წარმოადგენს. იგი ყველა გამოფენებზე არ გამოდის, ზოგჯერ საგაზაფხულო-სამეობებომ გერნისაუბაც კი გვერდს უწევეს, მაგრამ რესუბლიკურ თუ საკუშირო ექსპოზიციებში თანმიმდევ-რობით მონაწილეობს. მხატვარმა უკვე მოქებნა საკუთარი ხელწერა და ადგილი მშობლიურ ხელოვნებაში და მტკი-ცედ მოიპოვა შემოქმედების სასტარტო მოედანი საკავშირო საასპარეზოზეც. ბუნებრივია, ამან დამაჯერებლად გაიყვანა უცხოეთშიც და ახლა ყველგან დიდის ინტერესით იხილება მისი ნაწარმოებები.

დიდია გურამ გელოვანის შემოქმედების პუბლიცისტური დიაპაზონი. მისი ნაწარმოებები ყოველთვის გამოირჩევან

ღრმა იდეურობითა და თანამედროვეობაში წევდომით. აღიარებულია ისიც, რომ გელოვანმა შეპქმნა ლენინიანას თემატიკის დიდი ფერტილოც, რამაც საერთო აღიარება პპოვა სამხატვრო საზოგადოებრიობაში და ამით აიხსნება, რომ ბევრი დიდის ინტერესით მოელოდა საიუბილეო გამოფენაზე გამოსატან მის ახალ ნამუშევარს.

მოლოდინი გამართლდა. მხატვარმა გამოფინა დიდი ფერტილო — „კ. ი. ლენინი — რევოლუციის ბელადი“.

მანაზელი კმაყოფილებით შეხვდა ამ საინტერესო ნაწარმოებს, რომელიც, ერთის შესედევით, თითქოს უკვე ნანახ კომპოზიციას გვაგონებს, მაგრამ, საბედნიეროდ, ისევ მისავე, გელოვანის ლენინიანას გვახსენებს. ფართო მასებს ახსოვთ რამდენიმე წლის წინათ რესპუბლიკურ გამოფენაზე გამოტანილი მონუმენტური ფერტილო — „ლენინი და კრუპსკაია რაზლივში“, ახსოვთ მისი სურათის კომპოზიციური ქარგა, ექსპრესიულობის ამოსავალი პორიზონტით. ახალ ნაწარმოებებშიც არის იმის მინამგარი, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითა. საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი ახალი ფერტილო „კ. ი. ლენინი — რევოლუციის ბელადი“ წინა გამოფენაზე ნანახი სურათის თემის იდეურ-ფსიქოლოგიური ლოკალურობის გაღრმავებაც არის და განზოგადებაც, წარსულში შექმნილის ატაფბაც და ახლის ამაღლება-დამკვიდრების კარგად დასრულების ცდაც. გელოვანის მიერ შექმნილი ლენინის ფიგურული პორტრეტი ორგანულ კავშირშია მისსავე ნაწარმოებთან „ლენინი და კრუპსკაია რაზლივში“, მაგრამ ავტორი იმდენად დაყრდნობია მას, რომ ძევლის ლოგიკური გაგრძელების ბენიერად დასრულებლობით სრულიად ახალი ნაწარმოები შეუქმნია.

ბევრ მხატვარს დაუხატავს ლენინი გონებრივი მუშაობის პროცესში, წერის ან კითხვის მომენტში, მაგიდასთან ან ზეზეურად აზრებს მიცემული და შემოქმედებით ფიქრებს გაყოლილი. ასეთი ფსიქოლოგიური თემა ადვილად დასახატია იმათვეის, ვინც საკუთარ შემოქმედებაში ფოტოლუსტრიორების ცდენებებს ეძლევა, მაგრამ ძნელია მათვის, ვინც მრავალჯერ წარმოსახულ და ფოტორეპროდუქტირებით გამასიურებულ ამგვარ კომპოზიციაში სრულიად ახალ განზყობილება-ატმოსფეროს სდებს და ჩვევად ქცეულში უჩვეულო რამ სასიამოვნო სანახავს გვაძოვნინებს.

გურამ გელოვანმაც მოიწადინა გონებრივი შრომის პროცესში ეჩვენებინა კ. ი. ლენინის იერსახე, დაძაბული აზროვნების ისეთ მომენტში დაეხატა, როცა ფსიქოლოგიური და ფიზიკური უხილავ-ხილვადი კომპონენტები მსხვილი პლანით წარმოსახავენ ბელადისა და ადამიანის ტიტანურობასა და უბრალებას, გამორჩეულობასა და გამოურჩევლობას.

ლენინი ენერგიის, წინ მედგრად მავალ მოძრაობაშია, მისი მტკიცე ნაბიჯით წინმავლობა გარემოს სიყუჩეს არღვევს, ტემპისა და ტემპერამენტის ატმოსფეროს წარმოშობს. ერთდროულად მოქმედებაში მოყვანილი აზრი და პლასტიკა, წერა და სვლა, თავდახრა და წელში გამართვა, ხელის ხელზე დაბჯენა და მუხლის მუხლთან მიჯრა არაჩვეულებრივად მეტყველ და მკაფიო ფორმას წარმოშობს, რომლის

არსი ლენინური ტიტანური შრომა-აზროვნება, მიზანდასახულობა და სწრაფვა ხდება.

კომპოზიცია ისეა შეკრული, რომ ძნელია ზედმეტის ან ნაკლული დეტალის მოძგნა. თითქოს ბევრი დააკლდებოდა სურათს პალტოს სახელო რომ არ გამოეხატა, კალთები რომ მუხლებზე მოყარა და ამაფრიალებლობის შთაბეჭდილება მოეშალა. დიახ, ნაკლებად შთაბეჭდავი იქნებოდა სურათი, რომ ავტორს ისეთივე მნიშვნელობა არ მიიცა მეტყველი თითების გამოსახატავად, როგორსაც იგი თავდახრილი სახის ნაკვთების დასახატავად იჩენს. ბელადის ფიგურა მკვრივი მასალისაგას გამოკეთილ მონოლითურ ქანდაკებად იქცევა, რბილი შუქ-ნათელით გამოხატული სახე და ხელები კი ფერწერულობით გამობრწყინებულ ღრმაფსიქოლოგიურ თბილ პორტრეტად ჩანს.

ნახატი უაღრესად რეალისტურია, ამასთან უაღრესად განზოგადებული და სიმბოლიზირებითაც გამორჩეული. ბელადის ტანი ადამიანის ფიგურის ხაზ-ნაკვთების განმორებაც არის და ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების გარემოცვაში მოქცეული მებრძოლ-მოაზროვნე ზეადამიანურობის განუმეორებლობაც. მხატვარმა თითქოს ხელოვნურად მოასხა პალტო ბელადის მხრებს, მაგრამ ბუნებრივად გადმოსცემს აზრისა და შემოქმედების მგზნებარებას. მხატვარი ძუნწად, მაგრამ მეტყველად იყენებს შუქ-ჩრდილებს და გვერდითი მცირედი მონათებებით მოელი სახე-ტანის გამოსხივების შთაბეჭდილებას აღწევს. იგი ჩრდილში აქცევს რაკურსში დახატულ თავსა და შუბლს. ცვირსა და წვერს, ჰალსტუხსა და მკერდს, რათა შემდეგ შუქის მცირედი ორმხრივი მისხურებით კეფასა და ლოყაზე, თეთრ საყელოსა და მუხლებზე, წინ წამოსწიოს ლენინის მთლიანი ფიგურა, მოძრაობაში მოღუნული მუხლი და მიწიდან ასტლეტილი ფეხი, მუხლზე მიკეცილი პალტოს კალთა და მხარზე ქარისაგან გამობერილი უბე ექსპრესიული მოძრაობა-მოქმედების ისეთ სიძლიერეს ქმნის, როცა ერთი ასეთი წინმავალი კაცის უკან მილიონიანი მასების შეუდრევები არმაიც ჩანს.

და ყველაფერი ეს იყითხება ისე, რომ მხატვარი არ მიმართავს ფიგურის გვერდით ფიზიკური ნივთებისა და სივრცის გამოხატვას. პირიქითაც კი, — გაბედულად სტოვებს ლენინის იერსახეს ადამიანებისა და ფიზიკური გარემოცვის მიღმა და სწორედ ამით უფრო აქცევს მას ხალხის მასებისა და ბუნების ატმოსფეროს ცენტრში. სურათზე მხოლოდ ერთი კაცი დგას და მილიონად კი წარმოგვეხატება, ერთი ადამიანი ჩანს და კაცობრიობა კი გვესახება თავისი ფიქრითა და გარჯით, მოძრაობითა და მოქმედებით, მოღვაწეობითა და მისწრაფებით.

გურამ გელოვანის ეს ახალი ნაწარმოები ქართული ღენინიანას საერთო მონაპოვარში ღირსეულ ადგილს დაიჭერს და მართებულად ველით, რომ ასეთსაგე აღიარებას პპოვებს იგი საერთო-საბჭოურ ლენინიანაშიც.

სრულიად სხვა, მხატვრულად დამაჯერებლად, ისტორიულ-დოკუმენტურად და შემოქმედებითი სიფართვით დასატა ლენინის ფიგურული პორტრეტი საქართველოს სახალ-

ხო მხატვარმა, პროფესორმა კორნელი სანაძემ. ბელადი აქაც იმავე ფსიქოლოგიურ მომენტშია გამოხატული, როგორც გურამ გელვანის ნახატში. მაგრამ კორნელი სანაძემ, პორტრეტული მსგავსების სიზუსტისა და ტრადიციულობის დაცვასთან ერთად, დაიცა და გაათბო გარემო ატმოსფეროც, რომელშიც გამოჩინია ლენინი როგორც თავმდაბალი და ჩვეულებრივი, თბილი და ადამიანური, ვისთვისაც აზრი და მოქმედება, წიგნი და ფრონტი, სიყვე და ბრძოლა ერთნაირად ინტენსიური, ქმედითი და მნიშვნელოვანია. ყველა აშვების გამოსავლინებლად ავტორმა ფართოდ და ოსტატურად გამოიყენა მისთვის ჩვეული ფერადმეტყველურობა, კოლორიტული პლასტიკურობა და ფერთა შეჯერების ეფექტურობა, რაც ყოველთვის გამოარჩევს კორნელი სანაძეს მრავალ მხატვართა გუნდიდან.

ორფიგურიანი კომპოზიციით წარსდგა საიუბილეო გამოფენაზე საქართველოს დამსახურებული მხატვარი გიორგი ჯაში. მისი ფერტილო ფინეტში თრთქმავლით ვ. ი. ლენინის გადასვლის ისტორიულ ეპიზოდს გადმოსცემს. ავტორმა შეგნებულად აუქცია გვერდი იმდრიონდელი ამ ფაქტის კონსპირაციულობის მხარეს და აჩვენა ლენინი თრთქმავლის კარებში აღმაფრენი იერით გაჩერებული, რომლის შეერა-ხედვაში ჩანს ბელადის ფიქრები მის მიერვე ასე მოახლოებულ და საბოლოო ნახტომისათვის მომზადებულ სოციალისტურ რევოლუციაზე. ვ. ი. ლენინი მღელვარედ გასცემის შორეთს, რუსეთის სივრცეს, წარსულს, აწმყოს და მომავალს, საბრძოლოდ დაწყობილ რუსეთის მუშათა მასებს, გლეხური, ნახევრად მონური ქვეყნის შშრომელთა დუხშირ ცხოვრებას, რომლის ბედი და წუხილი, მისწრაფება და დიდება თვალწინ უდგას და ყურში ესმის ყველაფრის დამნახავსა და ყოველის მომსმენ დიდ ადამიანს, ახალი სოციალური საზოგადოებრივი ურთიერთობის შექმნის მოწადინე და შემძლე ხალასისა და პარტიის ბელადს ვ. ი. ლენინს.

ასეთი იდეური გაზრება საფუძვლად დაედო გიორგი ჯაშის სურათს და მაღალი პროფესიული ოსტატობის წყალობით ფერტილომ მიიღო საზოგადოებრივი ქლერადობის ფართო დიაპაზონი. სურათი საიუბილეო გამოფენის ერთ-ერთ საინტერესო ნაწარმოებად იქცა.

დიდი სითბოთია გაკეთებული ფერმწერის, დამსახურებული მხატვრის გიორგი კოტრიკაძის მიერ რთული და ჩჩვეულო კომპოზიციით დახატული ლირიკულ-ფსიქოლოგიური ტილო — „ლენინი და ძველი რუსეთი“. ავტორს შეეძლო სხვა სახელწოდებაც მიეცა ამ ნაწარმოებისათვის, მაგრამ ამით მისი აზრისა და შემოქმედების ლეიტმონტივი როდი შეიცვლებოდა. ბელადი გამოხატულია საკუთარ ფიქრებში წევდომის მომენტში, შინაგანი დაძაბულობით სავსე განწყობილებით, როცა რუსეთის თვალუწვდენ ველზე დაბერავებული ღარიბი გლეხი ცხენის გუთნით ჩიჩენიდა მისთვის სასარკოდ მიქირავებულ მიწას. ვ. ი. ლენინი ნახევრად ზურგ-შექცეული ზის მშობლიურ მიწაზე, ნოყიერ და ნოტიო, საკუთარი ხალხის სევდა-ცრემლით დამბალ ყამირზე და გულისტკენით გასცემის წელმოხრილ მარტოხელა გამრჯე

გლეხს, რომელიც მიწისაგან იმას იწევს, რაც ყოველთვის მებატონის კუთვნილებას წარმოადგენდა. ავტორებმა დიდი შინაგანი სითბოთი დახატეს ბელადის იერსახე და ღრმა ფსიქოლოგიური ნიუანსებით წარმოსახეს ღენინისა და ხალხის სულიერი ერთობლიობა.

იდეურად ღრმა და პროფესიული ოსტატობით შესრულებულ კარგ ნაწარმოებს წარმოადგენს საქართველოს დამსახურებული მხატვრის ზურაბ ლეჟავას მიერ შექმნილი მრაჭალფიგურიანი კომპოზიცია „ვ. ი. ლენინის კოპორტა“.

საგანიფუნქნო დარბაზში შესული ერთი თვალის შევლებითაც კი ხვდება, რომ ავტორი ავლენს წინასაგამოფენო ექსპოზიციაში ხილული ნაწარმოების — „რუსთაველთა“ კომიშიციურ, კოლორისტული და რიტმული მსგავსების სურვილს. მნახველი იმასაც გაიხსნებს, რომ ზურაბ ლეჟავაში თავისი ის ნაწარმოები ჭედურულადაც გაიმეორა და ორიოდე წლის წინათ ბარათაშვილის სახელობის ხიდის ვერნისაქშიც გამოფინა. ახალი ნაწარმოები — „ვ. ი. ლენინის კოპორტა“ იმ ორი ნამუშევრის იდეურ-კომპოზიციური მარცვლის გაღვივება-გაშლაა, მაგრამ იმდენად ახლოს მდგარი მათთან, რომ თავისი ასეთი ერთბულოვნებით მხოლოდ აძლიერებს და ამგვიდრებს საკუთარ მხატვრულ-იდეურ თანმიმდევრულობას.

მხატვრის ასეთი დამოკიდებულება ახალი თემისადმი, როცა წინა ნაწარმოებების რაიმე ძირითადი, გამაპირობებელი კომპოზიციური რიტმი თუ კოლორისტული უდერადობა უკვე მოპოვებულს ინარჩუნებს და ახალსაც ამატებს, უნაყოფო ცდა არაა. არც გამონაკლისია. ზურაბ ლეჟავამ თავისი ახალი ნაწარმოების სულიერ საწყისად აიღო იგივე, რაც მან წინა, ამის მინამგვარ თავისისავე წინა ორ კომპოზიციურ ნაწარმოებს ედო, მაგრამ ისე, რომ ახალი ძეგლიდან მოუწყევეტელიც არის და ახალ შემოქმედებით ხარისხში აყვანილიც. ასეთნაირად მოიცა ამავე გამოფენაზე მშვენიერი კომპოზიციური ფერტილოთი გამოსული გურამ გელოგანიც.

ზ. ლეჟავას დიდი ზომის ფერტილოზე ერთი მიზნითა და ერთობლივი მტკიცე ნაბიჯით მავალი ათი ფიგურა ჩანს. რომლებსაც წინ ვ. ი. ლენინი მიუძღვით. ბელადისა და რევოლუციური მუშათა მასის ინდივიდუალიზირებული სახეები ერთმანეთისაგან დაცილებული არ არიან, ისევე, როგორც არ შეიძლება დაშორებული იყოს პროლეტარული ბელადი პროლეტარიატისაგან. ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლი უბრალო ადამიანების გარეგნული, თუ შინაგანი ფსიქოლოგიური იერი ერთსულოვნების მკაფიოებას გვიჩვენებს. მიუხედავად ამისა, მაინც არის ზოგიერთი რამ ისეთი, ერთის მეორისაგან განმასწვავებელი მოძრაობითი დეტალი, რომელიც ხაზს უსამს ადამიანების ინდივიდუალიზირებით ბუნებრიობას, პროლეტარულ-რევოლუციურ ერთნაბიჯიანობაშიც კი საკუთარი ხმიანობისა და საკუთარი იერიანობის გამოვლენის კანონზომიერებას. მნახველი ადვილად შეამჩნევს, რომ კომპოზიციის წინა რიგს ვ. ი. ლენინი და ორივე მხრივ მის გვერდით მიმყოლი შეიარაღებული ქალი და წითელარმიელი, ბელადთან ფერშეწყობილნი პლასტი-

კურ სიმშეიდეს ავლენენ მიწიდან ასხლეტილ მარჯვენა მუხლის წინ გადმოსადგმელი ნაბიჯით, მაშინ, როცა მეორე ეშელონად მომყოლი მეზღვაური და წვეროსანი გლეხი და მხარზე თოფვადაკიდებული მუშა ქალი ფეხს ურევენ, სული უსწრებთ უფრო ადრე დააბიჯონ სოციალური უსამართლობით ცოდვილ მიწას, ვინემ ამას მათი ბელადი ზომავს.

უყურებთ ამ ნაწარმოებს და უნებლიერ გახსნდებათ ვ. ი. ლენინის ისტორიული სიტყვების რევოლუციის სიტუაციის სიმწიფე-მოუმწიფებლობაზე, ისეთი სწორი და დროული, მტკიცე და ზუსტი ნაბიჯის გადასადგმელად, როცა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება გარანტირებული იქნებოდა.

— გუშინ ადრე იყო, ხვალ გვიან იქნება, მხოლოდ დღეს უნდა დავიწყოთ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მომტანი აჯანყებაო.

ბუნებრივია, ბელადის ასეთი განჭვრეტა რევოლუციური მასების საბრძოლო მზადყოფნისაგან გამომდინარებდა. მაგრამ, განა ამის განსაზღვრა ასეთი ადგილი იყო პროლეტარული მასებისათვისაც კი. მხოლოდ რევოლუციის შემოქმედი მასების ბელადს ვ. ი. ლენინს შეეძლო რევოლუციური სიტუაციის შემზადება-მომწიფების ზღვრის ამონინბა, რომლის შემდეგ უნდა გადადგმულიყო ის ისტორიული ნაბიჯი, რამაც საფუძველი დაუდო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შეუფერხებელ და შეუნელებელ წინსვლას.

ეს ახლა ნათელია. მაგრამ ასე ნათელი არ იყო მაშინ, როცა ვ. ი. ლენინის მიერ საბრძოლოდ გამოწყობილი და მრავალმილიონიან პროლეტარულ მასებზე დაყრდნობილი პარტია სიღარიბითა და სოციალური ჩავრით გაღიზიანებულ მუშურ-გლეზურ მასებს გულაგზნებით მიეწეოდა დიდი კლასობრივი შეტევისაკენ, ცარიზმისა და კაპიტალიზმის სახელმწიფოებრივი სისტემის დასანგრევად, ბევრისათვის ჯერ ნათლად წარმოუდგენელ, მაგრამ ხალხის ავანგარდის, ლენინური პარტიისათვის მკაფიოდ წარმოსახული ახალი სოციალური ურთიერთობით გამორჩეული წყობილების გასამარჯვებლად.

დიახ, ძნელი იყო იმ სიტუაციაში შეიარაღებული და კლასობრივად აღგზნებული, სოციალური უსამართლობით გაღიზიანებული მასებისათვის ისეთი სირბილით მოეზომათ ყოველი ნაბიჯი, როგორც ამას მათი ბელადი — დიდი ლენინი მიიჩნევდა. რომ არა ლენინისა და ლენინური პარტიის შორსმჭვრეტელობა, რევოლუციური სიტუაციის ღრმად ცოდნა და პროლეტარული მასების მიზან-მისწრაფების განმახორციელებელი პოტენციური ძლიერების შეფასების არაჩვეულებრივი უნარი, ოქტომბრის რევოლუცია ვერ გაიმარჯვებდა, ან შესაძლოა, უფრო მეტი სისხლი დასჭირებოდა, ვიდრე ეს რევოლუციის წარმატებამ მოითხოვა. თქმა არ უნდა, — მხოლოდ ვ. ი. ლენინის გენიალურმა განმზომელობამ უზრუნველყო არაჩვეულებრივად მოკლე დროში და არნახულად ნაკლები სისხლით გამარჯვების მოპოვება. ამაშია სოციალისტური რევოლუციის სახალხო პუმანურობის მკაფიო გამოვლინება. ამაშია ლენინისა და მისი პარ-

ტიის წარმმართველობის სიდიადე. ესაა ნაჩვენები ამ ფერ-ტილოშიც, მრავალფიგუროვანი კომპოზიციის პერსონაჟია აზრისა და მოქმედების ფსიქოლოგიურ და პლასტიკურ მოქმედება-მოძრაობაში.

სხვა ფსიქოლოგიური დეტალიც შეიმჩნევა ამ ნაწარმოებში: ვ. ი. ლენინი და მისგან ახლო მდგრმი ქალისა და წითელარმიელის მოძრაობა-აზროვნებაში შედარებით უფრო მეტი შინაგანი ფსიქოლოგიური შეუზღუდველობაა. შემდგომ, მიმყოლ რიგებში კი უფრო მეტია ჯარისკაცული ფეხ-აწყობის ფსიქოლოგიური ინსტინქტური რიტმი. ასეთი შთაბეჭდილება ბუნებრივად გვაცნობს ავტორის სურვილს მრავალსახოვნად და მრავალმეტყველად გვიჩვენს რევოლუციის შემოქმედი მასების რევოლუციური სიმწიფე — ავანგარდობის არასტერეოტიპული რევოლუციონერები იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ადამიანობის ძირითად ნორმებს იცავენ, მაგრამ ერთმანეთისაგან ასეთი ნორმების დაცვის ინტენსივობისა და მეტაფიოგების გამოვლენაშიც ერთმანეთს არ იმეორებენ.

განსხვავდებიან ზ. ლევავას ფერტილოს პერსონაჟებიც. ზოგს უფრო მეტი ფსიქოლოგიური ანალიზის შტრიჩი არჩევს, ზოგს კი რევოლუციური მოქმედების მეტი ფიზიკური უნარი და წყურვილი. საყელოგახსნილი ქალის ფიგურაშიც იგივე განსხვავებულობა იგრძნობა, რაც საყელოშეკრულ და თბილად შეფერხულ ასეთსავე მეორე მებრძოლი ქალის მთელს ფიგურაში. პირველის თვალებში რევოლუციის მთვლი პროცესის განჭვრეტაა, მეორისაში კი რევოლუციური პერსპექტივის ლოკალური ხედვა. პირველი ქალის ექსპრესიულ სახეში აზრობრივი ამაღლებულობაა, მეორეში კი მოსალოდნელი სიძნელის გრძნობა. პირველში განზოგადებული რევოლუციური აღმაფრენა და რომანტიულობაა, მეორეში — მიწიერი შემართება და საიმდღელის კონკრეტულ მოთხოვნათა აკუმულირება. ლენინის გვერდით მდგომი ქალის ნათელ სახეში ბრძოლის პათეტიური სიმღერის ბეკერებს ვისმენ, უკანა რიგში მიმყოლ ქალის ჯმუხად შეკრულ ფიგურაში კი წარსულით გაზრდილ ტკივილსა ვგრძნობთ. ერთი პოეტურად განზოგადებული რევოლუციური მოწოდება-ძახილია, მეორე კი რევოლუციური აღმაფრენის დაკუნთული ფუძეა. ორივე ერთ მიზანს ავლენს, მაგრამ სხვადასხვა ხმასა და სახეს აჩენს: ამით მხატვარმა აიცდინა პირველებათა ფსიქოლოგიის უნიფიცირება და ადამიანთა თვისებების ისეთი პირადულობა გადმოსცა, რომელთა შეერთება საზოგადოებას მრავალფეროვნებას უძლიერებს და პირველებასაც თვითმყოფადობას არ უკარგავს, რევოლუციურ მასას ერთ მუშტად შეკრულ ძალად აქცევს, მაგრამ რევოლუციურ მუშტს ერთი აზრით მოქმედ და სხვადასხვაობით გამორჩეული თითების ბუნებრივ ფუნქციონალობასაც არ უკარგავს. საერთოსაკენ მისწრაფებით პიროვნულს არ უბათილებს და პირველულობის პორტრეტის დამკვიდრებით საერთოს უფრო ფსიქოლოგიურად მეტყველსა და ღრმასა ხდის.

მხატვარმა ფსიქოლოგიური, პერსონიფიცირებული დახასიათება მისცა თითოეულ პერსონაჟს. ზოგს ერთი ძალის,

ზოგს მეორისა, მაგრამ ყველას მათოვის დამახასიათებელი, კლასობრივი შეგნებისა და იდეური ჭვრეტის მასშტაბით. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა იმავე წითელართხილისა და საიმედო რევოლუციურ ძალად წარმოსახული მეზღვაურის ლადსა და მკერივ ფიგურაში, დინჯა და ნათელ გამოხედვაში, ნებისყოფით სავსე თვალებსა და მტკიცე ხასიათის გადმომცემ ტუჩებში, ადამიანის სილამაზისა და მშვენიერების კლასობრივი ესთეტიკური ნორმების მოზომვით, ისეთ საერთო ადამიანურში გადაზრდით, როცა მეზღვაურის ფიგურა ესთეტიკურ სიამოგნებადაც იქცევა და მთელი კომპოზიციის იდეური თემის გამაძლიერებელ სიმღერადაც ისმის.

ასეთ ერთობლიობას აძლიერებს მეზღვაურის მტკიცე, ოდნავ წინ წადგომის წყურვილი, რითაც იგი რევოლუციის აზრისა და მოქმედების განზოგადებულ ქალის ფიგურასთან ერთგვარ არითმიაში მოდის. მაგრამ, ესეც ხომ დამახასიათებელი იყო ისეთი რევოლუციური აღგზნებულობისათვის, რითაც გამოირჩეოდნენ საერთო მეზღვაურთა მასები, — ყოველთვის, რომ უფრო მძაფრად და ემოციურად აღიქმდნენ რევოლუციურ ლოზუნებს, ვინემ თუნდაც ღარიბ გლეხთა მასები. წითელფლოტელები უფრო თავისებური სიმძაფრითა და ავანგარდულობით გამოირჩეოდნენ საერთო რევოლუციურ სიტუაციაში, ვინემ ფრონტზე მყოფი ჯარისკაცის ფარაჯაში გახვეული ტლუ გლეხები. მართალია, მეზღვაურებიც იგივე მუშები და გლეხები იყვნენ, მაგრამ რევოლუციური ატმოსფერო უფრო ინტენსიურად ასხვაფერებდა ახალწეველს, ვინემ ჯარისკაცული მუშტრობით გაჩვინილი იდეური ბურუსი.

ავტორმა ამ ფერტილოში გვაგრძნობინა რევოლუციური ძალების მოქმედების ის კამერტონი, რომლითაც გამოირჩენ მეზღვაურები ახალი სოციალური წყობის დაფუძნებისათვის ბრძოლაში. მეზღვაურის იერსახეში ნათლად ჩანს ლენინური იდეების წარმართველობის ძალა. მეზღვაური მთელი შეგნებული საბრძოლო მრწამსით მიაბიჯებს წინ, რაღაც მიზანსაც ხედავს და მიზანთან მისვლის რთულსა და მიმგნებ გზებსაც არჩევს. სწორედ ასეთ შეგნებულ რევოლუციურ ძალებს ეყრდნობოდა ლენინი და ლენინური პარტია, როცა საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ურთულეს და კრიტიკულ მომენტში პოლიტიკურ კომისიერებად ბევრ შემთხვევაში მეზღვაურებს გზავნიდა. საბჭოურმა ლიტერატურამ, დრამატურგიამ, კინომ და სახვითმა ხელოვნებამ არა ერთი ასეთი მეზღვაური-კომისირის იერსახე შემოვინახა და ბუნებრივია, ზურაბ ლეჟავას მრავალფიგუროვან კომპოზიციაში გამოხატული პერსონაჟი ახალი საზოგადოების მომავალ ორგანიზატორ რევოლუციურ პერსონაჟადაც იქცევა.

მის უკან კი ფარაჯაჩაცმული წვეროსანი გლეხი მოაბიჯებს. იგი ნაბიჯს უწყობს ლენინურ რევოლუციურ კომინტას და ესეც ისტორიული სინამდვილის მხატვრულად ასახვის კონკრეტული გამოვლენაა. გლეხი ჯარისკაცი კლასობრივი გუმანით მიყვება რევოლუციურ მებრძოლთა რაზმს, მაგრამ მაინც არის ერთგვარი განსხვავება მის შინაგან ფსიქოლოგიურ არსა და თუნდაც მებრძოლ ქალსა და მეზღვა-

ურს შორის. ქალისა და მეზღვაურის მხრები დამუხტეული და რევოლუციური მგზნებარებით დაჭიმულია. გლეხის ხელი კი შედარებით მშვიდად დაშვებული, შედარებით მომღლოდნებ მიმყოლი ნაბიჯით, სწორედ იმის გადმომცემი, რომ გლეხობა რევოლუციის აგანგარდს — პროლეტარიატს მიყვებოდა და მის წარმმართველობას განიცდიდა. გლეხმა ჯარისკაცმა ჯარისკაცული მიმყოლობით აუწყო ფეხი მეზღვაურის სელას და ამაშიც არის რევოლუციური შეგნებულობის გავლენიანობის ლოგიკა. სახის გამომეტყველებას ისეთი აქცეს, როგორსაც სოციალისტურ რევოლუციაში გლეხობის ფსიქოლოგია განსაზღვრავდა. ამ ფსიქოლოგიას გამოყოფდა ლენინი, როცა გლეხობის რევოლუციურ პეგემონად პროლეტარულ სულისკვეთებას აღიარებდა.

უფრო ინტენსიური და მძაფრი სოციალური აზრის მატარებელია წითელარმიელის ფარაჯაში გახვეული პროლეტარი, მუშის კლასობრივი შეგნებულობის მკაფიოდ გამომავლინებელი შორს გამიზნული ხედვით და ისეთივე რიტმიული ნერვით სახსე ტანის პლასტიკით, როგორც უკვე აღწერილი რევოლუციური ქალისა და მეზღვაურის სახე-იქრია. წითელარმიელს ბუდიონელთა წოწოლა ქუდი ხურავს ზედ გამოხატული აპლიკაციური წითელი ვარსკვლავითა და გვერდზე გადაკრული წითელი რომბისებური ლამპასებით. ასეთ ეკიპირებას გარკვეულ ისტორიულ ატმოსფეროში შევყავართ, როცა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციაში უკვე გაიმარჯვა, მაგრამ გარეშე და შინაურმა რეაქციულმა ძალებმა იერიში მიიტანეს საბჭოთა ხელისუფლებაზე.

— შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები ძალაუფლებას?! — კითხვას სვამდა ვ. ი. ლენინი და პასუხად პროლეტარულ რევოლუციურ არმიასაც ამტკიცებდა. ამ რთულსა და კრიტიკულ-პერიოდს გვაგონებს წითელარმიელ-ბუდიონელის ეკიპირება და ესეც მხატვრის მიერ ისტორიის დოკუმენტურობისა და შემოქმედებითი აღქმის მკაფიო მაგალითად გვერვენება.

მკაფიო, სოციალური და რევოლუციური შეგნებულობის ინტენსივობის სხვადასხვაგარობით გამოირჩევიან სურათის დანარჩენი პერსონაჟებიც, — უკან პლანზე მდგარი ახალგაზრდა მუშა, უქუდო და წინ ქოჩორჩამოვარცხნილი ყრმა კაცი, ვინც ეს-ეს არის ფეხი შედგა დიდ კლასობრივ ბრძოლაში და უკვე იწვინა სოციალური კონფლიქტის სუსტი და სიმძიმე. იგი თავისი წლებისათვის უჩვეულო სევდით არის გამორჩეული, რადგან აგონდება არა მარტო დუხშირი, ადამიანობის გამოხლავი ძველი წყობილების მარწუხანობა, არამედ აფიქრებს და ამოქმედებს ახალი, ადამიანურობის გაშლა-ამაღლებულობის დამაკვიდრებელი აწყოს სიმძიმეც. ამ ჭაბუკი მუშის უკან ჭირნანახი პროლეტარის სახე ჩანს. იგი ტანით მოფარებულია, მაგრამ სახის იერით მაინც ავლენს პროლეტარულ სწორუპოვრობას. წარბებამდე დაშვებული რუსული კარტუზიანი მუშური ქუდი, შრომა-ბრძოლაში ნაწილობი სახე, ბასრად გამჭოლი თვალები, სიმტკიცის მეტყველი ტუჩები, ძლიერების გადმომცემი სწორი ცხვირი, ამაყი და უდრევი კისერი, — აი სახის ის ზოგი

ნაკვთი, რაც შეგნებული პროლეტარის ფსიქოლოგიურ პორტრეტს აჩენს.

სულ ბოლო რიგში კი ნახევრად მოფარებულად მოჩანს წუახნისა და მოხუცი ორი მუშის სახე. ორთავეს ქურქის წედი ხურავს და ორივე შესამჩნევად განსხვავდება გვერდით მდგომ კარტუზიანისაგან. შეიმჩნევა, რომ ესენი მუშათა კლასის, იმ მუშათა ფენას კუთვნიან, ვინც თავისი პროფესით შედარებით მაღალ კონიტიურ დონეზე დგანან, ვიდრე კარტუზიანი პროლეტარი, მაგრამ ამათაც ისევე აძობოქრებთ ილაჯგაწყვეტილობა.

ამ მრავალერსონაური კომპოზიციის იდეური ცენტრი და მხატვრული გამომანათებელი ვ. ი. ლენინის იერსახეა, ბელადი პროლეტარული რეინის კოპორტის სათავეს მოუძღვება და პროლეტარული მოძრაობის თეორიულ და პრაქტიკულ საწყისად იქცევა. მისი იერსახე აბსოლუტურად რეალისტური პროტეტულობით არის დახატული. ენერგიული, შორს მწვდომი გახედვით, როცა თვალების მზერაში აწმოური გარემოცვაც ჩანს და შორეული მომავლის თვალნათელობაც. წარმები ენერგიული პლასტიკურობით რეალური აზრის მოძრაობასა და მოქმედების აზრიანობას. განიერი და მაღალი შებლი რევოლუციური მსოფლმხედველობის სარკედ ბრწყინვას, ოდნავ ჩამუშებული კეფა და ლოკები საზოგადოებრივი მოვლენების დაძაბულობას არეკლავნ, ენერგიული ტუჩები და ძლიერი ნიკაპი საკუთარი მოქმედების და გადაწყვეტის შეურყეველ რწმენას ავლენენ, კისერთან აწეული პალტოს საყელო ბელადის შინაგანი სულიერი ძლიერებისა და მღელვარების მაცნედ იხედება. ჯიბეში ღრმად ჩადებული მარცხენა ხელი გარეგნულ სიმშვიდეს და სიდინჯეს გვაცნობს, ხოლო მარჯვენაში ჩაბლუკული კეპი და მუხლებზე გადაყრილ-გადაფარებული პალტოს კალთა რევოლუციური დაუდგრომელობისა და შემართებულობით წინმავლობის ინსტინქტად აღიქმება. ლენინი ნაჩვენებია ახალი ხედვით, — მთლიანად ექსპრესიულ-პროლეტარულ სამოსში. ერთი მხრივ, ლენინის მთელი ფიგურა და-სატულია ხაზების გაორკეცებული ბლაგვიანობითა და სიმძიმიანობით, მეორეს მხრივ, კი სახის ნაკვთების გრაფიკული დახვეწილობითა და ესთეტიკური პლასტიკურობით. აეტორმა შესძლო ახალი თანამედროვეობისათვის ახლობლური გსთეტიკური ფორმა-ხაზებით დახატა ბელადის ისტორიული იერსახე, მაგრამ ისტორიულ-ტრადიციულ სახე-ნაკვთებს არ გამოაცალა ფსიქოლოგიური დოკუმენტურობის ნიშნებიც. ვ. ი. ლენინის იერსახე წარმოსახულია თანამედროვეობის თვალით, ისე, როგორსაც წარმოიდგენს თანამედროვე ადამიანი თანამედროვეობაში მცხოვრებ ლენინს, მაგრამ ისტორიულ-გამხსენებლობის გუმანსაც უღვივებს მნახველს.

ასეთი მიდგომა სწორი და გამართლებულია, რადგან ლენინს ვხედავთ უარქაულოდ, უმუშეულოდ, ჩვენი ცხოვრების წინმავალ და ჩვენი დღეების იდეურ-ფიზიკურ ცოცხალ წარმმართველ უკვდავ პიროვნებად.

ცდებიან ის მხატვრები, ვინც ლენინის პიროვნებას ისტორიულ-არქაულ საბურავს აძალებენ, ვინც ლენინს წარ-

მოისახავენ ისე, როგორც რევოლუციის პირველი წლების ფერტილობი გვაცნობენ. ყოველი ეპოქა თავისი დროის ზედვის სიმძაფრეს ავლენს და წარსულის აწყობში გადმოტანა ისევე ბევრს აკლებს ისტორიულ პიროვნებას, როგორც აწყობში მცხოვრები ისტორიული გმირის წარსულის ეპოქის ხედვით წარმოსახვაც. ისტორიული პიროვნების პერსონაჟიციერება, როცა ისტორიული პიროვნების ცხოვრება და მოღვაწეობა ერთი რომელიმე ლოკალური ეპოქით არ იზღუდება, არ უნდა შემოიფარგლოს ისტორიული ეთნოგრაფიულობით. ვ. ი. ლენინი წარსულის შვილი არაა. იგი საზოგადოებრივი განვითარების ყოველი ეპოქის წინმავალია და მისი წარმოსახვაც ეპოქათა თანმიმდევრობის უნისონში უნდა ხდებოდეს. ლენინი დღეს გარეგნობითაც ისეთია, როგორც იქნებოდა ფიზიკურად რომ ჩვენთან ერთად ცხოვრა. ცხოვრობს კიდეც, რაკი იგი ჩვენს თანამედროვეობაში მოქმედებს და სულიერად და იდეურად ცხოვრობს. იდეური უკვდავია, ფიზიკური — მოკვდავი. ლენინი უკვდავია თავისი აზრებით, იდებით, რადგან იგი პროგრესული კაცობრიობის იდეის სულიერი და ფსიქოლოგიური ეტალონია, ხოლო ეტალონი არ ისაზღვრება. იგი მზარდსა და ახალთან კავშირშია, ლენინის ცხოველი აზრი თუ სახელი ახალთან ბუნებრივ ზრდასა და განვითარებაშია და ამიტომ მისი ფიზიკური იერსახის გამოხატულებაც ბუნებრივ იდეურ თუ გარეგნულ ახალ ხორცებს მაშია. ვ. ი. ლენინის პორტრეტი მარადიულ შინაგან და გარეგნულ მზარდ ცვალებადობაშია.

ასეთად გხედავთ ვ. ი. ლენინის იერსახეს თანამედროვე მხატვართა ქმნილებებში და ესთეტიკური სიამოვნების გრძნობას გვიმრავლებს ისეთი ღრმაშინაარსიანი, მრავალფიგუროვანი კომპაზიციები, რომლებშიც ყველასა და ყოველივეს იდეურ-აზრობრივ წარმმართველად დიდი ლენინის ღრმად და სასიამოვნოდ დახატული სახეა ნაჩვენები, — კაცის, ვინც სათავე დაუდო ადამიანში გარეგნულისა და შინაგანის ჰარმონიულობას, სულიერისა და ფიზიკურის შერწყმულობას, ფიზიკურის მოკვდავობის უკვდავობას, სწორედ იმას, რასაც ვერ მიაღწია კაცობრიობის ისტორიაში ვერც ერთმა ცოცხალმა ადამიანმა, რადგან ვინც იყო ამის მოწადინე, მათ ვერ შეართეს წარსულისა და მომავლის საზოგადოების ერთი და მრავალი ეპოქის ადამიანების სულიერი და კონიტივური, მორალური და პოლიტიკური ინტერესები. მხოლოდ ვ. ი. ლენინმა დასძლია ეს დაუძლეველი ამოცანა და ამიტომ რჩება იგი ყველა ეპოქის თანამედროვედ. ბუნებრივია, სწორად იქცევიან ის მხატვრები, რომლებიც თავისი დღეების, თავისი თანამედროვეობის, თავისი ეპოქის წინმავალ, დროისა და სივრცის ისრად და კომპასად აქცევენ ლენინს, კაცა და ბელადს.

დიდი სულიერი სითბო და ადამიანური მომხიბვლელობა იგრძნობა საიუბილე გამოფენაზე წარმოდგენილი ლენინიანას ნაწარმოებებში, რომელთაგან აქ მხოლოდ ფერწერული ნაწილი განვიხილეთ. ექსპოზიციაში ბევრია სხვაც, ქანდაკება, გრაფიკა, ლენინური იდეების ცხოვრებაში გატარების მაჩვენებელი მრავალი ნაწარმოები, რომელთა გარჩევა ჩვენი რესუბლიკის ხელოვნებათმცოდნეთა გადაუდებელი ვალია.

3ლადიმერ

0ლიას ქე

ლენინის

დაბადების

100 შლისთავისადგი


მიწადული

საქართველოს

მხატვართა

საიუბილეო

გამოფენიდან



დ. ნოღა.

სურილან „საქართველოში“.



ი. ვეფხვაძე.

ოქტომბრის შტაბი

ვლადიმერ

ილიას ძე

ლენინს

დაბადების

100 წლისთავისადმი

მიძღვნილი

საქართველოს

მხატვართა

საუგილეო

გამოვენიდან



ბ. ყაზაიშვილი.

ლენინი

3ლადიგერ
0ლიას ქე
ლენინის
დაბადების
100 შლისთავისადგი
მიძღვნილი
საქართველოს
მხატვართა
საიუგილეო
გამოფენილან



ჯ. ლოლეა

„ოქტომბრის სიმფონია“
(გ ტაბიძის მოტივებზე)

ମର୍ଦ୍ଦାତ୍ମମର୍ଦ୍ଦା

Է Յ Ա Ր Ա Ց Յ Ե

მზია იაშვილი

სალები და რევოლუცია. რევოლუციის დიდი ბელადი და მისი დიადი იდეების მატერიალურ ძალად გარდაცემა, ექ-სპლოატატორული სამყაროს დასამხობად აღმდგარ მილიონ-თა ხმა, მოქმედებაში მოყვანილი გიგანტური მასის გმირული შემართება, რევოლუციის ძლევამოსილი სვლა.

რა ცხოვლად, ჰეშმარიტად ხელშესახებად შევიცნობთ კლასობრივ მტრებთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერგინებული პროლეტარიატის ამ გმირულ ეპოქეას გ. სკირიდოვის „პათეტიკურ ორატორიაში“. განზოგადების რა ხარისხს-შია აყვანილი ბრძოლისა და გამარჯვების ამ გიგანტური გზის ასახვისადმი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების თემისადმი მიძღვნილი ეს მონუმენტური მუსიკალური ქმნილება.

რევოლუციის მგზნებარე მეტობდის ვ. მაიაკოვსკის ტექსტებზე დაწერილი ეპიკური სუნთქვის ამ ორატორიაში გ. სეირიდოვმა გააცილებლა ეპოქალური მნიშვნელობის ის-

ტორიული მოვლენები. მასშტაბურად, სტიქიური ძალით წარმოსახა დიდი ქარტეხილების ეპოქის ბობოქარი ატმოსფერო, გვიჩვენა მთელი სიღრმე პროლეტარიატისა და მისი დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სისხლხორცეული კავშირისა, ვ. ი. ლენინისადმი საბჭოთა ხალხის სიყვარულის წმინდათა წმინდა გრძნობა გამოსჭივივის პათეტიკური ორატორიის ყოველ ტაქტში. ბელადის რთულ სახეს გხედავთ, ვგრძნობთ ნაწარმოების ყოველ ნაწილში, იქნება ეს კოლექტიური მოქმედი პირის — ხალხის დახასიათებისადმი მიღღნილი ეპიზოდები, თუ მასიდან გამოყოფილი ცალკეული პერსონაჟის პორტრეტული დახასიათება. განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს ორატორიის VI ნაწილი — „საუბარი ამხანაგ ლენინთან“, რომელშიც გ. სეირიდოვი გადატანითი ხერხით ძერწაგს ბრძენი ბელადის სახეს.

როგორც „პათეტიკური ორატორის“ დრამატურგიული

ლოგიკა გვარწმუნებს, ვ. ი. ლენინი ეპოპეის „ცენტრალური მოქმედი პირია“, თუმცა უშუალოდ „არ მონაწილეობს“ განვითარების პროცესში. „მოქმედებას“ წარმართავს მისი იდეების ცხვოვლყოფელი მაგალითი. იგი იმყოფება ყველან და ყოველში.

მსოფლიო პროლეტარიატის უკვდავი სახის ასეთი გააზრება ზემოქმედების განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს გ. სვირიდოვის შესანიშნავ ორატორიას, მუსიკალური ლენინიანას ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშს.

პერიოგულ-ეპიკური სუნთქვის ეს მონუმენტური ქმნილება, რომელიც პირველად 1959 წლის 15 ოქტომბერს იქნა შესრულებული (მოსკოვი, კონსერვატორიის დიდი დარბაზი), შემსრულებელი დირიჟორი ნ. რახლინი, სსრკ სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, სახელმწიფო აკადემიური გუნდი სვეშნიკოვის ხელმძღვანელობით, სოლისტები პ. ვედერნიკოვი და ნ. ისაკოვა), იმთავითვე აღიქვეს როგორც შემოქმედიტრიბუნის, კომპოზიტორი-ნოვატორის ახალი სიტყვა საბჭოთა კანტატა-ორატორიის უარის განვითარებაში.

დრამატულ პლანში ანუ უშუალოდ „მოქმედებით“ ასპექტში გადაწყვეტილი ეს ნაწარმოები ლოგიკური მწვერვალია ეკოლუციის იმ დიდი გზისა, რომელსაც დასაბამს აძლევს 20-ანი წლების საგუნდო შემოქმედება, კერძოდ, ა. დავიდენკოს პერიოგული პათოსით გამსჭვალული მონუმენტური საგუნდო კომპოზიციები („დედაქალაქიდან 10 ვერსის და-შორებით“, „ქუჩა მღლვარებს“).

„პათეტიკურ ორატორიაში“ გ. სვირიდოვმა შემოქმედებითად გარდატეხს მასობრივი რევოლუციური ხელოვნების ტრადიციები. შესძლო ამ უკანასკნელთა წინ წაწევაც და ტრადიციის მემკვიდრეობითობის ჩვენებაც.

გ. სვირიდოვის შემოქმედებითობა მრწამსმა თავისი სრულყოფილი გამოხატულება პოვა, „პათეტიკურ ორატორიაში“ ვ. მაიაკოვსკის ტექსტებზე დაწერილ მონუმენტურ ვოკალურ-სიმფონიურ ქმნილებაში, რომელშიც თანამედროვეობის პოზიციიდან არის აღქმული რუსული კლასიკის, კერძოდ მ. მუსორგსკისა და ა. ბოროდინის ეპიკური ხელოვნების მაღალი ტრადიციები.

თანამედროვეისა და წარსულის დიდი დემოკრატიული ხელოვნების ტრადიციათა ამ ორგანულმა შერწყმამა მასშტაბურობა და სილრმე მიანიჭა გ. სვირიდოვის სტილს, მკვიდრი ნიადაგი შეუქმნა მის ნოვატორულ ძიებებს. ძიებათა ამ გზაზე კომპოზიტორი გონების თვალით სწვდებოდა საბჭოთა მუსიკალური კულტურის უმნიშვნელოვანებს მოვლენებს, სიმფონიის, ორატორიის, ოპერისა და სხვა უარებში მოპოვებულ წარმატებებს, აგრეთვე წარუმატებლობის მიზეზთაც. თაობათა გამოცდილებისადმი კრიტიკულმა მიდგომამ მეტი სიცხადე შეიტანა კომპოზიტორის შემოქმედებით მისწრაფებებში, გამორიცხა მხოლოდ „შემოქმედებითი ინსტინქტით“ ნაკარნახევი გეზით სვლა. სწორად განსაზღვრა როგორც მიზანი, ისე მისკენ მიმავალი საშუალებანი. ეს გარემოება ნათლად ჩანს გ. სვირიდოვის შემოქმედების მაგისტრალური ხაზის — რევოლუციის თემისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში, რომლებშიც ავტორი, ცხადია, ითვალისწინებს ამ თემის გარდატეხის ნიმუშებს, მაგ-

რამ სხვებისაგან განსხვავებული, საგუებით დამოუკიდებელი გზით მიდის. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პარალელი პათეტიკურ ორატორიასა და დ. შოსტაკოვიჩის X I სიმფონიას შორის, რომელიც სვირიდოვის ორატორიაზე ორი წლით ადრე, 1957 წელს არის დაწერილი და რომელშიც ჰეშმარიტად სიმფონიური განზოგადება პპოვა როგორც პერიოდულ-ეპიკურმა შთანაფიქრმა, ისე მისი კონკრეტიზირების საშუალებებმაც. ვგულისხმობთ ნაწარმოების სტილისტურ საძირკველს — რევოლუციურ სიმღერათა ინტონაციებს.


მხედველობაში ვიღებთ რა ამ ორ ნაწარმოებს შორის უანრული სხვადასხვაობისა და ავტორთა შემოქმედებითი ინდივიდუალობების განსხვავებულობის ფაქტს, მივუთითებთ ამ უკანასკნელთა შორის არსებული შინაგანი კავშირის ზოგიერთ ნიშანზე:

- 1) თემის გარდატეხის ასპექტთა მსგავსებაზე, რაც სოციალური ბრძოლის იდეის ობიექტურ-ეპიკურ პლანში ასახვაში ვლინდება;
- 2) მხატვრული იდეის კონკრეტიზირებისას, რაც უშუალოდ „მოქმედების“ პროცესში ხორციელდება; ა. დავიდენკოს პერიოდულ-ეპიკურ ტილოში დრამის პრინციპთა შეღწევას;
- 3) არსებითი მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ ნაწარმოებია ინტონაციური პირველსაწყისების საკითხსაც.

შეგვიძლია მოცემულ ნაწარმოებთა შორის ორგანული კავშირის სხვა ნიშვნების გამომჟღავნებაც. მაგრამ, ვფიქრობთ, გაცილებით არსებითია სწორედ იმ პრინციპულ სხვაობაზე მითითება, რაც თითოეულ მათგანს თავისითავად იერს აძლევს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაგვიძნელდებოდა გ. სვირიდოვის მიერ გადადგმული ნოვატორული ნაბიჯის არსში გარკვევა.


ამ უკანასკნელში გარკვევის გასაღებს გვაძლევს „პათეტიკური ორატორიის“ უანრობრივი მხარე ე. ი. ის ფაქტი, რომ თავისი ნოვატორული მისწრაფებანი გ. სვირიდოვმა სწორედ სინთეტიკურ უანრში განახორციელდა. ამასთან სიტყვისა და მუსიკის ორგანული შერწყმის წარმატებით დამთავრებული ეს ცდა სწორედ „მოქმედების“ ასპექტში გადაწყვეტილ დრამატურგიულ მთელს დაემთხვა. კომპოზიტორი თანდათანობით, აქტიური შემოქმედებითი ექსპერიმენტების გზით მივიდა „მუსიკალური ქმედების“ ტიპის მიზნებადე, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენს „პათეტიკური ორატორია“. ძიებების ამ გზაზე ვხვდებით ვოკალურ პოემას „წინაპართა მიწა-წყალს“ (1950 წ.), და ვოკალურ ციკლს „მე გლეხებაცის შვილი ვარ“ (1957 წ.), ვხვდებით სიმღერა-სცენებს («История про бублики и про баю не призывающую республики») და საკუთრივ ორატორიაც (დაუმთავრებელი ორატორია „დეკაბრისტები“). ვხვდებით მონუმენტური ფორმის ვოკალურ-სიმფონიურ პოემას „სერგეი ესენინის ხსოვნას“ (1956 წ.) და სიმღერებს ს. ბუშევინის, რ. ბერნსის, ა. ბლოკის და სხვათა ტექსტებზე. ასე რომ „პათეტიკური ორატორიის“ შექმნამდე გ. სვირიდოვს დიდი გამოცდილება გააჩნდა როგორც

(გაგრძელება 36-ე გვერდზე)



յ. արշակունյաց

Յ. Ա. Հանոնիսազմո Թօֆլընուլո Ֆլայշեն



Коммунизм - это есть Советская власть
плюс электрификация всей страны

В. И. ЛЕНИН

პოეტური სიტყვისა და მუსიკის შერწყმის, ისე ორიგინალური დრამატურგიული ხერხების ძიების ხაზითაც. როგორც გ. სვირიდოვის შემოქმედების მკვლევარი, ხელოვნებისმცოდნების დოქტორი ა. სოხორი შენიშვნავს: „მაიაკოვსკისთან სვირიდოვი მიიყვანა არა გვერდითმა გზამ, მიხევულმა ბიღიკმა, არამედ მისი შემოქმედებითი განვითარების პირდაპირმა მაგისტრალმა.

ვ. მაიაკოვსკისთან „შემოქმედებითი თანადგომის“ ამ შინაგანად განპირობებულმა ნაბიჯმა განსაზღვრა გ. სვირიდოვის ინდივიდუალობის მთელი სიღრმით გამოვლინება, განაპირობა ის „თვითმიგნება“, როგორც წესი, შემოქმედებით გზაზე ძირეული შემობრუნების წერტილზე ხდება.

თავისი ნიჭის ხასიათით კომპოზიტორი მართლაც რომ მოწოდებული აღმოჩნდა რევოლუციის მგზნებარე პოეტის ლექსის „სრული ხმით“ ასაქვერებლად. მანამდე ვერავინ შეძლო ვ. მაიაკოვსკის ბობოქარი სიტყვის მუსიკალური რიტმის არტახებში მოქცევა, მისი ინტონირების შესატყვის მანერის მიგნება. ამ მხრივ რამდენ ცდას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ყველა წარუმატებლად დამთავრდა, გ. სვირიდოვმა კი პირველმა იგრძნო ვ. მაიაკოვსკის სიტყვის განმაზოგადებელი ძალა, მისი ორატორული პათოსი, ინტონირების პათეტიკური ტონი. ჩაწვდა მისი პოეტური სახეების სიმბოლურ მნიშვნელობას. „პათეტიკურ ორატორიაში“ ვ. მაიაკოვსკის სიტყვა ისევე მბრძანებლურად, მგზნებარედ, ფოლადისებური სიმტკიცით უღერს, როგორც პოეტურ პირველწყაროში. უფრო მეტიც, მის სტიქიურ ძალას თითქოს კიდევ უფრო გაესვა ხაზი. ერთი სიტყვით, გ. სვირიდოვმა გიგანტური მასშტაბის თემის — „ხალხი და რევოლუცია“ ორატორული მგზნებარების ასპექტში გარდატეხის ფაქტი შეიცნო პოეტი-ტრიბუნის შემოქმედებაში. აქედან გამომდინარე შესძლო მისი ნოვატორული პოეზიის სულისკვეთების შეგრძნება და გამოთქმის მანერის განსაკუთრებულობის შესატყვის მუსიკალური ინტონაციის მიგნება. ყოველივე ამან განაპირობა ის დიდი შემოქმედებითი გამარჯვება, რომელიც კომპოზიტორს „პათეტიკურმა ორატორიამ“ მოუტანა. გავიდა 10 წელი და იგი დღესაც ისე სისხლას გესედ, ახლებურად უღერს, როგორც პირველი შესრულებისას, როცა მსმენელი გააოცა რევოლუციური ბრძოლების ქარიშხლიან დღეთა სულისკვეთების გადმოცემის ჭეშმარიტად „გოლიათურმა“ მანერამ.

პერიოდულ-ეპიკური თემის გარდატეხის მონუმენტურმა მასშტაბებმა გ. სვირიდოვი თავისთავად მიიყვანა საბჭოთა მასობრივი სიმღერის, უფრო ზუსტად მისი პირველსაწყისის — რევოლუციური სიმღერის სტილისტურ თავისებურებათა განზოგადებამდე. სინთეტური ქანრის სპეციფიკის „ინტუიტურმა“ გრძნობამ კომპოზიტორის ძიებანი ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, რეჩიტატივის ქმედითი ფორმის მიგნების ხაზით წარმართა. აკი არც უმტყუნა დრამატურგიულმა ალღომ. მოქმედებითობის პრინციპის აქცენტირების პირობებში მან კანონზომიერად მიმართა „გრძელი სიტყვის მოკლედ თქმის“ დიდ ხელოვნებას, ხაზი გაუსვა მუსიკალური მეტყველების „აფორისტულ“ მანერას. ამ უკანასკნელიდან

გამომდინარე, გ. სვირიდოვი ბუნებრივად მივიდა რეჩიტატივის, მელოდიური დეკლამირების პრინციპის ნოვატორულ გააზრებამდე. მუსიკალური გამომსაზღველობის ამ უმნიშვნელოვანების ელემენტის სვირიდოვისული გააზრება რევოლუციური მიტინგების ორატორული მეტყველების პათეტიკური ტონუსიდან მომდინარეობს. აქედან — გ. სვირიდოვის ორატორიის ზეაწეული ტონი და დიდი შინაგანი დინამიკა. აქედანვე მომდინარეობს კომპოზიტორის სტილის დამახასიათებელი თვისება: დეკლამაციური ელემენტისა და საკუთრივ სასიმღერო საწყისის „ურთიერთშეღწევა“. აქ სვირიდოვისათვის, ცხადია, მრავლისმეტყველი იქნებოდა რუსული მუსიკის კლასიკოსთა, კერძოდ მ. მუსორგსკის შემოქმედებითი გამოცდილების მაგალითიც.

თუმცა ცხადია, რომ კომპოზიტორი სრულიად ახალ თვისობრიობაში იძლევა გამომსაზღველობის იმ კომპონენტს: ვ. მაიაკოვსკის სიტყვის „ტონიკური ბუნებიდან“ გამომდინარე სვირიდოვი, ბუნებრივია, მიმართავს რეჩიტატივს, მელოდიურ-დეკლამირებას, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი პირველ ყოვლისა, სიტყვის აზრობრივი ფუნქციიდან გამოდის. ორატორიის მელოდიკაში სინთეზში იქნა მოცემული პათეტიკური ორატორული ინტონაცია და მასობრივი სიმღერის კილოგავები, ე. ი. ის სტილისტური ნიშნები, რომელებიც ორგანულად შეერთვის ვ. მაიაკოვსკის პოეზიის სტილისტურ საფუძვლებს.

პოეტი-ტრიბუნისა და კომპოზიტორ-ნოვატორის მხატვრული აზროვნების ძირითად პრინციპთა ეს დამთხვევა, თუმც კი ბედნიერ გამონაკლის უნდა მიეწეროს, მაგრამ საკუთრივ კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს. როგორც ვ. მაიაკოვსკის, ისე გ. სვირიდოვის რეალისტური ხელოვნება მთლიანად თანამედროვეობაშია. მათი შემოქმედების ფესვები ღრმად არის გადგმული მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს გმირულ წარსულსა და ბედნიერ აქტივობი.

განზოგადების ჭეშმარიტი ძალით არის წარმოსახული „პათეტიკურ ორატორიაში“ გმირული ეპოპეა ხალხისა. რომელმაც გიგანტურ ბრძოლებში სძლია ექსპლოატატორებს, დაამხო კლასიმღერი მტერი და შრომითი გმირების სასწაულები გვიჩვენა ჩვენს ჭეშმარიტი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

„პათეტიკური ორატორიის“ ლიტერატურული კომპოზიცია ვ. მაიაკოვსკის პოემის — „კარგია“ ნაწყვეტებსა და პოეტის ზოგიერთ სხვა ლექსის ემყარება. მასში გხვდებით ნაწყვეტებს აღნიშვნული პოემის X III, X IV, XV, XVI თავებიდან (ორატორიის II და IV ნაწილები), აგრეთვე ცალკეულ ლექსებს: «Левый марш», «Наш марш» (I ნაწ.), „ხრენოვის თხრობას კუზნეცებშენისა და კუზნეცკის ადამიანთა შესახებ“ (V ნაწ.), „განსაკუთრებულ თავგადასავალს, რომელიც გადახდა ვლადიმერ მაიაკოვსკის ზაფხულში აგარაგზე ყოფნისას“ (VII ნაწ.). ორატორიის VI ნაწილში გამოყენებულია ნაწყვეტი პოემიდან „ლენინი“.

პოეტური პირველწყაროებისადმი აქტიური დამოკიდე-

შულება (თვით მაიკოვსკის ზოგიერთი სტრიქნის შეცვლამდე) კომპოზიტორს შესაძლებლობას აძლევს მტკიცედ დაიცვას ლოგიკური თანმიმდევრობა, რომელსაც ითხოვს ნაწარმოების მხატვრული იდეის კონკრეტიზირება.

გამკვეთი განვითარების პრინციპიდან გამომდინარე გ. სვირიდოვი პეტრი შინაგანი დინამიკით აღმატებილ დრამატული მთელს, რომლის 7 ნაწილი ერთმანეთს დრამატული კონტრასტის ხერხით უკავშირდება. „პათეტიკური ორატორია“ არ წარმოადგენს „ჩაეტილი“ სიუჟეტური ხაზის მქონე ნაწარმოებს. იგი ორატორია-ეპიპერა, რომლის თითოეულ ნაწილს თავისი დრამატულგიული ფუნქცია აქვს. ამ მონუმენტურ კომპოზიციას ავტორი სამი დიდი ემოციური პლასტის მონაცვლეობა-დინამიკური ზრდის პრიციპზე აგებს:

1. „ხალხთა სატუსალოს“, თვითმპყრობელური რესეთას პოლიტიკური რეჟიმის დასამხობად გადამწყვეტი იერიშის მიტანა, რევოლუციის ძლევამოსილი სვლა.

2. ქვეწის სოციალურ-ეგონომიური განახლების პროცესი და ახლის შენების გზაზე წარმოქმნილი სიძნელეები. ღრმა რწმენა მათი გადალახვისა.

3. შრომით ფერხულში ჩაბმული მილიონების შემართების ხმა, როგორც ბედნიერი მომავლის საწინარი, ემოციური უღრადობის სხვადასხვა ტონუსში წარმოსახული ეს დინამიკური პლასტები გამკვეთი განვითარების ერთიანი ხაზით არის ერთმანეთთან დაკავშირებული, თუმცა კომპოზიტორი არ მიჰყება სიმფონიური განვითარების ტრადიციულ პრიციპებს.

ნაწარმოების შთანაფიქრიდან გამომდინარე გ. სვირიდოვი უპირატესობას ანიჭებს კომპოზიციური მთლიანობის სპეციფიკურ ხერხებს, რომლებიც ორატორის სტილისტური საფუძვლებით არის ნაკარანახვი. აქ, უთუოდ, მოგვიხდება იმის ხაზგასმა, რომ სასიმღერო საწყისი, უფრო ზუსტად სიმღერა (ვგულისხმობთ ორატორიული მგზნებარებით „წართქმულ“ მასობრივ სიმღერებს) გ. სვირიდოვის სტილში გამოხატულებას პოვებს როგორც უანრული კატეგორია, როგორც სტილისტური ფაქტორი და როგორც სახოვანი განზოგადების პრიციპი. აქედან „პათეტიკური ორატორის“ როგორც „კომპოზიციური“ სქემის, ისე მისი მელოდიკის ტიპის თავისებურება.

კომპოზიციური ტიპის მხრივ მოცემული ორატორია საგრძნობლად განსხვადება აღნიშნული უანრის კლასიკური ნიმუშებისაგან.

გრანდიოზული „სცენა-ქმედების“ კინემატოგრაფიული კადრების სისწრაფით ცვლის პრიციპზე დაფუძნებული, იგი არსებითად ღია ცის ქვეშ და არა საკონცერტო დარბაზში შესასრულებლად განკუთვნილი ნაწარმოებია. ამაზე მიუთითებს ნაწარმოების მონუმენტური მასშტაბების შესატყვისის ორგანიზრობაც (სიმფონიური ორკესტრის დიდი შემადგენლობა — 8 ვალტორნა, 6 საყვირი, 6 ტრომბონი, ტუბა, ორი როიალი, ორღანო) და საგუნდო კოლეგივის 160-200 შემსრულებლით განსაზღვრაც.

„პათეტიკურ ორატორიაში“ შეგნებულად გაჰყვა ახალი

კომპოზიციური ხერხების ძიების გზას. ნაწარმოებში ვერ ნახავთ ტრადიციულ სემებში დაწერილ გერც ერთ ნაწილს. აქ ვერ შეხვდებით რეპრიზულ მონაკვეთებს ამ სიტყვის ჩვეული გაეგბით, თუმცა ფორმის სიმეტრიულობისაკენ მისწრაფება თანდაყოლილი ნიშანია დინამიკური crescendo-პრიციპზე აგებული ცალკეული ნაწილებისა. თემატიური მასალის გარიაციულ-გარიანტული განვითარების პრიციპი, რომელსაც კომპოზიტორი მიმართავს, ორგანულად ერწყმის ინტონაციური კავშირების ხერხს. აქედან რეპრიზულობის პრიციპის გატარება დრამატულგიული განვითარების დიდ საფეხურებზე. ასეთი კავშირების შენიშვნა ძნელი არ არის ორატორის სეპოზიციურ ნაწილში, განვითარების საფეხურზე და დრამატული იდეის განმაზოგადებელ ფინალურ მონაკვეთზე. სხვა საკითხია, რომ ყოველივე ეს გ. სვირიდოვთან „სწორაზოვნად“ კი არ ვლინდება, არამედ ნაწარმოების ინტონაციური წყობის, კილო-ჰარმონიული კანონზომიერებებისა და რიტმული სტრუქტურის დამახასიათებელ ელემენტთავის „გამკვეთი“ ფუნქციის მინიჭებაში იჩენს თავს. დრამატულგიული კონტრასტის პრიციპის, როგორც ფორმის შემცნელი ფაქტორის ქმედითი გამოყენების პირობებში „გამკვეთი“ ფუნქციის ეს ელემენტები მკვიდრ მოტელად პერავენ მასშტაბურ კომპოზიციას.


ჭეშმარიტად გიგანტურია ორატორის სახეთა და მოქმედების მასშტაბები. მონუმენტურობის ამ გრძნობას ბადებს მხატვრულ სახეთა „მსხვილი შტრიხის“ პრიციპით გამოქრწვა, რამდენადმე ლაპიდარული, მაგრამ არაჩეულებრივად ლოგიკური მანერა მუსიკალური აზრის გადმოყვამისა. აქედან სტილის მონუმენტურობაც და სისადავეც, სახეთა კონკრეტულობაც და განზოგადებულობაც. „პათეტიკურ ორატორიაში“ ძალადაუტანებლად შეთავსდა პლაკატურობის ნიშნები და მოქმედ გმირთა პორტრეტების გამოძრეწვის, დრამატულ „ქმედებათა“ ასახვის „ფრესკული“ მანერა. ასეთი შეთავსება იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს.

სვირიდოვი-დრამატურგის ამ „ინტუიტური ალღოს“ წყალობით ორატორიაში ჭეშმარიტად ეპიკურ მასშტაბებში გამოიკვეთა კოლეგიტური მოქმედი გმირის — ხალხის სახე, აგრეთვე მასიდან გამოყოფილ ცალკეულ პერსონაჟთა პორტრეტებიც.

„მსხვილი პლანით“ ნაჩენები ამ სახეების დიდი ფსიქოლოგიური სიღრმე ოდნავადაც არ მოდის წინააღმდეგობაში, მუსიკალური აზრის გადმოცემის „აფორისტულ“ მანერასთან, რომელსაც კომპოზიტორი მიმართავს. პირიქით, მოქმედების განვითარების პროცესში სულ უფრო ნათლად ვრწმუნდებით რაოდენ შესატყვისება ეს უკანასკნელი ნაწარმოებში ჩაქსოვილ დრამატიზმს.

დრამატული კონფლიქტის მთელი სიმწვავე შეიგრძნობა „პათეტიკური ორატორიის“ პირველივე ტაქტებიდან. დრამატულგიული განვითარების ეს აღმაგალი საფეხურები, რომელიც ორატორიის I, II და III ნაწილებს მოიცავს, მოქმედების ისეთ ზღვრულ ხარისხშია მოცემული, რომ მას ნაკარის მოცემული სტრუქტურის მიერთობა და მას გამოიყენება მასშტაბურ კომპოზიციას.

(გაგრძელება მე-40 გვერდზე)



მ. მინასაროვ-იოსელიანი.

საბჭოობისათვის



დ. ნოღია.

1921 წელი

ვლადიმერ

ილიას ძე

ლენინს

დაბადების

100 წლისთავისადმი

მიძღვნილი

საქართველოს

მხატვართა

საიუგილეო

გამოვენიდან



ჩ. შუკვანი.
ძალაუფლება საბჭოებს

ლებად შეეფერება ტრადიციული განსაზღვრება — „ექსპოზიციური მონაკვეთი“.

ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, უშუალოდ მოქმედების აქტივიზირების მომენტიდან იწყებს გ. სვირიდოვი „სცენურ პლანში“ განვითარებულ პერიოდულ ეპოქეას. წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ორატორიის პირველი ნაწილი — „მარში“, რომელშიც ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილი სვლის გრანდიოზულ სურათს იძლევა კომპოზიტორი. ნაწარმოების ამოსავალი წერტილის „ქმედით“ ასპექტში გარდატეხა სვირიდოვი-დრამატურგის უდავოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. კომპოზიციური მთელის ამოსავალი წერტილის ასეთმა გააზრებამ სტიქიური ძალით შეგვაგრძნობინა გრანდიოზული „სცენაქმედების“ ბოძოქარი სული, გადამწყვეტი საბრძოლო იერიშის მთელი დრამატიზმი.

„მოქმედების“ მძლავრ ბიძგად იქცევა სოლისტი — ბანის პათეტიკური შეძახილი, პოეტი-ტრიბუნის მიერ აბობორებულ მასაში გადასროლილი მგზებარე მოწოდება: „Разворачивайтесь в марше!“, „რევოლუციის მიერ მობილიზებული და გაწვეული“ პოეტის ორატორულ სიტყვას უერთდება აზვირთებული მასის „ფეხის ხმა“. კუპლეტური ფორმიდან ამოზრდილი, ერთი სუნთქვით გამსჭვალული ეს დინამიკური მთელი ძევლი სამყაროს ნგრევისა და ახლის დამკვიდრების გარდუვალობის სიმბოლოდ იქცევა. საგუნდო სიმფონიზმის ტრადიციათა ნოვატორული გარდატეხის შედეგად გ. სვირიდოვმა „ყოფით“ ფორმას — „მარშს“ ახალი სული შთაბერა. ჩამოაცილა ჟანრული „დანაშრევები“ და დრამატული „ქმედები“ უმაღლეს ხარისხში წარმოგვიდგინა. დინამიკური crescendo-ს პრინციპზე აგებული ამ ნაწილის ინტონაციური საძირკველი, როგორადაც წარმოგვიდგება ორატორული მეტყველების ელემენტთა განზოგადების გზით წარმომდგარი ექსპრესიული ფრაზა, თავისთავში უკვე შეიცავს მოძრაობის, წინსვლის იმპულსებს. არანაკლებ საყურადღებოა მისი დრამატურგიული ფუნქციაც. იგი ხომ ორატორიის „გამკვეთი“ ინტონაციური მარცვალია. მაშასადამე, კომპოზიციური მთლიანობის მიღწევის აქტიური საშუალებაა. დორიულ სექსტაზე ნახტომის შემცველი ეს ინტონაციური ბირთვი, რომელიც „მარშის“ ძირითად ტონალობა F — durs-ში პლაგალურობის შეგნებას აძლიერებს, თავდაპირველი მხატვრული სახის ძირეული გარდასახვის ბიძგს წარმოადგენს. მოძრაობის წინსვლის განმაპირობებელი ფაქტორების თვალსაზრისით არანაკლებ საგულისხმოა დისონირებული ბერათშეხამების: des-f-as და d-des-g ერთდროულად უღერადობის გზით წარმოქმნილი გაბმული ბანი. იგი „მჭახე“ უღერადობის სათანადო ეფექტს ჰქმნის და მძაფრად შეგვაგრძნობინებს ემციური აღტკინების იმ ხარისხს, რომელიც პოეტი-ტრიბუნის პათეტიკური შეძახილებიდან გამოსჭვივის. აღნიშნული დისონანსის განსაკუთრებულად ხაზგასმის ნათელსაყოფად საკმარისია მხოლოდ შემდეგ ფაქტზე მითითებაც კი. მოცემული ბერათშეხამება აღიქმნება 6 ტრომბონის, ტუბის, ტიმპანის, გონგის და 2 ფორტეპიანოს ერთობლივ უღერადობაში.

განწყობილების აღმატებითი ხარისხისადმი სწრაფვის პირობებში, რაც გრანდიოზული „სვლა-ქმედების“ მონაწილეთა ახალი წყებების შემომატებასა და საიერიშო განწყობილების უკიდურეს გამძაფრებაზე მივვანიშნებს, სმენით წარმოსახვაში სულ უფრო მკაფიოდ მტკიცდება სოლისტის დეკლამაციური ფრაზის ყოველი დეტალი (მგვეთრი ნახტომები დორიულ სექსტაზე, ნახტომი კვარტაზე, სინკოპირებული რიტმის ხაზგასმა). განწყობილების დაბაბულების ზღვრულ წერტილში განსაკუთრებული ძალით უღერს პოეტი-ტრიბუნის ბრძანებლური ფრაზა: „ЛевоЙ! ЛевоЙ! ЛевоЙ!“ რომელშიც „გაშიშვლებული“ სახით ხმოვანებს I ნაწილის ჟანრობრივი პირველსაფუძვლის — მარშისათვის ესოდენ დამახასიათებელი კვარტული საქცევი. ორატორის ამ მგზნებარე მოწოდების პასუხად საბრძოლო დროშის ქვეშ დგება და გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლა-სათვის ირაშება მილიონობით ადამიანი. ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მამაკაცთა უნისონური გუნდის ჩართვის ქამენტი. იგი იმდენად მკაფიოა სახოვნების თვალსაზრისით, რომ ჟეშმარიტად სცენურ ეფექტს ახდენს. გამარჯვების ურყევი რწმენით, რკინისებური ნებისყოფით გამსჭვალულ მარშში მართლაც რომ მილიონობით ადამიანის ფეხის ხმა ისმის. აი სად შევიგრძნობთ რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის იდეათა მატერიალურ ძალად გადაქცევის მთელ სიდიადეს, „მარშის“ მეორე დინამიკურ ტალღაში ხალხის ბოძოქობის ხმას კიდევ უფრო „ახლო“, თითქმის „რეალურად“ შევიგრძნობთ. ასეთ შთაბეჭდილებას აძლიერებს „საგუნდო ორკესტრობაში“ მომხდარი ცვლილება. მამაკაცთა უნისონურ გუნდს ქალთა ხმები შეერწყმის. ეს ცვლილება ხატოვანად მიგვანიშნებს, რომ ხალხის მრავალათასინ მწყობრს სულ ახალი და ახალი ძალები ემატება. ახლა ამ აბობორებულ ტალღას წინ ვეღარავითარი ზღუდე ვერ დაუდგება. მოქმედების აქტივიზირების ავსაფერულზე კომპოზიტორი რამდენადმე ვარირებული სახით წარმოგვიდგენს თემატურ მასალას. განსაკუთრებით უსვამს ხაზს პარმონიულ ფაქტორს, როგორც კოლორისტულ საშუალებას. ამ უკანასკნელს იყენებს ფაქტურის დინამიზირების შიზნითაც. აქ ჩვენ უურადღებას მივაქცევთ ტონიკის შორს, „სიღრმეში“ გადატანის ტენდენციას, რაც სუბდომინანტური ფუნქციონალობის წინწამოწევის პირობებში ფორმის უწყვეტობის შთაბეჭდილებას ჰქმნის. „ჩაკეტილი“ ფორმის გადალახვის ამ ტენდენციის მთელი მნიშვნელოვანება ნათლად ჩანს I ნაწილის დინამიკურ რეპრიზაში, ე. ი. „მარშის“ მესამე დინამიკურ ტალღაში, რომელიც მთელი ნაწილის აზრობრივ-ემოციურ კულმინაციას წარმოადგენს. კულმინაციისაკენ სწრაფვის ეს გზა იმდენად თავისებურია, რომ ძნელია ამ უკანასკნელის პარალელის ძიება.

მასების რევოლუციური აღტკინების გულმინაციურ მომენტში გამარჯვების პერსევეტივა უკვე ნათლად ჩანს. ასე აღიქმება კვარტული ნახტომის შემცველი მელოდიური საქცევი, რომელშიც კომპოზიტორი საკუთარივ „სასიმღერო“ ელემენტის ხაზგასმას ახდენს. „Радуғა, რადугა, დაილ კონა“ ეს ფრაზა აღიქმება როგორც რწმენა რევოლუციური ბრძოლის გამარჯვებით დამთავრებისა.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მომდევნო ეპიზოდი. წ-ზე ხმოვანი ფანფარების (საყირის პარტია) უღერა-დობა მოულოდნელად ერთ წერტილზე იყინება. ხალხის ზღვა თითქოს წამით შეჩერდა, რათა სულიერი აღტყინების ახალი ბიძგი მიიღოს პოეტი-ტრიბუნის ღრმააზროვანი სი-ტყისაგან. თუმცა ეს უკვე სიტყვა კი არა, არსებითად ექს-ტატიკური შეძახილია. ზასისა და წინამდოლის სრული ერთსულოვნების გადმოცემის ამ მომენტში გ. სვირიდოვი საკუთრივ „სიმღრას“ უშუალოდ მეტყველებაში გადაზრ-დის. „ვიდით, სკუში ვეზდნому ჩენი“, — მიმარ-თავს ორატორი მასას და მსმენელის წინაშე თითქოს „კოს-მიური“ სახები წარმოდგება. ბედნიერი მომავლის სიმბო-ლის განჯვრეტად აღიქმნება ზემოქმედების დიდი ძალის შემცველი მომდევნო ფრაზა: „ეს, ბოლშая მედведი-ცა! ტრებუ!“.

ფართო სუნთქვაზე მოცემულ ამ ფრაზაში გ. სვირიდოვი შლის ზღვარს მელოდიურ დეკლამირებასა და სასიმღერო საწყისს შორის. მოცემული ფრაზის გამომსახველობას აძ-ლიერებს ორანოს უღერადობის შემოტანა, ინსტრუმენტი-სა, რომლის ხმოვანებაც „კოსმიურ“ ხედვასთან ასოცირდე-ბა, ამაღლებულის გრძნობას ბადებს, და კვლავ წინსვლითი მოძრაობა. მბრძანებლურად უღერს ორატორის კარგად ნაც-ნობი შეძახილი: „ლევოი! ლევოი!“ ამჯერად სოლისტი მას უკვე ძახილით წარმოთქვამს. გრანდიოზული მწყობრის გამაყრუებელ ხმაურში სიმღერით ნათქვამი სი-ტყვა სწორედ რომ არ მოაწევდა მოიერიშეთა ყურამდე.

ეპიკური გაქანებით დახატული ამ მონუმენტური დრამა-ტული „სცენისადმი“ მკვეთრ კონტრასტს ჰქმნის ორატო-რის II ნაწილი.

„ორობა გენერალ ვრანგელის გაქცევის შესახებ“, — ასე ეწოდება ვრცლად გაშლილ დიალოგიურ სცენას, რომელ-საც განწყობილების სრულიად განსხვავებულ სფეროში გა-დაგყავართ.

„გლოვის ზარივით“ ყრუდ, შემაძრწუნებლად უღერს ქო-რალი, გადმოცემული a capella-ს სტილში (შემდეგში მას საორკესტრო ხმებიც შეერთვის). ქველი სამყაროს გარდაუ-ვალი დამხობის სიმბოლოსავით ხმოვანი „არქაული“ იე-რის ამ საგალობლის ფონზე (თითოეულ პარტიაში გამოყო-ფილი სამი შემსრულებლის გარდა ყველა მოკუმული პირით მღერის, ისიც ppp-ზე (იშლება „მეტყველება“, რომელიც თეთრგვარდიელი გენერლის — ვრანგელის სევასტოპოლი-დან გაქცევის სურათს წარმოგვისახავს. პოეტი-ტრიბუნი ამ ფაქტს მოვითხრობს მისი უშუალო მოწმის — ებრაელი მუშის პავლე ილიას-ძე ლავუტის ნაამბობის მიხედვით.

ნაწარმოების შთანაფიქრმა მოიტანა და გ. სვირიდოვმაც გაბეჭდულად გადადგა კიდევ ერთი ნოვატორული ნაბიჯი. მიმართა მუსიკალური აზრის გაშლა-განვითარების ისეთ პრინციპს, რომელიც, როგორც წესი არ იხმარება მონუმენ-ტური პლანის ვიკალურ-სიმფონიურ ქმნილებებში. მხედვე-ლობაში გვაქვს მუსიკალური აზრის გადმოცემის დიალოგი-ური პრინციპი, რომელსაც კომპოზიტორმა აქ საგსებით შეგ-ნებულად მიმართა, რათა უშუალოდ „სცენურ პლანში“,

კონტრასტულ სახეთა დაპირისპირებაში ეჩვენებინა ძლიერი მტრის დამარცხების მთელი მნიშვნელოვნება.

„პათეტიკური ორატორის“ II ნაწილის „მოქმედება“ ერთდროულად სამ სიბრტყეში მიედინება. ქმედით ელემენ-ტად აღიქმნება ქორალი (ინტონირდება g-თილ-ში, ნაწილის ძირითად ტონალობაში), რომელიც მოქმედების განვითარების მხოლოდ საგუნდო ფონი როდია. როგორც ვთქვით, იგი ძველი სამყაროს ნგრევის გარდუგალობის სიმ-ბოლოსაც წარმოადგენს.

„ყოფითობის“ კონკრეტული ნიშნები „სცენურად“ ხელ-შესახება ხდის სოლისტი — ბანის პათეტიკურ „თხრობას“, რომელშიც გენერალ ვრანგელის სევასტოპოლიდან გაქცე-ვის ამბავია გადმოცემული. და რა თქმა უნდა, უკვე სავ-სებით „თეატრალურ“ შთაბეჭდილებას ახდენს ვრანგელისა და მენიჩიბის სიტყვაძირი, მაგრამ დიდი შინაგანი დრამა-ტიზმით აღბეჭდილი დიალოგი. II ნაწილში განსაკუთრე-ბულ ყურადღებას იპყრობს სოლისტი — ბანის პარტია, რომლის „ინტონირების“ მანერა სვირიდოვი-დრამატურ-გის კიდევ ერთ ბრწყინვალე მიგნებას წარმოადგენს.

პონკრეტული „სცენური სიტუაციიდან“ და ვ. მაიაკოვს-კის სიტყვის ბუნებიდან გამომდინარე, კომპოზიტორმა მი-ზანშეწონილად ჩათვალა ამ უკანასკნელში საკუთრივ დეკ-ლამირების პრინციპის შემოტანა, ე. ი. უშუალოდ მეტყვე-ლებაზე გადასვლა. უშენო თორატორის II ნაწილს და აშ-კარად გრძნობთ, რომ „ძველი სამყაროს“ გადასარჩენად აღზევებული ამ „სამღლოვიარო ღაღადისის“ ფონზე სიმღე-რით ნათქვამი სიტყვა უადგილო იქნებოდა. იგი დაკარგავ-და გამოსახვის დრამატულ ძალას, ფსიქოლოგიურ სიღრმეს.

ინტერვენტთა მიერ რევოლუციის მონაპოვართა ხელყ-ფის ცდა სრული მარცხით დამთავრდა. ასეთი დასასრული წინასწარ იყო განპირობებული პროლეტარიატის დიდი ის-ტორიული გამარჯვებით — ოქტომბრის რევოლუციის გან-ხორციელებით.

გ. სვირიდოვს მშვენივრად აქვს ნაჩვენები მოვლენათა ეს ურთიერთკავშირი. აღბათ ამიტომ აქვს ასეთი დამაჯერებ-ლობა მის მიერ თეთრგვარდიელთა ბრძოდან კონკრეტული ტიპაჟის გამოყოფას (გენერალი ვრანგელი, მენიჩიბე) და მა-თი პორტრეტების თუმც კი ძუნწი შტრიხებით, მაგრამ ფსი-ქოლოგიურად ზუსტად ხორციელებას. იგივე შეიძლება ითქ-ვას ერთ წერტილზე გაყინული ქორალის და სოლისტი-ბა-ნის („მთხოვნელი“) პარტიას შორის ფსიქოლოგიური კონტრასტის ხაზგასმაზეც.


შექმნილი სიტუაციის დრამატული განსაკუთრებული სი-ღრმით გადმოსცემს დიალოგი გენერალსა და მენიჩიბეს შო-რის, რომელიც უშუალოდ მეტყველების ასპექტშია გარდა-ტეხილი.

ორატორიის II ნაწილის ასეთი სიღრმით ასავის შემ-დეგ გ. სვირიდოვი კვლავ კონტრასტულ ემციურ პლანში „გადართავს“ მოქმედების განვითარებას.

ნაწარმოების ექსპოზიციური მონაკვეთის ეს დამამთავრე-ბელი ნაწილი პერეკოპის ბრძოლების გმირების, უფრო ფა-

გ. ამბოქაძე.

ლენინის ჯარისკაცები მოვიდნენ





ქ. ჯაფარიძე.

ჩემი სოფელი

ვლადიმერ

0ლ0ას ქე

ლენინის

დაბადების

100 წლისთავისადმი

მიძღვნილი

საქართველოს

მხატვართა

საიუბილეო

გამოფენიდან



ქ. გელაშვილი.
დედა

რთოდ, სამოქალაქო ომის გმირთა განციდებას ეძღვნება, რევოლუციის მონაპოვართა შეუდრევებელი დამცველებისადმი მიძღვნილი ეს ჰიმნი (III ნაწ.) ეპიკურ პლანში გაშლილ სახოტბო სიმღერას წარმოადგენს.

გუნდის თემატური მასალა საბჭოთა მასობრივი სიმღერის ინტონაციათა განზოგადებას ემყარება. მასში ძნელი არ არის ყველასათვის კარგად ცნობილი სიმღერების: „ერმაკი“, „კომუნარების დახვრეტა“, „იქ, მდინარის გაღმა“, „დიდებული ზღვა, წმინდა ბაიკალი“ ინტონაციათა შეცნობა, მაგრამ ყოველივე ამას არაფერი აქვს საერთო ციტირების მეთოდთან. უფრო სწორი იქნება, თუ ამ ხერხის მომარჯვებას გარკვეული დრამატურგიული პრინციპის გამოვლინებად ჩავთვლით.

საზეიმო განწყობილების უნაპირობის შეგრძნება, რაც ასეთი ძალით არის გადმოცემული პერიკული ტონუსის ამ მონუმენტურ ჰიმნში, ვრცლად გაშლილი მელოდიის პრინციპზე დამყარებულ სტრუქტურულ მთელში პპოვებს განზოგადებას. მისი ამოსავალი წერტილი კუპლეტური ფორმის სიმღერაა, თუმცა, დინამიკური crescendo-ს პრინციპის ოსტატურად გამოყენების და მხატვრული სახის მასშტაბურად ჩვენების ტენდენციიდან გამომდინარე, ორატორია I III ნაწილში აგტორი „სიმფონიური სუნთქვის“ სრულ შთაბეჭდილებას ჰქმნის. მდორედ, მაგრამ დიადად ქღრს დიატონური მელოდია (გადმოსცემენ ბანები), რომელიც I III ნაწილის საფუძველს წარმოადგენს, მასში აშკარად გამოსჭვივის მარშის რიტმი, მაგრამ აქაც, ისევე როგორც I ნაწილში, კომპოზიტორი საგრძნობლად შორდება კუპლეტური ფორმის სიმღერა-მარშს, ისტრაფვის დინამიკური ხაზის უწყვეტობისაკენ. განვითარების ხაზის განუხრელი აღმაღლობისაკენ თავის ამ სწრაფვაში გ. სვირიდოვი იხრება ფრაზის გარირებისა და „ფართო სუნთქვის“ თემატური პლასტების უღერადობის განვრცობის, „სივრცეში განფენის“ ტენდენციისაკენ. ყოველივე ეს კომპოზიტორს ხელს არ უშლის რეინისებურ რიტმში მოაქციოს მუსიკალური აზრის განვითარება.

საზეიმო განწყობილების აღზევება, რომელიც ასე ძლიერად აქვს კომპოზიტორს გადმოცემული, მარტივი, მაგრამ უაღრესად მეტყველი ხერხებით იქმნება. მთლიანობის, ფორმის შინაგანი გამიზნულობის შეგრძნება, რომელიც მდორე რიტმში ინტონირებულ ამ სახოტბო სიმღერას დაპკრავს (ტემპი Aodante maestoso), პირველყოვლისა, ტონალური ცენტრის — G-dur-ის მყარად შენარჩუნებით არის განაირობებული, თუმცა ხშირია მოდულაციები ტერციით დაშორებულ ტონალობებში. „შუქჩრდილების“ ასეთი განაწილებით განწყობილების სხვადასხვა ნიუანსთა ხაზგასმის შესაძლებლობა იქმნება.

ამ მხრივ უაღრესად შთამბეჭდავია განვითარების საფეხურის რამდენადმე მღელვარე ტონუსი (აღნიშვნაც კი აქვს — Appassuonato). შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ მომენტში საორკესტრო მსარეში „მყაფიოდ იკვეთება ორატორიის „გამკვეთი ინტონაციური ბირთვი, მარშის რიტმით აღმეჭდილი ფანფარული მოტივი — I ნაწილიდან.

III ნაწილის ზეაწეულ ტონუსს განაზოგადებს დინამიზირებული რეპრიზა, რომელშიც უაღრესად ღრმა შთამბეჭდილებას ახდენს E-dur-იდან C-dur-ში გარდასახვის (კოლორისტული უფექტი) მომენტში ხმოვანი ექსტატიტური შეძახილები: „დიდება! დიდება! დიდება!“. ეს უკანასკნელი პევეთს თრაგესტრის მძლავრ ხმოვანებას.

განწყობილების ზრდის ამ ზღვრულ წერტილზე ორატორიის მოქმედება განვითარების სრულიად სხვა ასპექტში გარდაისახება, „პათეტიკური ორატორიის“ მოცულობის მხრივ ყველაზე გავრცელილი ექსპოზიციური საფეხური (I, II და III ნაწილები), რომელიც გაუღენთილია პერიკვისა და ეპოსის სულით, დრამატული კონტრასტის ხერხით „გადაირთვება“ განსხვავებულ ემოციათა სფეროში. ამ უკანასკნელში წინ წამოიწევს განწყობილების ლირიკული ტონუსი. აქედან განცდის შინაგანი დრამატიზმის, მხატვრული სახის ფისკოლოგიზირების ტენდენცია, რომელიც ასე ნათლად მუღავნდება ორატორიის ლირიკულ ცენტში (IV, V და VI ნაწილები).

დრამატურგიული განვითარების ამ ახალი ეტაპის დასაწყისი ემთხვევა „ლირიკული პერიული“ პლანში „გარდატეხილ ნაწილს — „ჩვენი მიწა-წყალი“ (IV ნაწ.).

უაღრესად დახვეწილი საორკესტრო შესავლის ფონზე, რომელსაც ჰქმნის გაბმულ ბანზე (C-polin-i-ის ტონიკა) ინტონირებული პენტატონური მონამღერი, დინჯად, აუჩქარებლად იშლება სოლისტი — ბანის ლირიკული მონოლოგი. მასში მშობლიური მიწა-წყალის სიყვარულის მაღალი გრძნობა გამოსჭვივის, თითქოს მშობლიური ბუნების სუნთქვაც კი შეიგრძნობა. ამიტომ არის, რომ ამ ნაწილში გამართლებას პპოვებს თვით ბეგრწერითი მომენტებიც კი (ბულბულის სტევნის იმიტირება).

ისევე როგორც წინა ნაწილების, ამ მონოლოგის სტრუქტურაც კუპლეტური ფორმიდან ამოიზარდა.

ამზე მიუთითებს მარტივი აღნაგობის ფორმის ისეთი დამახასიათებელი კომპოზიციური პრინციპებისადმი მიმართვა, როგორებიც არის განმეორებითობა და თემატიური მასალის ვარირება-კოლორირება. ორატორიის IV ნაწილში სწორედ ამ გზით არის მიღწეული თავდაპირველი განწყობილების დრამატულ ასპექტში გარდასახვის ის ხარისხი, რომელიც მძაფრად, დრამატულად წარმოთქმულ ფრაზაში — Но землю которую завоевал и полуживую вы нянчил — გამოსჭვივის. მონოლოგის განვითარების ამ კულმინაციურ მომენტში, რა თქმა უნდა, შემთხვევით არჩნდება აღნიშვნა Marciale და არც ყრუ დარტყმის ეფექტის ხაზგასმა ორკესტრში. ეს უკანასკნელი გამკვეთი დრამატურგიული ფუნქციის მქონე იმ ინტონაციურ ბირთვთან იწვევს ასოცირებას, რომლის აქცენტირებას უკვე თრატორიის ამოსავალ წერტილზე აქვს ადგილი. მარშის, „ფეხის სგლის“ ხმა მკაფიოდ ისმის IV ნაწილის დამამთავრებულ აკორდულ სვლებში.

„გამკვეთი“ აღნაგობის წინამდებარე ნაწილებისაგან მკვეთრად გამოიჩინა „პათეტიკური ორატორიის V ნაწილი — „აქ აყვავდება ქალაქი-ბაღი“. სამნაწილიან სქემაში ჩაქსოვილი ეს ვრცლად გამლილი დინამიკური მთელი საპ-

ჭოთა ადამიანების შრომით რომანტიკას ასახავს. თავისი შინაგანი ტონუსით იგი ორატორიის იმ სახვათ სამყაროს-თან არის ახლო, რომელიც III ნაწილში აღიძეს.

არსებითად, ეს ნაწილიც კუპლეტური ფორმიდან არის ამოზრდილი. დაცულია დამწყებისა (მეცო-სოპრანო-სოლო) და გუნდის მონაცელების პრინციპი. მუსიკალური აზრის განვითარება ემყარება კვინტური საქცევის შემცველ მელოდიას (მასში „გამკვეთი“ ელემენტი დორიული სექტა იღებს გამოხატულებას), რომლის დეკლამაციური იერი „ჩურჩულით“ წარმოთქმული, მაგრამ აზრობრივად უაღრესად მნიშვნელოვანი სიტყვის შეგრძნებას იწვევს. მოძრაობის, აქტიური ქმედების ის სულისკვეთება, რომელიც ამ კეთილშობილური სისადავის მონამღერში გამოსჭივის (საორესტო თანხლებაში კვინტური საორდანო ფონი Cis — mIII-ის ტონიკაზე) გაძლიერებულია მეთექვსმეტე — დების უწყვეტი პულსირებით. მოცემული მასალა რეფრენივით გასდევს მთელ ნაწილს (ფორმა კუპლეტური). ფორმის, დინამიზირების პრინციპიდან გამომდინარე, გ. სკორიდოვი თემატური მასალის ვარირება-კოლორირების ხერხს მიმართავს, თუ რაოდნე აქტიურად. იყენებს გამოსახვის ამ საშუალებას დაგარაზეუნებს ზოგიერთი, დეტალი. მაგალითად მეტორე დინამიკურ ტალღაში სოლისტთან ინტონირებული ფრაზის შედარება ამ უკანასკნელის პირველსაწყის ფორმასთან. უაღრესად ეფექტურია პარმონიული კოლორიტის თანდათანობით გასხივოსნების ხერხიც, რომელსაც კომპოზიტორი მიმართავს ამ ნაწილის კულმინაციასა (ეპიზოდიდან Accelerando) და მელოდიური გამომსახველობის თვალსაზრისით შთამბეჭდავ კოდაში Allegro moderato. cis — mIII-დან D — dur-ში ტონალური ძვრის ეს მომენტი, რომელიც ერთ სუნთქვაზე მოცემულ ემოციურ ტალღას ემთხვევა, ჰეშმარიტად მზიური შექმით არის გასხივოსნებული. აღნიშნულ ხერხს სვირიდოვი მრავალგზის მიმართავს ორატორიაში, აღიქვამს რა ამ უკანასკნელს, როგორც კოლორიტულ ეფექტს და ემოციური გარდასახვის საშუალებას.

მოძრაობის, შეუნელებელი წინსვლის ინსტინქტით აღმეცდილი ამ ნაწილის შემდეგ მთელი თავისი მნიშვნელოვანებით აღიქმება ორატორიის კულმინაცია, მისი ყველაზე ღრმა, დიდი ფსიქოლოგიური სიმძაფრის შემცველი ნაწილი — „საუბარი ამანაგ ლენინთან“.

„განსჯა-საუბრის“; ან უფრო სწორად „წარმოსახვაში არსებული დიალოგის“ პლანში მიმდინარე ეს მონოლოგი აღიქმება როგორც ფილოსოფიური ლირიკის ბრწყინვალე ნიმუში. რევოლუციის დიდი ბელადის პორტრეტის გამოქვეყნის სვირიდოვისული გზა უაღრესად რთულია, მაგრამ ამდენადვე ორიგინალური. ვიტყვით პირდაპირ — ამ გაბედული ხერხის მომარჯვებას დიდი ცხოვრებისეული სიბრძნე, შემოქმედი — ფსიქოლოგის ღრმა დრამატურგიული აღღო სჭირდებოდა.

გენიალური ადამიანის, კაცობრიობის ისტორიაში, ახალი ერის მამამთავრის, სოციალური მონობის მრავალსაუკუნოვანი ბორკილების დამამსხვრევლის — დიდი ლენინის სახეს გ. სვირიდოვი ე. წ. გადატანითი ხერხით სრულდება.

პორტრეტული დახასიათების ასეთი პრინციპი თავისითავად გამომდინარებს „პათეტიკური ორატორიის“ დრამატურგიული განვითარების მთელი პროცესიდან. მასში ხომ „ადამიანთა შორის უადამიანურესი ადამიანის“ — ვ. ი. ლენინის აზრისა და სიტყვის წარმმართველ ძალას შევიგრძნობთ ყოველ ნაბიჯზე. „იდეა-მოქმედებაში“, — ასეთია ნაწარმოების წინამდებარე ნაწილების დრამატურგიული გამიზნულობის არსი. რაც შეეხება VI ნაწილს, მასში თვით ამ იდეის განმახორციელებლის, მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს შემოქმედის სახეა წინა პლანზე წამოწეული. უაღრესად თავისთავადი ფორმის ეს „დრამატული სცენა“ რომელსაც ვუწოდეთ „წარმოსახვაში არსებული დიალოგი“, მთელი ძალით შეგაგრძნებინებს ვ. ი. ლენინის პიროვნების სიდიადეს. აქ კომპოზიტორი განზოგადების უმაღლეს საფეხურზე ადის რევოლუციის ბელადისა და ხალხის სულიერი კავშირის სიმტკიცის ჩვენებაში. საოცარი ბუნებრივობით არის მინიშნებული ეს სისხლორცეული ერთიანობა.

ლენინური გვარდიის ვეტერანი, კომუნისტი ხრენოვი დიდ ბელადს მოუთხრობს საბჭოთა სახელმწიფოს შშენებლობის გზაზე წამოჭრილი სინერგების შესახებ. უფრო სწორად ეს თხრობა კი არა რევოლუციის ჯარისკაცის პატაკია ვლადიმერ ილიას-ძისადმი. მაგრამ ეს პატაკი ხომ ბარდება არა უშეალოდ ბელადს, არამედ მის ფოტოსურათს. და აი აქ, მოული სიცავით, კადევ ერთხელ შევიგრძნობთ სვირიდოვი-ფსიქოლოგის სიღრმეს. ვ. მაიაკოვსკის ბრწყინვალე მიგნებას კომპოზიტორმა — დრამატურგმა შესანიშნავად მოუნახა ინტონირების შესატყვისი ტონი, გადაწყვიტა რა ორატორიის ეს ნაწილი, „ინტიმური საუბრის“ ასპექტში. გულაბდილი საუბრის ამ ფონმა არაჩეულებრივი სითბო მიანიჭა იმპროვიზაციულ პლანში განვითარებულ ამ ნაწილს, რომლის საძირკველსაც შეადგენს რეჩიტატიული ტიპის მელოდიური სახე.

მელოდიური დეკლამირების პრინციპზე აგებულ ამ დინამიკურ მთელში მკაფიოდ შეინიშნება რამდენიმე თემატიური წარმონაქმნი, პირველ მათგანს გვაძლევს საორკესტრო შესავალში ჩელოებთან და კონტრაბასებთან მოცემული ექსპრესიული უნისონური მოტივი. ხაზგასმული კვარტული მიმოქცევანი დრამატულ იერს ანიჭებენ ამ დეკლამაციურ ფრაზას, რომელიც ღრმა ფიქრში წასული ადამიანის „განცდას გადმოვგცემს.“

„მეტყველი მეტოდიის“ ნიმუშს წარმოადგენს მომდევნი „Грудой“ დელ, სუმარი იავლენი“, რომელიც სოლისტი — ბანის პარტიაშიინტონირებული და დიდი ბელადის შრომითი დღის ატმოსფეროს წარმოსახვას. ამ ფრაზის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს დორიული სექსტა, რომელიც განსაკუთრებულ ეფექტს იძლევა ინტონაციაში — „მე და ლენინი“. ცარატორიის „გამკვეთი“ თემატური მარცვლის შემცველ ამ მელოდიურ საქცევში ადგილი აქვს სუბდომინანტურობის აქცენტირებას, რაც განწყობილების შინაგან სიმძაფრუზე მიგვითითებს.

(დასასრული 48-ე გვერდზე)



შ. ებანოვიძე.

თავისუფლების პირველი წლები

ვლადიმერ
0ლ0ას ქე
ლენინის
დაბადების
100 წლისთავისადმი
მიძღვნილი
საქართველოს
მხატვართა
საიუგილეო
გამოფენიდან

ა. ქუთათელაძე.

შამისონის უღელტეხილზე



ვ. ი. ლენინისადმი მიმართულ ამ „საუბარში“ ყოველი სიტყვა თანაბრად ღრმააზროვანია. აქედან გამომდინარე მუსიკალურ ქარგაშიც, რა თქმა უნდა, აქცენტირებულია თითქმის ყოველი ინტონაციური საქცევი. განსაკუთრებული ძალით უდერს პათეტიკური შეძახილი: „Освящаем страшну, одеваем нищету и оголь“, რომელშიც ხელშესახებად „Удэрс მარშიდან“ (I ნაწ.) მომდინარე „გამკვეთი“ რიტმული ფორმულა.

შინაგანად ასეთივე ქმედითია მოკლე პოსტლუდია, რომელშიც ექსტატიურად უდერს შეძახილი: „Ленін!“ ამ შეძახილის ჰეროიკული ტონუსი ხაზგასმულია 8 ვალტორნის, ტრუბისა და ტრომბონების ხმოვანებით („მარშის“ რიტმული ფორმულა).

ასე მთავრდება დიდი ბელადის სახის შექმნისადმი მიძღვნილი ეს ნაწილი, რომელშიც ახალი საზოგადოების აქტიური მშენებელი, კომუნისტი ხრენოვი მოქალაქეობრივი მოვალეობის მაღალი შეგნებით მიმართავს ელადიმერ ილიას ძე: „Товарищ Ленин, я Вам докладываю, но не по службе, а по душе“, რევოლუციურ ბრძოლებსა და სამოქალაქო ომის ქაცცეცლში გამოვლილი ადამიანების რკინისებური ნებისყოფა გადალახავს ყოველგვარ სიძელებს, აღგვის, ყოველგვარ ნაძირალებს, რომელიც, როგორც ხრენოვი ამბობს, ჯერ კიდევ არ არიან საბოლოოდ დასამარტინებლი: „Много разных мерзавцев ходят по нашей земле и вокруг“, — გულისტკივილით ამბობს ძველი ბოლშევიკი.

ამაღლებლად აქვს გადმოცემული გ. სვირიდოვს ფრაზა: «Товарищ Ленин, работа адовая будет сделана и делается уже», ხრენოვს პირით ნათქვამი ეს მტკიცე სიტყვები ხმოვანებს როგორც ფიცი, რომელსაც მილიონობით საბჭოთა ადამიანი სდებს დიდი ბელადის ნათელი ხსოვნის წინაშე.

ორატორის ამ ამაღლებული კულმინაციის შემდეგ ახალი ძალით შეიგრძნობა გმირული ეპოპეის ფინალური ნაწილი. მონუმენტური მასტებების ამ ნაწარმოების ლოგიკური დასასრული ბედნიერი აწმყოსა და კიდევ უფრო ნათელი მომავლის რწმნით არის გაცისკრონებული. „Мэ и да პოეტი“, ასე ეწოდება ორატორის VII ნაწილს, რომლის პლაკატური სიმკვეთოვ (ვგულისხმობთ ამ სიტყვის დადებით მნიშვნელობას) შესანიშნავად ეხამება საზეიმო განწყობილების ზეაწეულ ტონუსში გადმოცემას.

ორატორის შთანაფიქრის განმაზოგადებელი ეს ნაწილი ორგანულად ამოიზრდება დრამატურგიული განვითარების წინამდებარე საფეხურებიდან. ინტონაციური მხრივ ივი მჭიდროდ არის დაკავშირებული ორატორის I ნაწილთან — „მარშთან“, თუმცა ეს კავშირი გარეგნულ ასპექტში არა ვლინდება. ძნელი არ არის ერთიანობის ნიშნების ძიება კიოლო-პარმონიულ წყობასა და რიტმულ მხარეშიც. საერთოდ გ. სვირიდოვის ამ ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია არამარტო „გამკვეთი“ კონსტრუქციული ელემენტების ხაზგასმა, არამედ დრამატურგიული მთელის ნაწილებს შორის სახოვან-ემოციური კავშირების დამყარებაც.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება გ. სვირიდოვის მიერ შექმნილი ამ მაღალმხატვრული ნაწარმოების შესახებ. უაღრესად რთული თემის გადაწყვეტის ეს ნოვატორული ნაბიჯი მდიდარ მასალას გვაძლევს როგორც კომპოზიტორის სტილის თავისებურებათა, ისე „დიდი რევოლუციური ხელოვნების“ ტრადიციათა ათვისებისა და მათი შემდგომი განვითარების გზების შესასწავლად.

კომპოზიტორი-ტრიბუნის შესანიშნავი მიღწევის ყოველმხრივი ანალიზი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც ასე აქტუალურად დგას ტრადიციისა და ნოვატორობის პრობლემა. გ. სვირიდოვის „პოეტიკური ორატორია“ ამ პრობლემის რეალისტურად გადაწყვეტის უაღრესად საინტერესო მაგალითს გვაძლევს. მის მნიშვნელოვნებას განაპირობებს ფორმისა და შინაარსის ერთიანობის ის მაღალი პრინციპი, რომელიც ასახვას პოვებს ნაწარმოებში და კონკრეტულისა და განზოგადებულის დიალექტიკურ ერთიანობას გულისხმობს. მხატვრული იდეის განზოგადების, შთანაფიქრის გახსნის კონკრეტულ საშუალებათა „აბსოლუტური სიზუსტი“ მიგნების ამ თანდაყოლილმა ინსტინქტმა თავი იჩინა გამოსახვის საშუალებათა განახლების ხაზით წარმოებულ ძიებებშიც. ამ გზაზე გ. სვირიდოვი დაემყარა საბჭოთა მასობრივი სიმღერის სტილისტურ კონზომიერებათა განზოგადების პრინციპს, ამ უკანასკნელმა კომპოზიტორს საშუალება მისცა მოქმედებაში, უშუალოდ განვითარებაში ეჩვენებინა ორატორის მოქმედი პირების — კოლექტიური მოქმედი გმირის — ხალხისა და მისი წინამდღოლის, პოეტი-ტრიბუნის სახეები. აგრეთვე მოეხდინა მასიდან „კონკრეტულ პერსონაჟთა“ გამოყოფა და მოქმედების გარემოს მინიშნება.

რაც მთავარია, განზოგადების ამ ხერხმა შესაძლებელი გახადა პროლეტარიატისა და მისი დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის სახის ურთიერთ კავშირში ჩვენება.

გ. სვირიდოვის ამ ბრწყინვალე წარმატებამ ახალი პერსპექტივები გადაშალა საბჭოთა კანტატა-ორატორის და არა მარტო ამ უანრის განვითარებაში. დიდი რევოლუციური ხელოვნების ტრადიციათა აღორძინებისა და შემოქმედებითად გარდატეხის ამ ცდამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა ეპიკური გაქანების ისეთი მუსიკალური ნაწარმოებების შექმნის აუცილებლობა, რომლებშიც ჩვენი თანამედროვეობის მაჯისცმას, ჩვენი გმირული ეპოქის სუნთქვას შევიტრინობთ, ლენინური იდეების გამარჯვების სიდიადეს ვიზუალუროვთ...

საბჭოთა სახელმწიფოს გმირული მატიანის მუსიკის ენაზე ამეტყველების სვირიდოვისეული, ცდა დარჩება ნიმუშად ხელოვნებისა, რომელსაც წარმოშობს ხალხი და რომელიც ეგუოვნის ხალხს.

ხელოვანის ამ საყოველთაო აღიარების დადასტურებას წარმოადგენს 1960 წელს გ. სვირიდოვისათვის ლენინური პრემიის მინიჭება. ამ მაღალი ჯილდოთი აღინიშნა „პაოეტიკური ორატორია“, ნაწარმოები, რომელშიც კომპოზიტორმა ასეთი შთავარებით გამოძრეულა გვიჩვენება ბელადის — ვ. ი. ლენინის სახე, გვიჩვენა მისი იდეების ტრიუმფი.

ლ ა ნ ი ნ ი ს ი პ ა რ ს ა ხ ე


ს ა გ ჭ რ თ ა თ ვ ა ტ რ მ ი

შუულნა ბუცხრიკიძე

რცდაათ წელზე მეტია, რაც საბჭოთა თეატრში შემოქმედებითი მუშაობა წარმოებს პროლეტარიატის დიდი ზემოდის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელის, საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სცენური იერსახის განხორციელებისათვის. ახლა, როცა უკვე საკმაოდ დიდი ტრადიციები და გამოცდილება არსებობს ლენინის სცენური იერსახის შექმნისა, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის პირველი, გაუბედავი ნაბიჯები, რომელიც ერთგვარ საწინდარს წარმოადგენდა დღევანდელი შემოქმედებითი მიღწევებისათვის. უდავო, რომ ყოველი სცენური იერსახის სრულყოფილი განხორციელება ზევრად არის დამოკიდებული თვით დრამატურგიული მასალის სრულყოფაზეც. უმთავრესი სირთულე ლენინის სცენური იერსახის განხორციელებაშიც სწორედ დრამატურგით დაიწყო.

ჯერ კიდევ 1937 წელს, როცა ა. კორნეიჩუკის „სიმართლე“, ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი“ და შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“ შეიქმნა, საბჭოთა დრამატურგიასა და თეატრს ლენინის მხატვრული სახის განსახორციელებლად არავითარი შემოქმედებითი გამოცდილება არ გააჩნდა. გასაგებია ისიც, რომ ეს პირველი დრამატურგიული ცდებიც სრულყოფილებას ვერ მიაღწევდა თუნდაც მარტო ამ გამო-

უცდელობით. მართალია, დრამატურგების ეს პირველი ცდები არ იყო მოკლებული გულწრფელობასა და შემოქმედებით კეთილშობილებას, მაგრამ ყველა ამ პიესაში ლენინის როლი ძალიან ეპიზოდურად იყო გამოხატული. თითოეულ ამ ნაწარმოებს თავისი სიუჟეტი და გმირი პყავდა, ხოლო ლენინის გამოჩენა დაგავშირებული იყო დრამატიული განვითარების მწვერვალთან, იდეურ კულტინაციასთან. სამივე ეს პიესა რამდენადმე პლაკატურად ასახავდა ლენინის რევოლუციურ მგზნებარებას. შემდგომში საბჭოთა დრამატურგების მიერ თანდათანობით დაძლეულ იქნა ასახვის ეს ზედაპირულობა და ლენინის სიდიადის უფრო ღრმა და შინაარსობრივი სცენური ახსნის შესაძლებლობებიც შეიქმნა. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნიკოლოზ პოგოდინის დიდი ღვაწლი. მისმა ტრილოგიამ („თოფიანი კაცი“, „კრემლის კურანტები“, „მესამე პათუტიკური“) საგრძნობლად გაამდიდრა თეატრალური ლენინიანა. ტრილოგიის თითოეულ პიესას თავისი დამოუკიდებელი სიუჟეტი გააჩნია, მაგრამ ისინი თემატიურად არიან გაერთიანებული და ჩვენი ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვან მომენტებს ასახავენ. ტრილოგიის პირველ ნაწილში, რომელიც 1937 წელს გამოვიდა, ლენინი წარმოდგენილია, როგორც სტრატეგი და რევოლუციის ბელადი. „კრემლის კუ-



„ნიაღვართა შორის“. ლენინის როლში ვ. ჩესტნოკოვი

ლ ც ნ ი ნ ი ს


ი ც რ ს ა ხ ე



„კრემლის კურანტები“. ლენინის როლში ბ. სმირნოვი.

ს ა ბ ჭ ო თ ა

თ ვ ა ტ რ შ ი



„პრემლის კურანტები“. ლენინის როლში პ. კობახიძე



„თოფიანი კაცი“. ლენინის როლში ბ. შჩუკინი.

რანტებში“ (1940 წ.) ლენინი მგზნებარე მეოცნებე, მომავლის განმჭვრეტი და მოაზროვნე ადამიანია., „მესამე პათეტიკურში“ (1958 წ.) კი ყურადღებას იყყრობს ლენინი-მეგობარი ხალხისა, ლენინი-მასწავლებელი. პათეტიკა სამივე პიესის დამახასიათებელია, მაგრამ ორ უკანასკნელში უფრო შინაგანად გამართლებული და უშუალოა, ვიდრე პირველში. პოგონი უკვე მეორე პიესაშივე შეეცადა პირველისაგან განსხვავებით უფრო ცოცხლად, უფრო შინაარსობრივი სიღრმით წარმოედგინა ლენინი. იგი თითქოს ბრძოლასაც კი უცხადებს პირველ ნაწილში მოცემულ რამდენადმე გარეგნულ იქრს. „კრემლის კურანტებში“ არის ასეთი სცენა: საკუთარ პორტრეტთან მდგარი ლენინი ჩუდნოვის პატარა გაუს — სტიოპკას ესაუბრება.

ლენინი. ეს პატივცემული, გაბლენილი ვაჟბატონი სულაც არა პგავს ლენინს.

სტიოპკა. შეიძლება, შენ გაეხარ?

ლენინი. აი მე კი ვგავხარ...

სტიოპკა. შენ სულაც არ გაეხარ, ის კი ნამდვილია, რაკი მანქანაზე დაბეჭდეს.

ლენინი. არა, მე უფრო ნამდვილი ვარ, ის კი არა!

როგორც ჩანს, ეს დიალოგი შემთხვევით არ შეაქეს პოგონის თავის პიესაში. დრამატურგი ამით თითქოს ხმა-მაღლა აცხადებს, რომ შეიძლება ჩემი ლენინი გარეგნულად არ არის საგსებით პორტრეტული, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო ნამდვილი, ცოცხალი ადამიანია. მართლაცა, ამჯერად მისი ლენინი უფრო უშუალო, უფრო მიწიერი და ამავე დროს დიადიცაა. უბრალოებისა და სიდიადის ეს თანაფარდობა კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა „მესამე პათეტიკურში“. აქ უკვე ახალი ცხოვრების შემქმნელი, ადამიანური ადამიანი — ლენინი თავგამოდებით იბრძვის ახალი ადამიანისათვის, კომუნისტური მორალის განმტკიცებისათვის.

პოგოდინის ტრილოგიასთან ერთად ყურადღებას იყენებს ი. პოპოვის ლენინურ თემატიკაზე შექმნილი პიესა „ოჯახი“, რომელშიც დიდი მხატვრული დამაჯერებლობითაა ასახული ის ატმოსფერო, რომელშიც იზრდებოდა ლენინი და სადაც დაიწყო მისი პირველი რევოლუციური მომწიფება. პოპოვის ეს პიესა მარტო საბჭოთა მაყურებლებისათვის როდია ცნობილი. იგი აღიარებული იქნა მოძმე სოციალისტურ რესპუბლიკებშიც.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ბევრი ახალი პიესა შეიქმნა ლენინზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია დრამატურგ მ. შატროვის წარმატებები. მ. შატროვი პოგოდინისულ ტრადიციებს ბრმად კი არ აგრძელებს, არამედ ანვითარებს ლენინური თემატიკის გზით და სწორებ ესაა მისი ძირითადი დაშსახურებაც ზოგიერთ იმ დრამატურგთან შედარებით, რომლებსაც არ ეყოთ ძალა ძიებისა და სიახლის გზას გაპყოლოდნენ. მ. შატროვი სხვადასხვა მხრიდან ანვითარებს ლენინურ თემატიკას. პიესაში „დასვენების დღე“ იგი შეეცადა ეჩვენებინა ლენინი ადამიანური სიმშვიდისა და დასვენების ატმოსფეროში. მაგრამ, რევოლუციური პეტროგრადისაგან მოცილებით, მყუდრო სანატო-

რიუმში მყოფი ლენინი მაინც მოუსვენრადაა. მისი აზრები მიმართულია დრამატულად დაბაძული დიდი მოვლენებისადმი. იგი ფიქრობს ჯარისკაცის წერილზე, რომელშიც მთელი სიმწვავითაა წამოყენებული საკითხი მშვიდობის შესახებ, იგი წუხს იმაზე, თუ რა მდგომარეობაში არიან ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლი ადამიანები მაშინ, როცა იგი დასასვენებელ სახლშია. შეუძლებელია სიწყვარე ქარიშხალში — აი ეს ემოციური აზრია გატარებული ძირითადად პიესაში და ამ აზრის სცენური ხორცებშემით ისახელა თავი ლენინგრადის მოზარდ მაყურებელთა თეატრმაც (სპექტაკლი დადგა ზ. კოროგოდსკიმ).

„დოკუმენტალური დრამის გამოცდილება“ — ასეთი ქვესათაური მისცა გ. შატროვმა თავის პიესას „ექვსი ივლისი“. შატროვი ამ ქვესათაურით თითქოს გვეუბნება, რომ ისტორიას არ სჭირდება ხელოვნური დრამატიზაცია, რადგან იგი თავისთავად დრამატულია. პიესაში მართლაც, ქრონიკალური თანმიმდევრობითაა აღწერილი 1918 წლის ივლისში მემარცხენე ესერების სავალალო მდგომარეობა. ლენინის იდეური სიტიზლე საბოლოოდ ანადგურებს ხალხის მტრებს. ლენინის დიდი ზეგავლენა და მისადმი ხალხის დიდი რწმენა ასახული მ. შატროვის ახალ პიესაშიც „ბოლშევიკები“, რომელიც წარმატებით განახორციელა „სოგრემენიკის“ თეატრმა. საინტერესოა, რომ შატროვის პიესაში ლენინი უშუალოდ არა ჩანს მოქმედ პირებს შორის, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს ცოცხლად გამოვლინდეს ლენინური იდეების უდიდესი მნიშვნელობა. ლენინის აზრები, შეხედულებები, დამოკიდებულებები იგრძნობა ყოველ სიტუაციაში. ლენინი დაუსწრებლად წარმოისახება მისივე თანამებრძოლების მოქმედებასა და საქმიანობაში.

დრამატურგიულ ლენინიანაში საინტერესოა აგრეთვე ა. შტეინის პიესა „ნიაღვართა შორის“, რომელიც თემატურად ახლოა მ. შატროვის „ექვსი ივლისთან“. თუ „ექვსი ივლისი“ ასახავს მემარცხენე ესერების წინააღმდეგ ლენინური პარტიულობის, ერთიანობის სიმტკიცეს, აქ ეს სიმტკიცე ნაჩვენებია კრონშტადტის მეზღვაურებთან დამოკიდებულებაში — 1918 წლის რევოლუციის გარდამავალ პერიოდში.

ლენინურ თემატიკაზე შექმნილი პიესების რიცხვი, რათემა უნდა, ამით არ ამოიწურება. ჩევნ მხოლოდ იმ პიესებს შევეხეთ, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ დრამატურგიული ლენინიანს განვითარებაში, რომლებმაც საგრძნობლად გაამდიდრეს თეატრალური ლენინიანა იმით, რომ ძირითადად, სწორედ ამ პიესებმა მისცეს საუკეთესო საშუალება თეატრებს, კერძოდ კი დიდ მსახიობებს, ლენინის სცენური იერსახის წარმატებით განხორციელებისათვის.

პიესების კვალდაკვალ თავდაპირველად მსახიობებიც ისწრაფვოდნენ, რაც შეიძლება სრულად მიეღწიათ პორტრეტული მსგავსებისათვის. აღსანიშნავია, რომ ჩევნი გამოჩენილი მსახიობი ა. ჯასაძე, რომელიც რუსთაველის თეატრის სპექტაკლში „ნაპერწლიდან“ ლენინის როლს ასრულებდა, ლენინი პორტრეტული მსგავსებისაგან დაშორების

გამო, ამ სახეზე მუშაობას ვეღარ განაგრძობდა. ამის შესახებ იგი თვითონვე წერს: „პლასტიკური, სასცენო მეტყველებისა და სახის რიტული გამოკვეთის სფეროში საგულისხმო შედევს მიგადწიე, განვიზრახე გადმომეცა ლენინის არწივისებური სწრაფვა მოძრაობასა და სიარულში. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც კურანზე პირველად ვნახე სახელოვანი ბ. შჩკინი ლენინის როლში და დავრწმუნდი, რომ მასაც ასეთი გზა აერჩია. მაგრამ პორტრეტული მსგავსების ოდნავ დაშორებამ ვერ გამაბედვინა ამ სახეზე შემოქმედებითი მუშაობა გამეგრძელებინა“ (იხ. ქართული თეატრის 100 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის ერთდროული გაზეთი „ქართული თეატრი“. 1950 წ., 30 ოქტომბერი). შესაძლოა მარჯანიშვილის თეატრში შაქრო გომელაურის მიერ იმავე პიესაში განსახიერებულ ლენინსაც სწორედ ეს პორტრეტული მსგავსება აკლდა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ნათელია, რომ თეატრალური ლენინიანას დასაწყისში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სცენაზე ლენინის გამოჩენასაც კი, და, როგორც პიესებს, ასევე იმ პერიოდის მსახიობებსაც მარტო ამ მხრივაც ჰქონდათ გარკვეული წარმატება. დროდადრო მაყურებელი უფრო მეტ სიახლოვეს მოითხოვდა, უფრო მეტად სჭირდებოდათ მსახიობებსაც არა მხოლოდ გარეგნული იერის გამოკვეთა, არამედ ლენინური ხასიათის თუნდაც ცალკეული დეტალებისაც.

პირველად რამდენადმე სქემატური როლების შესატყვისად პორტრეტული სიზუსტის მიღწევის, სკულპტურული ასახვის, დამახასიათებელი უსტკების გამომუშავების აუცილებელი ეტაპი განვლილი იქნა ისეთი აღიარებული მსახიობების მცერაც, როგორნიც იყენენ ბორის შჩკინი, მაქსიმ შტრაუში, ალექსანდრე კრამოვი და სხვ. საბოლოოდ, მოხდა ისე, რომ ამ მსახიობების შემოქმედებითი შესაძლებლობებითაც ბევრად გაფართოვდა თავდაპირველად პიესებში მოცემული რამდენადმე ეპიზოდური ხასიათის როლებიც კი. დროთა ვითარებაში შჩკინიც და შტრაუშიც უკვე ახერხდნენ „თოფიანი კაცის“ ეპიზოდური როლისთვისაც დამატებით გამოექცენათ ისეთი საშუალებები, რომლებიც ლენინის იერსახეს უფრო მეტ სიცოცხლეს მიანიჭებდნენ სცენაზე. ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად პოულობდნენ სულიერი გამოსახვის ხერხებს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ადვილად არ ეძლეოდათ მსახიობებს, ამას სჭირდებოდა ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომა და განუსაზღვრელი ენერგია. ბორის შჩკინს მაინც შერჩა მახვილად დანახული გარეგნული დახასიათებისაკენ სწრაფვა. მაქსიმ შტრაუშისათვის უფრო არსებითი შეიქნა ლენინური აზროვნების სილრმე. შტრაუში ლენინის იერსახისადმი ასეთ დამკიდებულებას ავლენდა უკვე ა. კორნეიჩევის პიესაშივე („სიმართლე“), რომელიც მოსკოვის რევოლუციის თეატრში დაიდგა. შემდგომ უფრო გააღრმავა მან უმაღლესი ინტელექტუალობისა და ადამიანური უბრალოების შენარჩუნების პრინციპი.

ლენინიანას მსახიობურ განვითარებაში დაიდი წვლილი აქვს შეტანილი ბ. სმირნოვს სამხატვრო თეატრის მიერ დაგმულ პოგოდინის პიესებში — „კრემლის კურანტებში“

და „მესამე პათეტიკურში“. მისმა აქტიორულმა წარმატებაში დიდად განაპირობა საერთოდ ამ პიესების მიხედვით განმტკიცებული ლენინიანას დიდი პოპულარიზაცია. სტრატეგიის სიბრძნე და მასწავლებლის სიფაქიზე, დიდი ჰუმანიზმი და დაუცხრომელი ნებისყოფა დამახასიათებელი გახდა სმირნოვის ლენინური იერსახისათვის.

რომანტიკულად მომხიბლელი, ლალი და შთაგონებული ლენინის იერსახე შექმნა ვ. ჩესტნოკოვმა სპექტაკლში „ნიაღვართა შორის“ (პიესა ა. შატროვისა), რომელიც ლენინგრადის ჰუშკინის სახ. დრამის თეატრში დაიდგა. მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე ლენინი მარტოა და ფაქტიურად მონოლოგის სახით უხდება მაყურებელთან შეხვედრა, ჩესტნოკოვი სწორედ ამ განმარტობას იყენებს შესახიშნავად და საკუთარი ფიქრებისა და განცდების თანამოზიარედ აქცევს მაყურებელსაც.

თითოეულ მსახიობს როლზე მუშაობის საკუთარი შესაძლებლებები გააჩნია, თითოეულს თავისი შეხვდულებები, თავისი ისტორია აქვს როლზე მუშაობისა, ამ მხრივ ვფიქრობთ ყველაზე ნათელ ახსნას თვითონ ლენინის იერსახეზე მომუშავე მსახიობები იძლევიან:

ბ. ვ. შჩკინი აღნიშნავს: „სიცოცხლისუნარიანობიდან—ადამიანის, ბავშვების, ბუნების, ყვავილების, ადამიანების მოსიყვარულე.“

იგი მასწავლებელია, პარტიის შემქმნელია, პროლეტარიატის ბელადია.

იგი მეცნიერია მსოფლიო სახელით და ერუდიციით, ფილოსოფოსია.

იგი მუდმივად მოწაფეა, მოწაფეა მარქსისა და ენგელსისა.

(იგი სწავლობს) თავისი ამხანაგებისაგან, ხალხისაგან, ცხოვრებისაგან.

მას ბიოგრაფია აქვს — ეს არის განუწყვეტელი, მიზანდასახული, ტიტანური მუშაობა.

მასში ერთმანეთს ერწყმის სიფაქიზე და სიმკაცრე“.

ცხადია, ასეთი შეხედულებების მსახიობს ასეთივე სწორი ინტერპრეტაცია ექნებოდა ლენინის სცენური იერსახის ახსნისთვისაც.

დახასიათების განსხვავებულ ფერებს ნახულობს მაქსიმ შტრაუში. იგი ამბობს: „...მე მჯერა, რომ მხატვრების მომავალი თაობა გაიზიარებს ჩევენს გამოცდილებას, მიიყვანენ მას სრულყოფამდე, და ლენინის სახე მოცემული იქნება ისე, როგორც მარქსი ურჩევდა ხელოვნებაში პოლიტიკური ბელადების ასახვას — მკაცრი რემბრანდტისებური ფერებით, მთელი ცხოვრებისეული სიმკვეთრით...“

ვ. ი. ჩესტნოკოვისათვის კი არსებითია თანამედროვეობის ხაზეასმა: რადგან „ლენინი იყო, არის და იქნება მთავარი გმირი თანამედროვეობისა, იდეალი, რომლისკენაც მიისწრაფის კაცობრიობა... კიდევაც მკვეთრად და ნიჭიერადაც რომ გახსნას ლენინური ხასიათის ცალკეული მხატვრები, ჭეშმარიტ მხატვარს არასოდეს არ შეძლება თქვას, რომ მან ყველაფერი გააკვეთა, რადგან ლენინური ინდივიდუალობის მრავალფეროვნება და სიღრმე ამოუწურავია...“

კონის იარსაზა საბჭოთა თვათშვილი



სცენა მოზარდ მაყურებელთა ქართული იეატრის სპექტაკლიდან „ოჯახი“. ვლადიმერ ულიანოვის როლში რ. თავართვილაძე.

სცენა რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლიდან „ოჯახი“. ელადამერ ულიანოვას როლში კ. მახარაძე.



სცენა გრიბოედოვის სახელობის თეატრის სპექტაკლიდან „მოსავლიანი წელი“. ლენინის როლში კ. მიუფკე.

რამდენადმე თავისებურია ბ. ა. სმირნოვი: „თუ შენ ლენინურ თემას შეეხე, მაშინ ვალდებული ხარ ამ კუთხიდან გადასინჯო მთელი შენი შემოქმედებითი ცხოვრება, ვალდებული ხარ აწარმოო უდიდესი ლამორატორიული მუშაობა შენივე საკუთარ ხასიათთან, შენსავე ინდივიდუალობასთან...“

რაც შეეხება ქართულ თეატრალურ ლენინიანას, ჩვენ უკვე გვქონდა ამის შესახებ საუბარი; ამჯერად, საბჭოთა თეატრში ლენინის იერსახის შექმნის საკითხთან დაკავშირებით, ასევე განზოგადებულად შევახსენებთ მკითხველს, რომ ქართული თეატრისათვის ლენინის სახე ყოველთვის წარმოადგენს შემოქმედების უშრეტ წყაროს. ჯერ კიდევ 1937 წელს ქართულმა თეატრმა ეროვნული ორიგინალური პიესით (შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“) შეიტანა წვლილი საბჭოთა დრამატურგიული ლენინიანას განვითარებაში. პიესა „ნაპერწკლიდან“, რომელშიც მართლად აისახა საქართველოში მუშათა რევოლუციური გამოფხილებისა და ლენინური, ისკრული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის ერთი შესანიშნავი ეპიზოდი, თითქმის ერთდროულად (1937 წელს) წარმატებით დაიდგა რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსთაველის თეატრში ლენინის სახე წარმოადგინა აკაკი ვასაძემ, რომელიც ამავე დროს დამდგმელიც იყო, ხოლო მარჯანიშვილის თეატრში — შაქრო გომელაურმა (დადგა გ. ურულმა). ამის შემდეგ პიესა „ნაპერწკლიდან“ წარმატებით იდგმებოდა რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრში. მათ შორის ყურადღებას იპყრობდა 1939 წელს თბილისის სახელმწიფო მუსიკალური კომედიისა (ლენინის როლში გამოდიოდა მსახიობი ვ. გერსამია) და 1940 წელს ქუთაისის თეატრების (ლენინის როლში — მ. სგანიძე) დადგმები.

ლენინის შთამაგრნებელი სახე შექმნა 1939 წელს მსახიობმა დიმიტრი მუავიამ რუსთაველის თეატრის სცენაზე ნ. პოგოდინის პიესაში „თოფიანი კაცი“. მართალია, ლენინის სიტყვიერი მასალა ამ პიესაში მცირეა, მაგრამ მსახიობი ახერხებდა ამ ეპიზოდური გამოსვლითაც გამოქატა მთელი პიესის რევოლუციური პათოსი. პიესაში ხმო ლენინის სახით წარმოადგენილია რევოლუციის დიდი ბელადი, რომელიც სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტისას ყოველთვის იღებს მხედველობაში მასების მოთხოვნილებებს. სწორედ ასეთი გაგებით წარმოსახავდა დ. მუავია ლენინს სმოლნის სცენაში, სადაც ბელადი უბრალო ჯარისკაცს უსმენს და ცდილობს გაიგოს, რამდენად მზად არის იგი რევოლუციისათვის.

ქართველმა მაყურებელმა დიდი ლენინის სახე ნახა აგრეთვე 1941 წელს მარჯანიშვილის თეატრის წარმოადგენაში „კრემლის კურანტები“ (დადგა ვ. ტაბლიაშვილმა). ნ. პოგოდინი თავის ამ მეორე პიესაში, როგორც ვიცით, გვიჩვენებს ლენინის შემოქმედებით გენიას. აღნიშნავდნენ: როცა ამ წარმოადგენაში მსახიობი პიერ კობახიძე ხატავდა ლენინს, როგორც კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის დიდ მეოცნებეს, ყოველ ახალ გამოსვლაში, სულ უფრო აგი-თარებდა მას და შემოქმედებით სრულყოფას ანიჭებდა.

რევოლუციის ბელადის სცენური სახე გამოკვეთეს შემდეგში რუსთაველის (სადაც 1950 წელს წარმატებით დადგეს ვ. ვიშნევსკის „დაუკიწყარი 1919 წელი“), ბათუმის, სოხუმის, გორის, ფოთისა და სხვა ქალაქების თეატრების მსახიობებმა.

თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრის პირველი ეტაპი (1934-1941 წწ.) აღინიშნებოდა რა მზარდი შემოქმედებითი წინსვლით, ამ პერიოდში დადგმულ სპექტაკლებს შორის, რომლებშიც ასახული იყო საბჭოთა ხალხის რევოლუციური წინსვლა („ესაბრის დაუბგა“, „შორული“, „მიწა“ და სხვ.) საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოებები იყო აგრეთვე შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“, ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი“ და „კრემლის კურანტები“. აღსანიშნავია, რომ სამივე ამ სპექტაკლში ლენინის როლს ასრულებდა კ. მიუჟევე.

მიუჟევს უკვე ჰქონდა გამოცდილება ლენინის სახეზე მუშაობისა მ. ჭიაურელის ფილმში „დიადი განთიადა“, მაგრამ თეატრში, მაყურებელთან უშუალო დამოკიდებულების პროცესში, მას უკვე აღარ გამოადგებოდა კინოში შემუშავებული სახვითი ხერხები. ეს კარგად იგრძნო მსახიობმა და კიდევაც შესძლო დაეძლია შტამპის სიძნელე. მიუჟევ ლენინის როლში უპირველესად ყურადღებას იპყრობდა დიდი პორტრეტული მსგავსებით. აღნიშნავდნენ, რომ ლენინისათვის დამახასიათებელი მოძრაობითა და სახის გამომეტყველების გადმოცემით მიუჟევს მიერ შექმნილი სახე არ ჩამოუგარდებოდა საბჭოთა მხატვრობასა და ქანდაკებაში შესრულებულ ყველასათვის ცნობილ პორტრეტებს. გარდა ამისა, ლენინის სახის ყველა დამასახასიათებელი თვისება აღმცენდილი ქრონიკებში, გრამოფონის ფირფიტებზე ფიქსირებული მისი ხმა უდიდესი გულმოდგინებით იყო დაცული მსახიობის მიერ.

ლენინის სცენური იერსახის შექმნის დღევანდელი გამოცდილების პირობებში, სულ უფრო მეტი შესაძლებლობა იქმნება მსახიობების მიერ დრამატურგიული მასალის გაღმავებისა. სულ უფრო მეტად ესმევა ხაზი ლენინურ სულისკვეთებას, რევოლუციურ ტემპერამენტს, მომხიბლელ ადამიანურ უბრალობას. ბელადის პირად ადამიანურ თვისებებში: ლენინურ ყურადღებისათვის, თავაზიანობაში იხსნება არა მხოლოდ ინტელიგენტური ბუნება, არამედ რევოლუციის სულისჩამდგელის სიდიადეც. მისი დემოკრატიზმიც, ხელმძღვანელობის კოლექტიური მეორედი — თითოეულ ხელმძღვანელს ჰქონდეს უნარი ისწავლოს ხალხისაგან და სხვ. სირთულე იმისა, რომ ერთდროულად ნაჩვენები იყოს ყველაზე ადამიანური ადამიანი და რევოლუციის ბელადი, რამდენადმე დაძლეულ იქნა დღევანდელი ლენინიანას შემოქმედებით განვითარებაში.

მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის იერსახის შექმნა კვლავაც საბჭოთა ხელოვნების და, კერძოდ, საბჭოთა თეატრის საპატიო საქმედრჩება.

ლენინი თანამაღლოვა

გურეაზიული ხელოვნების

ასთატიქური არსეს გასახებ

ჯემალ შარაშიძე

პროლეტკულტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ სოციალისტური საზოგადოება ბურჟუაზიული კულტურისა და ხელოვნების კანონიერი მემკვიდრეა. მისი მემკვიდრეობა უფლებამოსილია კლასობრივად, პარტიულად და მორალურად.

„პროლეტარული კულტურა, — ამტკიცებდა ლენინი, — არ არის საიდანლაც გამომხტარი რამ, იგი არ არის იმ ადამიანთა გამონაგონი, რომელნიც თავის თავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწიდებენ, ეს თავიდან ბოლომდე ჩმახია. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, მოხელური საზოგადოების უდელქეშ“¹.

ლენინი სოციალიზმის საშენ მასალად ვარგისად თვლი-და თვით პროლეტარიატის წინააღმდეგ შექმნილ კულტურულ ღირებულებასაც: „აუცილებელია გამოვიყენოთ ყოველივე ის, რაც ჩვენს წინააღმდეგ შეუქმნია კაპიტალიზმს კულტურულ ღირებულებათა აზრით: სოციალიზმის სიძნელე ის არის, რომ იგი უნდა ვაშენოთ უცხო ადამიანთა მიერ შექმნილი მასალისაგან, მაგრამ სწორედ ეს არის სოციალიზმის შესაძლებლობა“².

ლენინი სოციალიზმის მემკვიდრეობად აცხადებდა ბურ-

¹ ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ. თბილისი, სახელგამი, 1957 წ., გვ. 343.

² იქვე, გვ. 277.



ქ. ზამთარაძე.

განთიადი

ლ. ხოჯულაძი.

განთიადი

ვლადიმერ

ილიას ძე

ლენინის

დაბადების

100 ფლისტავისადათ

მიქაელის

საქართველოს

მხატვართა

საიუბილეო

გამოფენიდან



უსაზიული კულტურისა და ხელოვნების მთელ ერთობლიობას: „უნდა ავიღოთ კაპიტალიზმის მიერ დატოვებული მთელი კულტურა და მისგან აგაშენოთ სოციალიზმი. უნდა ავიღოთ მთელი მეცნიერება, მთელი ტექნიკა, მთელი ცოდნა, ხელოვნება. უამისოდ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრებას ვერ ავაშენებთ!“³.

მიუხედავად პროლეტკულტელთა მემარცხენე ფრაზეოლოგისა, ლენინი თანმიმდევრულად ამხილებდა მათი წამოწყების ანტიმარქსისტულ ხასიათს: „ნამდვილად სწორედ მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ფარავს ყველა ფრაზა „პროლეტარული კულტურის შესახებ“⁴.

როგორც ვხედავთ, ღრმა შინაგანი კავშირია ლენინის მოღაწეობის ორ პერიოდს შორის. ჯერ კიდევ რევოლუციის აღმავლობის ადრეულ პერიოდში ლენინი ამტკიცებდა იმავეს, რასაც თეორიულად აღრმავებდა და პრაქტიკულად ანხორციელებდა რევოლუციის შემდგომ პერიოდში. მაგრამ ლენინური დებულება, რომ გამარჯვებული პროლეტარიატი გარდასულ საზოგადოებრივ ფორმაციათა მიერ შექმნილი კულტურისა და ხელოვნების ერთადერთი მექანიზმიდრეა, საკითხის პირველი ძირითადი ნახევარია. ხელოვნების პარტიულობის ლენინური მოძღვრების შექმნებუნდა გადაწყდეს საკითხის მეორე ნახევარიც: როგორი უნდა იყოს სოციალისტური საზოგადოების დამოკიდებულება იმ ბურჟუაზიული ხელოვნების მიმართ, რომელიც იქმნება კაპიტალისტურ ქვეყნებში გამარჯვებული პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში, სოციალისტური ხელოვნების პარალელურად.

ბურჟუაზიული ხელოვნება არსებობას განაგრძობს და ეს ფაქტია. ხოლო ეს ხელოვნება, რომ შარლატანობად ან პათოლოგიურად შეცვლილი ფსიქიკის გამოხატულებად ჩაგეთვალა, მოვლენის გაგების საკითხში საკუთარი უმწეობის დადასტურება იქნებოდა.

როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული საზოგადოება ერთსახოვანი არ არის, ეს სახელწოდება აერთიანებს ბურჟუათა მცირერიცხვან და შერომელთა მრავალრიცხვან ჯგუფებს. როგორც ლენინი გვასწავლის: ხელოვნება ხალხს კუთვნის. ბურჟუაზიული ხელოვნება შექმნილია თვით შერომელთა წრიდან გამოხატული მოღვაწეების მიერ. ხოლო მისი შინაარსი მნიშვნელოვანწილად უზრალო, რიგითი ადამიანების ცხოვრების, მათი სიძელეებისა და გაჭირვების ამსახველია. მასში ბურჟუაზიულობის ფასადს მიღმა მოიპოვება ბევრი არაბურჟუაზიული ესთეტიკური და იდეური ღირებულება.

თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნება განიცდის დიფერენციაციის გაძლიერებულ პროცესს. ეს პროცეს საზოგადოების ანტაგონისტური კლასების წინააღმდეგობათა ამსახველია. ერთი და იმავე საზოგადოების, ბურჟუაზიული საზოგადოების ხელოვნება, სულ უფრო და უფრო კარგავს ერთიან ბუნებას, დებულობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსის სახეს.

ამ მიზეზით დღევანდელი ბურჟუაზია არ უნდა გავაიგი-

ვოთ ოქტომბრის რევოლუციამდელ ბურჟუაზიასთან. ეს ფაქტი განსაზღვრავს აგრეთვე ბურჟუაზიული ხელოვნებისადმი ჩვენს განსხვავებულ დამოკიდებულებას.

გაძლიერებულმა კლასობრივა ბრძოლამ და სოციალისტური ხელოვნების გავლენამ თვით ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარმოშვა სოციალისტ მწერალთა მთელი პლეადა (ა. ბარბიუსი, ჯ. ოლდრიჯი, რ. როლანი, პ. ნერუდა, თ. დრაიზერი და სხვ.). მაგრამ, მეორე მხრივ, მოქმედებაში უფრო აქტიური ხდება ხელოვნების ბურჟუაზიული პარტიულობის პრინციპით; იქმნება პანეგირიკული ლიტერატურა, აგრეთვე მმართველი კლასი ცდილობს მხატვრებში და საზოგადოებაში განავითაროს ზესოციალობის, გზაბნეულობის, ამავების განწყობილებანი, რაც ხშირად მიზანს აღწევს და განაპირობებს შესაბამის განწყობილებათა მატარებელი ნაწარმოებების შექმნას.

ბურჟუაზიული ხელოვნება, განსაკუთრებით კინოხელოვნება და მხატვრული ლიტერატურა, შეგვიძლია ოთხ ძირითად ჯგუფად დავყოთ. თითოეული მათგანის მიმართ საბჭოთა ესთეტიკისა და საზოგადოებრიობის დამოკიდებულება განსხვავებულია.

პირველი ჯგუფი მილიტარისტული და პოლიტიკური იდეათა მქადაგებელი ხელოვნებაა. შეძლება ითქვას, რომ თვით „ხელოვნების“ ცნების გამოყენება ამგვარ ქმნილებათა მიმართ ნაკლებ გამართლებულია. ეს არის ცალკეულ მხატვრულ სახეთა და მეთოდთა ეკლექტიკური გამოყენება ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და მხედრიონის საქმიანობის გასამართლებლად.

ცხადია, სოციალისტური საზოგადოება გადაჭრით ამბობს უარს პანგირიკულ ხელოვნებაზე, როგორც ცრუხელოვნებაზე, პროპაგანდისტულ-სააგიტაციო ხელოვნების ყველაზე მდარე ნიმუშზე.

ბურჟუაზიული ხელოვნების მეორე ჯგუფია თავშესაქცევი, ფანტასტიკურ-სათავგადასავლო, დეტექტიური უანრი. გადაჭრით დასაგმობია აგრეთვე ამგვარი ხელოვნების ზოგიერთი ნიმუში: კომიქსები, პორნოგრაფიული გამოცემანი, ძალადობის კულტის პრინციპზე აგებული კინოსურათები და სხვ. მაგრამ უარს ვერ ვიტყვით დიუმას, მაინ რიდის, კუპერის, კონან დოილის და სხვათა ტრადიციების კარგ გამგრძელებლებზე.

რაც შეეხება სოციალისტური ხელოვნების იმ ნიმუშებს (მეოთხე ჯგუფი), რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განვითარება, საბჭოთა საზოგადოებრიობა უშენიშვნოდიღებს მას თავის საკუთრებად.

აქ ყველაფერი ნათელია. გასარკვევია მხოლოდ, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ხელოვნების იმ ქმნილებათა მიმართ, რომლებიც იდეურ გზაბნეულობას გამოხატავს უჩვეულ გამომსახველი საშუალებებით (მესამე ჯგუფი). როგორი უნდა იყოს ხელოვნების პარტიულობის ლენინური თვალსაზრისით სხვადასხვა ბურჟუაზი-

3 იქვე, გვ. 290.

4 იქვე, გვ. 290.

ული „იზმის“ შეფასება? რა შეიძლება მიიღოს მისგან საბჭოთა მკითხველმა, მხილველმა თუ მსმენელმა?

ბურუჟაზიული ხელოვნების ერთი ნაწილი არ ცდილობს სოციალურ ღირებულებათა დამკვიდრებას, პირიქით, გაურბის სოციალობას. მაგრამ ხელოვნების პარტიულობის თვალსაზრისი ხელოვნების ნაწარმოებში დადგებით ესთეტიკურ და იდეურ ღირებულებას აგნებს მაშინაც, როცა იგი ნეგატიური ფორმითაა წარმოდგენილი.

ბურუჟაზიული ხელოვნების თავისებურება მომეტებულად სახვითი ხელოვნების დარგში შედაგდება. ბურუჟაზიული სახვითი ხელოვნება რადიკალურად ემიჯხება კლასიკურ ხელოვნებას და ქრისტიანული ტრადიციი, ხალხს ძოშვეტილი, ცალკეულ ესთეტთა ვიზრო ჯგუფის ექსპერიმენტული ძიების შთაბეჭდილებას.

შევეხოთ ბურუჟაზიული სახვითი ხელოვნების ზოგიერთ სფეროს. ეს რამდენადეს კონკრეტულ ნიადაგს შექმნის დადებითი აა უარყოფითი განზოგადებისათვის.

თანამედროვე ბურუჟაზიული ხელოვნების ერთ-ერთი გავრცელებული მიმდინარეობა კუბიზმი. კუბისტებმა საგანს თითქმის წაართვეს რეალური ფორმა. ისინი ფაქტიურად, საგნის გამოსახვის ერთადერთ საშუალებად იყენებენ გეომეტრიულ ფორმებს. მაგრამ კუბისტი მხატვარი მთლიანად მაინც არ ახდენს საგნის რეალური ფორმის წაშლას. კუბისტურ სურათში საგანი, მაგალითად ადამიანი, ასე თუ ისე ატარებს გარეგნულ იერს, მაგრამ მხატვრის მიზანი როდია ესთეტიკური ზეგავლენა მოახდინოს იმით, რაც საგნის გარეგანი მოვლინებულობით გვეძლევა, მისი მიზანია ჩაწვდეს გამოსახატავი მოვლენის არს, შინაგანობას და შექმნას ისეთი ემოციური კომპლექსი, რომელიც ექვივალენტური იქნება საგნის არსიდან მომდინარე შთაბეჭდალებათა კომპლექსისა.

ამგვარი შემოქმედებითი მიზანი ხშირად განუხორციელებლია, რის გამოც კუბისტ მხატვრებს უამრავი მარცხი და ჩავარდნები აქვთ. მაგრამ არ ვიქნებოდით სამართლიანი, თუ მათ შემოქმედებაში მიღწევებს ვერ შევამჩნევდით.

მაგალითად, კუბისტურმა მხატვრობამ ზოგიერთი სოციალური მოვლენის არს შესაბამისი (ექვივალენტური) მხატვრული ფორმა უპოვა. ომის თემის გამოსახატავად კუბისტურ ხელოვნებას ისეთი გამომსახველობითი საშუალებანი გააჩნია, რომელიც დიდი დრამატული ძალით ასურათებს ამ საზოგადოებრივი მოვლენის არსს.

პიკასოს შემოქმედების მშვენება „გერნიკა“, რომელიც ასახავს ფაშისტების მიერ დაბომბილ სოფელ გერნიკას, შექმნილია კუბისტური ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებებით. ასეთივე გამომსახველობითი საშუალებებითაა შექმნილი ოსიპ ცატკინის ცნობილი ქანდაკება „დანგრეული როტერდამის ხსოვნას“ და სხვ.

სიურრეალიზმი გამოსახვის მეთოდის აუცილებელ პირობად თვლის მოვლენას შეუნარჩუნოს რეალური სახე, მაგრამ საგნის ფორმის რეალურობა მას ესაჭიროება არა რეალურ მოვლენათა ასასახავად, არამედ დრამატულ, ხშირად მიუწვდომელ, შეუცნობად, ფისიოლოგიურად უცხო მოვლენათა დამაჯერებლად გადმოსაცემად.

როგორ უნდა გახდეს მოვლენათა თითქოს ნატურალისტური ზედაც ტრაგიკულ უთაბეჭდილებათა გადმოშცები? საცე იაა, რომ სიურრეალიზმის ხატურალიზმი აა რეალისათვის ფიქცია. სიურრეალისტი ბრატვარი ახდებს საგნის, როგორის თვითონებულ დახაწევრებას და ასევე თვითონებულ მისართუებას აიყაობს მის შიერ თვითონებურად გაძოყოფილ დეტალებს მორის. მხატვრული ეფექტი გააისაზღვრება არა რეალურობის იმ ელემენტებით, რომელიც საგნის ობიექტური იზარის ჩვენებისას არის წარმოდგენილი, არახედ საგათა დანაწევრებითა და გაუცხოებულ მისართებათა დაშავარებით.

სიურრეალიზმის წარმომადგენლებმა ივ. ტანგიმ, სალვადორ დალიმ და სხვ. მეორე მსოფლიო ომის წლებში შექმნება იმ განწყობილებათა გამომხატველი ნაწარმოებები, რაც ახასიათებდა ბურუჟაზიული ინტელიგენციის ერთ ნაწილს: შიში, დაბნეულობა, უპერსაექტივობა, უმზნობა, სოციალური განურჩევლობა, ამაოება და ა. შ. ზოგიერთი კრიტიკოსი მიდრევილია სიურრეალისტების, კერძოდ, ს. დალის აპათიურ განწყობილებათა, სოციალური განურჩევლობის, განმარტოებისადმი სწრაფვის გამოხატვა სამშობლოს ღალატად და ფაშისტთა თანამოქმედებად ჩათვალოს. ასეთი მტკიცებანი უთუოდ მოკლებულია საფუძველს. პირიქით, ს. დალის, ივ. ტანგის და სხვათა მიერ მელანქოლიურ განწყობილებათა გამოხატვა პროტესტი იყო, მართალია, პასიური, მაგრამ მაინც რადიკალური გამიჯვნა იმ სოციალური გარემოსაგან, რომელსაც ფაშისტური რეჟიმი განსაზღვრავდა.

თანამედროვე ბურუჟაზიული ხელოვნების ყველაზე გავრცელებული მიმდინარეობა აბსტრაქციონიზმი.

აბსტრაქციონისტებს მიაჩნიათ, რომ საგნის კონკრეტული მოცემულობა არავითარ როლს არ ასრულებს ესთეტიკური ფენომენის შექმნაში. აბსტრაქციონიზმის კრედო ემყარება რეალური საგნის უგულებელყოფას; იგი საგნის ნაცვლად ახდენს იმ აბსტრაქტული საწყისების წინ წამოწევას, რომლებიც კონკრეტული საგნის შემადგენელი ელემენტებია. აბსტრაქციონისტული ხელოვნების საშენი მასალა შედგება ფერის, ლაქების, ხაზებისა და სხვა კომპონენტებისაგან. აბსტრაქციონიზმი ესწრაფვის შექმნას წმინდა ესთეტიკურ-ემოციური ღირებულება, რომელიც სტერილურია არა მხოლოდ სოციალურობისაგან, იგი სტერილურია აგრეთვე ყოველგვარი ინტელექტუალურისაგან.

მაგრამ აბსტრაქციონისტი ამგვარად წარმოდგენილ ესთეტიკურ-ემოციურ შთაბეჭდილებათა საფუძვლად მაინც კონკრეტული საგნების ზემოქმედებას მიიჩნევს. ამიტომ აბსტრაქციონისტული სურათების უმრავლესობას სახელწოდება რეალური საგნებისა აქვს. ეს ფაქტი კიდევ უფრო აღრმავებს იმ მხილეელთა და კრიტიკოსთა უარყოფით დამოკიდებულებას, რომლებიც არ იცნობენ აბსტრაქციონისტული შემოქმედებითი მეთოდის ამოსაგალს და ლამბენ ყველაფერი პირდაპირ აღიქვან იმგვარად, როგორც ცხოვრებაში ხდება. მაგალითად, მათ სურთ მართლაც იხილონ „დილა“ იმ აბსტრაქტულ ნამუშევარში, რომელსაც ასეთი სათაური აქვს.

სინამდვილეში აბსტრაქციონისტი არც კი ცდილობს საგნის ჩვენებას. მისი თბიერებია არა საგანი, არამედ საგნით აღძრული შთაბეჭდილებანი. ამიტომ ხშირად თვით ავტორიც კარგას კონტროლს იმ გრძნობათა, ემოციათა, შთაბეჭდილებათა წარმომავლობის შესახებ, რომლის ჩვენებასაც ცდილობს. აბსტრაქციონისტისათვის არ არსებობს მოვლენებისადმი ცნობიერი დამოკიდებულება, მისი შემოქმედებითი იმპულსი მთლიანადაა განსაზღვრული ქვეცნიბიერით, ან უშუალო შთაბეჭდილებით, იმ გრძნობადი რეაციით, რასაც მოვლენა იწვევს შემდგომი შედეგებისაგან დამოუკიდებლად. მსოფლშეგრძნების ამგარი ავტონომიურობა ძნელად განსასაზღვრავს ხდის აბსტრაქციონისტული ხელოვნებით გამოწვეულ განცდას. ეს განცდა ზოგადია, მასში იკარგება კონკრეტული საგნის სახე, რამდენადმე უახლოვდება მუსიკის ეფექტს.

შეიძლება დაისვას საკითხი: ხელოვნების რა თავისებურება ხდის შესაძლებლად გამოსახვის აბსტრაქციონისტულ მეთოდს?

საყურადღებოა ერთი გარემოება: აბსტრაქციონიზმი ფაქტიურად არსებობს მხოლოდ ფერწერში. ყოველ შემთხვევაში, თავის ტიპიურობას აბსტრაქციონიზმი ფერწერაში აღწევს.

ეს მოვლენა გაპირობებულია მხედველობითი აქტის თავისებურებით. ადამიანის რეაქცია ვიზუალურ შთაბეჭდილებზე ყოველთვის დადებითი ან უარყოფითი ელფერის მატარებელია. ფერის, ლაქების, ხაზების, წერტილების, ფიგურებისა და სხვათა მიმართ ყოველ ადამიანს აქვს დადებითი ან უარყოფითი რეფლექსები, რაც შეუმუშავდა ონტოგნეზში, ან მემკვიდრეობით მიიღო ფილოგნეტური განვითარების გზით. შემოქმედების აბსტრაქციონისტული მეთოდი მდუმარედ ემყარება იმ ვარაუდს, რომ ადამიანი ყოველთვის გარკვეული ემოციებით პასუხობს მხედველობითი აღქმის აუცილებელ ელემენტებს — ხაზებს, ლაქებს და სხვ. აბსტრაქციონისტი ახდენს ამ ცალკეულ ელემენტთა სინთეზირებას, მათ გამოტლიანებას, შეყვანას განსხვავებული სტრუქტურის მთლიანში, გამოსასახავ შთაბეჭდილებათა კვალობაზე მათთვის შესაბამისი ემოციის გამოხატვის ფუნქციით დატყირთვას. ხშირად ეს შესატყვისობა მექანიკურია, რაც აძნელებს საგნობრიობის შენარჩუნებას. ვდებულობთ ემოციათა რაღაც ექვივალენტს, რომლის არა მარტო სოციალური, არამედ ინტიმურ-ფიქროლოგური შინაარსიც ქვეცნობიერი სქელი ფინით იფარება.

შეუძლებელია აბსტრაქციონიზმის სრულყოფილი სახით არსებობა ხელოვნების რომელიმე სხვა დარგში. მით უმიტეს მხატვრულ ლიტერატურაში, სადაც საშენ მასალას — სიტყვას ყოველთვის გარკვეული შინაარსი აქვს და მისი აყვანა აბსტრაქციონიზმის დონემდე დაარღვევდა თვით სიტყვას, უაზროს გახდიდა მას.

შეიძლება ითქვას, რომ მსალის თავისებურებითაა აგრეთვე განსაზღვრული ჯამიზმის. სიურრეალიზმისა და სხვა „იზმიტის“ არსებობის ფაქტი.

მაგრამ საკითხს მეორე მხარია აქვს: სოციალურად რამ განაპირობა ეს მიმღინარეობანი. რა მიზეზმა განსაზღვრა,

რომ ფერწერის შინაგანი თავისებურება ასე გაუკუდმართებულად განვითარდა თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებული გათიშულობა პირვენებასა და საზოგადოებას შორის. პირვენება თითქოს დაკარგულია საზოგადოებაში; მისთვის ცხოვრება არსებობს როგორც ტრაგიკული იდუმალება, მოულოდნელი საშინელება, მხოლოდ უკანონზომიერო სიხარული; იგი განიცდის მარტოობისა და სიკვდილის შიშს, მუდამ ადამიანებში მყოფს აწუხებს კომუნიკატელობის პრობლემა. მისთვის პრობლემატური ხდება თვით ისეთი მარტივი და ტრადიციული ურთიერთობის დამყარება, როგორიცაა თანამცხოვრებთა მიმართ კონტაქტში ყოფნა. ამიტომ გაურბის ცნობიერს და ეძლევა მხოლოდ ემოციას, უსახო, შინაარსგაურკვეველ ემოციას, ან ემოციის ნაფლეთებს.

ხელოვნება არა მხოლოდ პოზიტიური ფორმით ამკვიდრებს სოციალურად და ფიქროლოგიურად პოზიტიურ შინაარსს, არამედ ამავე ფუნქციას ასრულებს ნეგაციის გზითაც. ეს ჭეშმარიტება ხელოვნების პარტიულობის ლენინური თეორიის არსებითი მონაპოვარია.

პრინციპული ცვლილება განიცადა აგრეთვე მე-20 საუკუნის ბურჟუაზიულმა მუსიკამ.

ჩვენი ეპოქის მუსიკალური კულტურა განვითარება და შენარჩუნებაა იმ უკეთესი ტრადიციებისა, რომელსაც ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში ქმნიდნენ მუსიკალური ტალანტები ბახი, ბეთოვენი, მოცარტი, ვანკენი, ჩაიკოვსკი და სხვ. ეკუთვნიან ერთ სტილისტურ ფორმაციას მუსიკაში. ყველა ისინი მელოდიურ-ჰარმონიული მუსიკის მიმდევრები არიან.


მელოდიური მუსიკის თეორიული ამოსავალია ის პრინციპი, რომ მუსიკალურ ფენომენში მონაწილე ბგერების მნიშვნელობა არატოლფასოვანია. ძირითადი ფუნქცია ენიჭება მელოდიურ ხმას, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი ხმა თანამონაწილეობს მელოდიის თანმხლები პარმონიის შექმნაში.

მოდერნისტული მუსიკის მამამთავარმა არნ. შონბერგმა გაილაშვრა თანამედროვე მუსიკის თვით საფუძვლის წინააღმდეგ. მან უარყო ერთი ხმის, მელოდიის უპირატესობა და მუსიკალურ ნაწარმოებში თორმეტივი ხმის მნიშვნელობა ერთ სიმაღლეზე აიყვანა. ამ აქტის შედეგად მუსიკალურ ნაწარმოებში დაიკარგა მელოდია, ტონალობა, გაქრა მუსიკალური თეორიის ცნება, აღიკვეთა პარმონია.

შონბერგის მრავალხმოვანი, ანუ, როგორც მას უწოდებენ, დოდეკაფონური მუსიკა არ ეძარება უშუალო, ემოციურ ასოციაციებს, იგი იქმნება მხოლოდ გონებისმიერი აქტივობით, მოკლებულია შინაგან მთლიანობას, გაუღენილია სტატისტიკური, ერთფეროვანი ინტონაციებით, არ გააჩნია განწყობილების სიცავად და მთლიანად იწვევს ქაოსტიურობის შემაშვილობების გრძნობას.

აღსანიშნავია, რომ მოდერნისტული ძიებანი მუსიკაში

(დასასრული 64-ე გვერდზე)



ჭ. ნიუსარაძე.




გამარჯვებულის (ტრიპტიქი)

ვლადიმერ
ილიას ძე
ლენინის
დაბადების
100 წლისთავისადმი
მიძღვნილი
საქართველოს
მხატვართა
საიუგილეო
გამოფენიდან



ლ. ბუხაძე.
1921 წელი

გ. ქავაიძე.
კოსმოსი



ი. ბარნაბიშვილი.
გზა ვარსკვლავებისაკენ



მიმდინარეობდა რომანტიზმის კრიტიკის ნიშნით. მოდერნისტები მუსიკაში თავს ესხმოდნენ ლირიზმს, როგორც სენტიმენტალიზმს, სოციალურობას უპირისპირებდნენ ნიკილიზმს, იდეალებს — ეროტიზმს.

როგორც შონბერგის, ასევე მის მოწაფეთა და თანამედრობელთა მუსიკაში თავიდანვე შეიჭრა ურბანისტული ტენდენციები. ერ. სატი, დ. მიიო, ალ. ბერგი და სხვ. პირვენების შინაგან განცდათა მაგიერ წინ წამოსწევდნენ ინდუსტრიალურ სამყაროს, ტექნიკას შესაბამისი ხმაურითა და ქაოსით.

შეცდომა იქნებოდა თუ მოდერნისტული მუსიკის წარმომავლობის მიზეზს ჩამოგაშორებდით იმ ნიადაგს, რომელიც განაპირობებს საერთოდ ბურჟუაზიული ხელოვნების თავისებურებას მე-20 საუკუნეში.

უშედობა, ქვეცნობიერის იდეალიზაცია, სქესის კულტი, პასიური პროტესტი სოციალურ უკუღმართობათა მიმართ — განსაზღვრავენ მოდერნისტული მუსიკის დექუმანიურ ბუნებას.

მაგრამ არის სხვა არსებითი მიზეზიც, რომელიც თვით მუსიკის განვითარების შინაგანი კანონზომიერებიდან გამომდინარეობს. რა თქმა უნდა, შონბერგის მტკიცება, რომ მელოდიურმა მუსიკა თავისი შესაძლებლობა ამოწურა, საფუძვლს მოკლებულია, მაგრამ ამ მტკიცებაში რაციონალური მარცვალიც მოიპოვება. მელოდიური მუსიკის გამომსახულობითი მეთოდები იმდენად სრულყოფილი გახდა, რომ თვით შემოქმედების პროცესი მივიდა არამელოდიური მუსიკის გამომსახველობით საშუალებათა გამოყენების აუცილებლობამდე. ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტი: არა მხოლოდ შონბერგის მოწაფეები და თანამოაზრენი ალ. ბერგი, პ. ჰინდმიტი, ჰ. ეისლერი და სხვ., არამედ თვით შონბერგიც შემოქმედების ბოლო წლებში მის მიერ შექმნილ მუსიკაში იყენებდა მელოდიას, მიმართავდა ტონალური ცენტრების გამოყენების პრინციპს.

სახვით ხელოვნებასა და მუსიკასთან შედარებით ნაკლებოლებიკურია ბურჟუაზიული მხატვრული ლიტერატურისადმი დამოკიდებულების საკითხი. დაცემულობის, ასოციალობის, ინდივიდუალიზმის გვერდით არაიშვიათად ვხვდებით ნატიფ განწყობილებებს და სწრაფვებს, რომლებიც გადმოცემულია მხატვრულად უნაკლო ფორმით. თანამედროვე სიტყვაეაზმული მწერლობა შეუძლებელი იქნებოდა პრესტის, ჯოისის, უაილდის, ეგზიუპერის, ბრედბერის, კაფეს, სარტრის, ჰერმინგუეის, სელინჯერის, თავორისა და სხვათა შემოქმედების გარეშე. თითოეულ მათგანთან აქვს საკამათო მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, მაგრამ მეტწილად ეხება კლასობრიობისა და სოციალურობის სფეროს. მოჩვენებითი ზეკლასობრიობისა და ზესოციალობის მიღმა იძულებული ვართ ვეძიოთ გაუგუღმართებულ ან ძირეულად შეცვლილ ურთიერთობებში გადმოცემული, ცნობიერად და ქვეცნობიერად ნისლში გახვეული კლასობრიობა და სოციალურობა. განხილვის ეს სირთულე არავითარ შემთხვევაში არ ახდენს მათი ესთეტიკური ღირებულების გაუფასურებას.

ბურჟუაზიული ხელოვნების კრიტიკულად შეთვისების პარალელურად აუცილებელად უნდა მიმდინარეობდეს თანმიმდევრული პოლემიგა ბურჟუაზიული ესთეტიკოსების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული ხელოვნება სულ სხვადასხვა შეფასებას პოულობს ბურჟუაზიულ და საბჭოთა ესთეტიკოსებს შორის. ბურჟუაზიული ესთეტიკოსები ცდილობენ თეორიულად დაასაბუთონ, მსოფლმხედველობრივი კანონზომიერების სიმაღლეზე აიყვანონ ხელოვანთა ცდომილება, მათი მსოფლშეგრძნებისული ცალმხრიობა, ქვეცნობიერების სიჭარბე. ეს მაშინ, როცა ჩვენთან ავტორს ყოველთვის მიეზღვება დამსახურებისამებრ, მაგრამ არასოდეს არ ხდება ქვეცნობიერით კეკლუცობის წაქეზება. მაგალითად, ფრონდისტული ესთეტიკა, იუნგის მიმდევრები, ნეოთომიზმის შემქმნელები და სხვ. ქვეცნობიერს ესთეტიკურობის არსად მიიჩნევენ, რაც ხშირად ქვეცნობიერით თვითმიზურ გატაცებად იქცევა. რა დიდად განსხვავდება მათგან გ. ჯიბლაძის მიერ აბსტრაქციონიზმის ძირითადი მანკის, ქვეცნობიერის ლაკონიური და ამომწურავი შეფასება. „აბსტრაქციონისტული ხელოვნება თავისი შინაგანი ბუნებითა და გარებული ფორმით ამსხვევეს ნორმალურს. იგი ადამიანის სად შემეცნებას, რეალურ სინამდვილეს მოწყვეტილია, უაზრობას ქადაგებს და ქვეცნობიერს განადიდებს“⁵.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა ვერასოდეს დაეთანხმება ბურჟუაზიული ესთეტიკის წარმომადგენლებს საკუთარი მსოფლმხედველობის ქარგაზე თვითონებურად გამოჭრან ბურჟუაზიულ ხელოვანთა შემოქმედებითი პროფილი, მოახდინონ მათი ცალმხრივი ანალიზი, გამოიყენონ იგი საკუთარ თეორიულ ნააზრევთა საილუსტრაციოდ.

ბურჟუაზიული ესთეტიკის ცალმხრიობაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ე. წ. ბურჟუაზიული ესთეტიკა დანაწევრებულია უამრავ ურთიერთურიად მდგრადი ფრიად მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტი: არა მხოლოდ შონბერგის მოწაფეები და თანამოაზრენი ალ. ბერგი, ჰ. ჰინდმიტი, ჰ. ეისლერი და სხვ., არამედ თვით შონბერგიც შემოქმედების ბოლო წლებში მის მიერ შექმნილ მუსიკაში იყენებდა მელოდიას, მიმართავდა ტონალური ცენტრების გამოყენების პრინციპს.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა ერთადერთი დასრულებული ესთეტიკური მოძღვრებაა. კერძოდ, ხელოვნების პარტიულობის ლენინური თეორია სრულ შესაძლებლობას იძლევა შემოქმედებითად ავითვისოთ თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნება. მისი მიღწევების გაცნობა ისევე აუცილებელია სოციალისტური საზოგადოებისათვის, როგორც რევოლუციამდელი ხელოვნების ცოდნა. ეს პროცესი ორმხრივად სასარგებლოა: იგი არა მხოლოდ ხელს უწყობს ხელოვნების საბჭოთა მოვარულის ესთეტიკურ განვითარებას, არამედ ბურჟუაზიულ ხელოვანს იცავს მოქალაქეობრივი უპერსპექტივობის საშიშროებისაგან.

5 გ. ჯიბლაძე, რეალიზმი და აბსტრაქციონიზმი, გაზ. „კომუნისტი“ 1963, № 134.

ლ ა ნ ი ნ ი ს ი ე რ ს ა ხ ე

ქ ა რ თ უ ლ ვ რ ე კ ა ლ უ რ -

ს ი გ ვ რ ნ ი უ რ მ ა უ ს ი კ ა შ ი

მარგარიტა ვაჩინაძე

მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უკვდავი იერსახის მხატვრულ-მა გადმოცემაზ სიცოცხლე მისცა ქართველი კომპოზიტორების მთელ რიგ თვალსაჩინო გოგალურ-სიმფონიურ ნაწარმოებს.

ლენინის იერსახესთან გაიგივებულმა მაღალმა კომუნისტურმა იდეალებმა, თანამედროვეობის მოვლე-

ნებმა განაპირობეს ამ ნაწარმოებებში პერიოგულ-რევოლუციური ბრძოლის სურათების, ჩვენი ქვეყნის ხალხების ბედნიერი აწმყოს, ბელადისადმი ხალხის ღრმა სიყვარულის, მისი იდეების გამარჯვების განსახიერება.

საბჭოთა კომპოზიტორების მიერ ლენინის იერსახის გამოძერწვა ძირითადად ხდება სინთეტურ ჟანრებში — სიტყვისა და მუსიკის ერთობლი-

ვი საშუალებებით. მუსიკალური აზრის მაქსიმალური სახოვანებისა და მკაფიოებისათვის კომპოზიტორები მიმართავენ პოეტურ ტექსტსა და კონკრეტულ პროგრამას, სიმფონიურ ნაწარმოებებში შექმავთ საგუნდო ელემენტი. საგუნდო პარტიებში კი წამყვან მნიშვნელობას დეკლამაციურ საწყისს ანიჭებენ. ხშირად ვხვდებით ცნობილი რევოლუციური სიმღერების, პიმნებისა და მარშების ინტონაციების შერწყმას კომპოზიტორთა ორიგინალურ თემებთან.



ლენინისადმი მიძღვნილი ასეთი ნაწარმოებები გამსჭვალულნი არიან გასტივოსნებული, ოპტიმისტური განწყობილებით. ის ნაწარმოებებიც კი, რომელნიც ბელადის სიკვდილით გამოწვეულ გულისტგივილს გამოხატავენ, შეიცვალ მრავალ ფურცელს — აღსაგესს იმედით, ბელადის იდეების გამარჯვების ურყევი რწმენით.

ქართულ მუსიკაში ბელადისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია კომპოზიტორ იონა ტუსკიას სიმფონიური პოემა „მავზოლეუმთან“, იგი 1936 წელს დაიწერა. ამ თვალსაჩინო ნაწარმოების შექმნის სტიმული იყო კომპოზიტორის მუშაობა ნ. პოგოდინის პიესის „თოფიანი კაცის“ მუსიკალურ გაფორმებაზე. პიესაში ბელადის იერსახე დამაჯერებლად არის წარმოსახული. მასში კომპოზიტორს სურდა გადმოეცა ფიქრები და განცდები, სიყვარული და ღრმა პატივისცემა ლენინის ნათელი ხსოვნისადმი, რომელსაც საბჭოთა ადამიანები გამოხატავენ მავზოლეუმში შესვლისას.

ყოველივე ამან განაპირობა სიმფონიური პოემის ლირიკული განწყობილება, მისი სითბო და მღერადობა, მაგრამ ლირიკა იძენს ეპიურ სიღრმესა და ძლიერებას. ამ გზით არის ნაჩვენები პოემაში ხალხის ფიქრები ბელადზე.


(გაგრძელება 68-ე გვერდზე)

ვლადიმერ
ილიას ძე
ლენინის
დაბადების
100 წლისთავისადმი
გიძღვილი
საჭართველოს
მხატვართა
საიუბილეო
გამოფენიდან



ზ. ქიქნაველიძე.

სერიიდან „საკრაულა — სოფელი, რომელზეც შედა ლენინი“.



გ. კიბნაველიძე.

სერიიდან „საკრაულა — სოფელი, რომელზეც წერდა ლენინი“.

მხატვრული იერსახების რელი-ეფურობისა და მაღალი პროფესიული ოსტატობის წყალობით იგი დღემდე რჩება ბშირად შესასრულებელ სა-რეპერტუარო ნაწარმოებად, განსა-აშორებით საქართველოში, ლენინის საიუბილეო დღეებში.

პოემა იწყება სევდიანი უდერა-დობით, მავზოლეუმთან წარმოშობი-ლი ნაღვლიანი განცდებით. იდუმალი დამის სიჩრდეს დროდადრო მხო-ლოდ კრემლის კურანტები არღვევენ. ცივი, გარინდებული ხმოვანებით გა-ნაზოგადა კომპოზიტორმა რევოლუ-ციამდელი რუსეთის სურათი. მავზო-ლეუმთან თავდახრილი ადამიანების წინაშე გაიღვევებენ ილიჩის მგზე-ბარე რევოლუციური მოღვაწეობის ეპიზოდები. თანდათან მუსიკაში ირ-თვება რუსული სიმღერის ფართოდ გაშლილი მელოდია, რომელსაც ჯერ ბაიანი ასრულებს, შემდეგ მთელი ორკესტრი აიტაცებს. იგი თანდათან ფართოვდება, იზრდება და გამამხნე-ვებელ სიმღერაში გადაიზრდება.

ი. ტუსკიას გალაშს კუთვნის აგ-რეთვე ერთნაწილიანი „კანტატა ლე-ნინზე“ გუნდის, სოლისტებისა და ორკესტრისათვის. ტექსტის ავტო-რი თავად კომპოზიტორია. ეს ძლი-ერი პერიოდული სიმღერა შთამბეჭ-დავად გაღმოსცემს ხალხის უსაზღვ-რო სიყვარულსა და ერთგულებას ბე-ლადისამი, მისი მოძღვრებისადმი.

მნიშვნელოვანი მხატვრული ღირ-სებით გამოიჩინა აგრეთვე ალექ-სანდრე შავერზაშვილის ორატორია „დიდება ოქტომბერს“. მასში ცენ-ტრალური ადგილი ეთმობა ლენინის იერსახეს, რომლის არსი იხსნება ხალხის ბრძოლასა და გამარჯვებას-თან მჭიდრო ურთიერთყავშირში. ა. შავერზაშვილის ორატორია შეიქ-მნა 1958 წელს. იგი დღემდე სრულ-დება საზეიმო დღეებში. ეს არის ოს-ტატურად დაწერილი პერიოდულ-ებიური მონუმენტური ნაწარმო-ები და წარმოადგენს გრანდიოზული გარდაქმნებისა და ჩვენი წინსვლე-ბის ეპოქის შემქმნელის — ვ. ი. ლე-ნინისადმი მიძღვნილ ჰიმნს. ორატო-რია „დიდება ოქტომბერს“ დაწერი-ლია მეცო-სოპრანოს, ტენორის, ბა-

ნის, შერეული გუნდისა და სიმფო-ნიური ორკესტრისათვის, ტექსტი ეკუთვნის პოეტ პეტრე გრუზინსკის.

ორატორია უქვესი ნაწილისაგან შედგება. მათში თანმიმდევრულად მოთხოვილია თუ როგორ დაიწყო ხალხის ტანჯვა-გოდება და გაჩნდა რწმენა ლენინისადმი, რომელმაც ხალხი ოქტომბრის გამარჯვებამდე მიიყვანა, ბედნიერი ცხოვრება შე-უქმნა.

ორატორიაში აღ. შავერზაშვილი იყენებს ქართული ხალხური მუსიკის მრავალხმიანობის ფორმებს, რომელ-ნიც ზუსტად პასუხობენ ნაწარმოების საერთო მონუმენტურ შთანაფიქრს. კომპოზიტორი მიმართავს ორიგინა-ლურ კილო-პარმონიულ ხერხებს, ქართული ხალხური სიმღერების რიტმებსა და მელოდიურ ინტონაცი-ებს. ორკესტრი მდიდარი და მრავალ-ფეროვანია, ამასთან სადა და გამომ-სახველი. ორატორიაში გვხდებით ფართო სიმღონიური განვითარების მომენტებს, მძაფრ კონტრასტებს. ნა-წილებისა და მუსიკალური სახეების დაპირისპირებანი ხელს უწყობენ ორატორიის დრამატურგიულ ერთი-ანობას, ციკლის სიმღერობრესა და მთლიანობას. ნაწარმოების იდეური ლოზუნგია „ბრძოლით — სინათლი-საკენ“.

პირველი ნაწილი — „წარსული დღეები“ წარმოადგენს ქორალს — (ადაჟიონ ნონ ტროპპო). იგი პირქუ-ში ხასიათისაა და გადმოსცემს ქარ-თველი ხალხის მძიმე წარსულს. ხალ-ხის კვნესა ისმის ორატორიის საორ-კესტრო შესავალში, საორდანო ხმო-ვანებით დაბალ რეგისტრში. თემა-ტური მასალა ვითარდება ფუგატოს ფორმით. კვნესასა და ჩივილს აიტა-ცებენ ჯერ ბანები, შემდეგ თანმიმ-დევრულად ტენორები, ალტები, სოპ-რანები. ჩივილი უფრო ძლიერდება — საორკესტრო და საგუნდო პარ-ტიების აღმავლობა კულმინაციას აღ-წევს, სადაც მონუმენტური ქორალი უეცრად წყდება აღმომზდარ „ვაი“-ზე.

შემდეგ ისმის ქალთა ჩივილი (ალ-ტები, ფლეიტის სოლოს ფონზე), მაგრამ ნათლად იგრძნობა დიადი

მომავლის რწმენაც. კვლავ უღერს მამაკაცთა ხმები ორკესტრის დაბა-ლი რეგისტრის ფონზე, ისინი აგრ-ძელებენ სიმღერას ხალხის ჭირ-ვარამზე.

მეორე ნაწილია „მესტვირის სიმ-ღერა“ (ტენორის სოლო). იგი უმ-ღერის ხალხის სიყვარულს ლენი-ნისადმი. ეს ნაწილი ალეგრეტოს ტემპშია, დაწერილია ხალხურ თემა-ზე ხუთწილადი რიტმით. ამ თემას ასრულებს ბორი, იგი ქმნის ხალ-ხური ინსტრუმენტის სტეირის იმი-ტაციას. ვკალური პარტია ხალხუ-რი რეჩიტატივის სტილშია დაწე-რილი.

მესამე ნაწილია „რაზლივში“ (ბა-ნის მონოლოგი, ანდანტე მაქსტო-ზო). იგი მოასწავებს სამშობლოს ცხოვრების გარდაქმნას. ამ ძვრებს გვაუწყებენ საყვირთა ფანფარები, რომელთა შემდეგ შეღეს ლამაზი, მღერადი მელოდია — ბანის სოლო. ინსტრუმენტების ნათელი ტემპერე-ბის ფონზე გაისმის ფლეიტის, არ-ფისა და ზანზალაკების სოლო.

მესამე ნაწილი უშუალოდ ერთვის IV ნაწილს — „ოქტომბერი“. იგი მთელი ორატორიის ცენტრალური ნა-წილია. აღმავლობით გამორჩეული მუსიკა მოთავსებულია სონატური ალეგრის ფორმაში. მისი შესავალი გამსჭვალულია სახალხო ბრძოლისა და გამარჯვების ამსახველი თემებით. შესავალშივე შეღეს ენერგიული, ვაჟ-კაცური მუსიკა. სონატური ალეგროს I თემა დრამატული ხასიათისაა და ვიოლინოებთან უღერს. II თემა მარ-შისებურია, იგი ქმნის ხალხური სა-ზეიმო სვლის მოახლოების შთაბეჭ-დილებას. თავისიუფლება გარდევა-ლია. იგი იგრძნობა გუნდის მგზე-ბარე შეძახილები, ხალხისან რიტ-მში. ამ ნაწილის დასასრული მოცე-მულია საზეიმო-მონუმენტურ ას-ექტში.

მეხუთე ნაწილი — „სამშობლოს სივრცეში“ პასტორალური ხასიათი-საა. იგი დაწერილია ქალთა გუნდი-სათვის ორკესტრის თანხლებით და ხალხური ინტონაციებით არის გამს-ჭვალული. მუსიკაში ისმის სიხარუ-

ლი, ზემით. საუკუნოვანი უღელი აღარ ბორგავს ადამიანებს.

მექქვსე ნაწილი — „გამარჯობა ზემით“ ორატორიის ფინალია. ეს არის სახალხო დღესასწაულის ფერსავსე სურათი. ფანფარების მოწოდების შემდეგ ისმის შერეული გუნდის სიმღერა. ეს არის ხალხური წყობის ძალზე რიტმული მელოდია. პოლიფონიური თვალსაზრისით საინტერესოდ არის მოცემული ხმების გადაძახილები. ლამაზი სოლოების შემდეგ საგუნდო და საორკესტრო პარტიების უღრადობა სულ უფრო ძლიერდება, ორატორია მთავრდება თავისუფლებისადმი მიძღვნილი ჰიმნით.

კომპოზიტორმა სულხან ცინცაძემ ახლახანს დაამთავრა ორატორია „უკვდავება“ გუნდის, სოპრანოსა და ორკესტრისათვის პოეტ მორის ფოცხიშვილის ტექსტზე.

ორატორიის ექსივე ნაწილი გადმოსცემს ხალხის დამოკიდებულებას ბელადისადმი, ლენინის გარდაცვალებით გამოწეულ სევდა-მწუხარებას, მის დიდ საქმეთა მოგონებას. ლენინის იერსახე ხალხის გულში ბენიერი მომავლის რწმენას ბადებს. ამიტომაც ორატორიის განწყობილებათა სამყარო თანდათან მხნე და ოპტიმისტური ხდება, იგი საყოველთაო ზემით მთავრდება.

ორატორიის ძირითადი რიტმომელოდიური მარცვალი სიკვდილის სიმბოლოს განასახიერებს. ეს არის თავისებური „დიუზ ირუ“. იგი აერთიანებს ორატორიის ნაწილებს — ანდანტეს, ქორალს, ფუგასა და ფინალს. ეს თემა მრავალგზის განიცდის ფაქტურულ, ორკესტრულ, დინამიკურსა და ეშოციურ ტრანსფორმირებას, რის შემდეგაც იგი სუვალების თემად გარდაიქმნება. ფინალში გუნდი მას ძლიერად, ზემურად აუდერებს. დრამატურგიის ერთიანობა აკავშირებს ორატორიის ცალკეულ ხომრებსაც.

ს. ცინცაძის ორატორია გამსჭვალულია ქართული ხალხური მუსიკის რიტმებით, მელოდიური და ჰარმონიული ინტრაციებით, ხალხური ინსტრუმენტების თავისებური იმიტა-

ცირით. ასევე ხალხურ სტილშია დაწერილი მ. ფოცხიშვილის ტექსტიც. განწყობილებით, ხასიათით, სტილით ურთიერთს კარგად ერწყმიან მუსიკა და ლექსი.

ორატორიის ყველა ნაწილი, ფინალისა და ფუგის გარდა, დაწერილია სამანაწილიან ფორმაში (I ნაწილის გამორმაში). ფორმის მკაფიოება სიცხადეს ანიჭებს ნაწარმოებს და ამავე დროს თვალსაჩინოდ ავლენს ეპიზოდების კონტრასტულობასაც. პირვეში ბეგრწერითი მომენტების გვერდით ისმის ლირიკული მუსიკა, რომელიც აღსავსეა სინათლით, სიხარულით, ოპტიმიზმით. მონუმენტურ, საზემო საწყისს ენაცვლება მსუბუქი ნატიფი საცეკვაო რიტმები.

პირველი ნაწილი „21 იანვარი“ (ანდანტე მაესტროზო). საორკესტრო შესავალშივე უღრეს სიკვდილის პირვეში თემა. გუნდის კენესა-ჩივილი დაწერილია ხალხური მოთქმა-გოდების სტილში. იგი დიდ ზემოქმედებას ახდენს მსენელზე. ხალხი დასტირის საყვარელ ბელადს. მის სიკვდილს საუკუნოვანი მუხის წაქცევას ადრის. სასოწარკვეთა კიდევ უფრო ხაზგასმულია პრესტოში, ორწილადი და სამწილადი რიტმების მონაცვლეობით. ნაღვლიანად უღერენ გუნდის დაბალი ხმები სიტყვებზე: „მძვინვარებს იანვრის ქარი“. საორკესტრო თანხლება სიმებიანთა მსუბუქი პიციკატოდან გადაიზრდება ფერსავსე ხმოვანებში — იქმნება ქარის ქროლგისა და გმინების ილუზია. ქარიშხალი მძვინვარებს ადამიანთა გულებშიც, მაგრამ მათ სჯერათ, რომ ნაპერწერიდან აინთება ალი და ილიჩის ანდერძის განხორციელება ბეღნიერებას მოუტანს კაცობრიობას. რეპრიზის წინ, კულმინაციაში, საორკესტრო ტუტტის ხმოვანება აღწევს მძლავრ დინამიკურ დაძაბგას, რის შემდეგაც სიტყვებში „მძვინვარებს იანვრის ქარი“ გამოუსავალი ტანჯვა ისმის. იგი სინამდვილის, მიმდინარე წუთის ტრაგიზმს გამოხატავს.

მეორე ნაწილია „ქორალი“ (ანდანტე მოლტო). მის საორკესტრო

შესავალში კვლავ ისმის ქარიშხლის გმინვა.

დიდებული სევდით გამსჭვალულია ორატორიის ლეიტოემა, იგი ეროვნული ჰარმონითა შეფერადებული. მას ასრულებს გუნდი სიტყვებზე: „მზე ჩადის“. შუა ეპიზოდს გამოცოცხლება ეტყობა ვაჟთა და ქალთა ხმების მრავალგვარი იმიტაციის წყალობით, რეპრიზას მოსდევს კოდა, რომელშიც მცოცავი დაღმავალი ინტონაციები გარინდვა-გაყუჩების განწყობილებას ქმნიან.

ქორალი უშუალოდ გადაიზრდება ძილისპირულში „ძილი როგორ მოგვერია?“ სოპრანოს სოლო პარტიის მელოდია (ალეგრეტოს ტემპში) რწევადი ხასიათისაა, მას გუნდის მინამდერი ენაცვლება. საორკესტრო აკომპანემენტი გუნდის სიმღერის დროს ტრემოლირებულ ფიგურაციაში გადადის. შუა ნაწილში გუნდი და სოლისტი ერთიანდებიან. კოდაში შთამბეჭდავია სოლისტის მიმართვა ბელადისადმი, გუნდის გაწელილი ხმების ფონზე: „ხალხი შენს ძახილს ელოდება!“ შემდეგ კი უდერადობა თანდათან ქრება.

მეოთხე ნაწილი — „ფუგა“ აღსავსეა კონტრასტული იერსახეებით. მასში სიკვდილის თემა სახეს იცვლის — უფრო მოძრავი და ემციური ხდება. თანდათან ვითარდებიან ბანები, ალტები, სოპრანო. ხმოვანება იზრდება და მაღლდება. აქ თითქოს გამოღვიძების მომენტია აღბეჭდილი. განსაკუთრებით საინტერესოა თემის სტრეტული გატარების ეპიზოდი.

ლენინის იერსახე იმედით აღვსებს ადამიანებს — ასეთია მომდევნო ნაწილის — „ჩოგურის“ შთანაფიქრი. მასში მხნე, ოპტიმისტური განწყობილება სუფეს. ამ ნაწილში ჩართულია მსუბუქი საცეკვაო რიტმები, ჩოგურის იმიტაცია. სოპრანო ძალზე გამომსახველ მელოდიაზე მღერის:

„ცინცარი შენს სივზე ინთება, მშვიდობა მკვიდრდება დიდება, შენიდება!“

საგუნდო პარტიაში (შუა ეპიზოდი) იგვე მელოდია მძლავრდება.

მას შეარჩენებული აქვს საცეკვაო რიტმების სინატიფე.

ფინალში — „უკვდავება“ სადღე-სასწაულო განწყობილება კულტურა-ციას აღწევს, მასში ხდება „დიეზ რევს“ გადაზრდა უკვდავების ოე-მაზი. ეს ნაწილი რთულ ფორმაშია დაწერილი და სონატა-სიმფონიური ციკლების ფინალს უახლოვდება. ფი-ნალის I მონაკვეთი წარმოადგენს მოკლე, მაგრამ გამომსახველ შესა-ვალს. აქ ორატორიის ლეიტოემა მძლავრად ჟღერს ხან გუნდსა და ხან ორკესტრში. გუნდი მღერის:

„ინდოელს, მონლოლს, არახს,
ბულგარელს
შენი მზის ნათელი მუდამ ჰვენია!“
განსაკუთრებული მონუმენტურო-
ბით ისმის:
„სიტყვა შენი, საქმე შენი
ხალხთან ერთად ცოცხლობს, ლენინ!
ვაშა!“

მოკლე საორკესტრო ინტერლუდია გადადის შემდეგ მონაკვეთში, რო-მელშიც მეოუქვესმეტედების ფიგურა-ციები ხალხის ურიამულს გადმოს-ცემენ. ამ აკომპანემენტის ფონზე სოპრანო ასრულებს ნატიფ მელოდი-

ას: „სიჭაბუკის ზემია, ეს ჩომ შენი ნატერა არის“. ისმის მშვენი-ერი საგუნდო მისამღერი, რომელიც ამიერიდან არაერთხელ გაიელვებს ორატორიის ფინალში:

„მზე რომ ამობრწყინებულა,
ეს ხომ შენი შუქი არის!“

ორატორია მთავრდება დინჯად, საორკესტრო ტუტტის დინამიკურ კულმინაციაზე, გუნდისა და სოლისტის მონაწილეობით. მგზნებარედ ჟღერს ბელადის განდიდება!



ვ. მდინარაძე.
ლენინის იდეები

ვლადიმერ

0ლ0ას pე

ლენინის

დაბადების

100 წლისთავისადმი

გიძღვილი

საქართველოს

მხატვართა

საიუგილეო

გამოფენიდან



გ. ადგაძე.

წითელი არმიის შემოსვლა საქართველოში

სიახლოება

სოლომონ ლაცაური

მთვლი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს დიდი ბელადის გ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. პრესა, რადიო, ტელევიზია ყოველდღიურად გვაწვდის დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან მიღებულ ახალ-ახალ ცნობებს გნიალური ბელადის საუბილეო დღეებისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოების, თემატური ღმერთების, ფოტოგამოფენებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ.

ზეიმს მუდამ ამშვენებს ლექსი, სიმღერა, მუსიკა... დღეს საყოველთაო ზეიმში ჩვენი ერთ თავის ლამაზ, ვაჟა-ფურ სიტყვას ამბობს.

მრავალი სიმღერა შექმნილია ლენიზე, მასში ქართველი კაცის ალალი ხმაა ჩაქსოვილი. ქართული პანგი ჩაწულია იმ „სურნელოვანი ყვავილების კალათში“, რომელსაც სიყვარული ჰქვია. ეს არის სიყვარული დიდი ბელადისადმი, მისი იდეებისადმი, იგი ერთგულების, თავდადების, მადლიერების გრძნობებს შეიცავს. დიდი ბელადი ხალხთა ძმობის, ერთობის, მათი დარაზმვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად სიმღერას მიიჩნევდა. სიმღერა ოდითგანვე ამეგობრებდა ადამიანებს. სიმღერა ლენიზეც ხალხთა

ძმობის თავისებური სიმბოლო გახდა. გავიხსენოთ თუნდაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართული ქართული კულტურის დღეები — ეს იყო ქართული ხელოვნების ჭეშმარიტი ტრიუმფი გერმანულ მიწაზე... ქართული ლექსის, სიმღერისა და ცეკვის ზეიმი. წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის სერგო ზაქარიაძის მიერ აუღერებულ ბელადისადმი მიძღვნილ ხალხურ ლექს „ორი მზე“. ეს ოდა გერმანიაში აგუგუნდა, როგორც ლენიზერი იდეების ტრიუმფისადმი მიძღვნილი ჰიმნი. ჩვენი ხალხის მიერ მრავალი ასეთი ლექსი თუ სიმღერაა შექმნილი. ბევრი მათგანი დიდი ემოციური ძალით ქდერს ბელადის საიუბილეო დღეებისადმი გამართულ ხალხური შემოქმედების ფესტივალებზე. ისინი დამკვიდრდნენ საშემსრულებლო რეპერტუარში, როგორც ხალხური პოეზიისა და სიმღერის მაღალმხატვრული ნიმუშები. ზოგიერთ მათგანს იყვნებენ ქართველი კომპოზიტორები, პოეტები. ისინი კარგად ეგუებიან პროფესიული შემოქმედების სხვადასხვა დარგებს.

ხალხური ლექსი-სიმღერის თვალსაჩინო ნიმუშია „ორი მზე“. მან სცენისაკენ თავდაპირველად საფანდურო სიმღე-

ლ ւ ն ո ն չ ւ

რით გაიკვლია გზა. ხალხმა შეიყვარა იგი და დღეს ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილ ხალხურ ქმნილებათა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

ლექსი „ორი მზე“ არაერთხელ დასტამბულა. კომპოზიტორმა არჩილ ჩიმაკაძემ შექმნა შესანიშნავი საგუნდო სიმღერა „ბალადა ლენინზე“. მასში დეკლამაციის ფორმით შეიტანა ლექსი „ორი მზე“ და საგუნდო ქორალის ფონზე კორიფე-მთქმელს დაავალა მისი წაკითხვა. ლექსი და სიმღერა დიდებულად შეერწყა ურთიერთს. იგი ღრმა ფსიქოლოგიურ და ემოციურ ზეგავლენას ახდენს მსმენელ-ზე. ახლახან არჩილ ჩიმაკაძის „ბალადა ლენინზე“ სატელევიზიო კონცერტის პროგრამაში ჩავრთეთ. გადაცემის მეორე დღეს რედაქციაში მოვიდა მაღალი, წარმოსადეგი ხანში შესული მამაკაცი. იგი აღმოჩნდა კავშირგაბმულობის სამინისტროს აპარატის ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი—პენსიონერი პეტრე ჯიბლაძე. მან მოქრძალებით გადმოგვცა ნაბეჭდი ფურცლები, წერილები, გაზეთებიდან ამოჭრილი მასალები. პატივცემულმა პეტრემ წაგვაკითხა პატარა მოგონება მამამისის — მიხეილ ჯიბლაძის ცხოვრების ერთ-ერთი ეპიზოდიდან: „მამაჩემი მიხეილ დავი-


თის ძე ჯიბლაძე ცნობილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე და მოლექსე იყო. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ გამოსვლებში, განსაკუთრებით კი ნასაკირალის ბრძოლებში. მისი ინიციატივით მრავალი ბიბლიოთეკა და ქოხ-სამყითხველო გაიხსნა აჭარისა და გურიის სოფლებში. მახსოვს, 1924 წლის 22 იანვარი. მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად ბათუმიც მწუხრით იყო მოსილი. ქვეყანა გლოვობდა დიდი ლენინის დაკარგვას. მამაჩემის სახლში თავი მოეყარათ მოწინავე ადამიანებს, ისინი მწუხარებით გარინდულიყვნენ. ქალაქში ისმოდა ორთქლმავლების, გემების, ქარხნების გულშემზარავი სამზღვოებრივ განვარი. ბათუმში წვიმდა. მამაჩემი ფანჯარას გაპყურებდა, ნაღვლიანად თქვა: „ილიჩს ბუნებაც გლოვობსონ“. შემდეგ კი მაგიდას მიუჯდა და წერას შეუდგა. მან დაწერა ლექსი „ორი მზე“ — შემდეგ კი ხმამაღლა წაუკითხა მეგობრებს“.

ჩვენ განვებ მოვიყენეთ პ. ჯიბლაძის მოგონება, ვინაიდან ხალხური პოეზიის კრებულებში არსად არ არის მოხ-

3ლადიმერ
0ლიას ქე
ლენინის
დაბალების
100 ჭლისთავისადგი
მიძღვნილი
საჭართველოს
მხატვართა
საიუგილეო
გამოფენიდან



ნ. ალექსიძე,
ჯ. იმედაშვილი.
ლენინი ბავშვობაში



ო. გუგელიშვილი.

პირველი მაისი სვანეთში

სენიებული ამ ლექსის ავტორი. ეს ლექსი-სიმღერა ხალხ-სა იყიდვა, შეისისხლხოცა, ხალხური გახადა.

ჩეც დაკითხურესდით პ. ჯიბლაის მიერ ჯარმოდგენილი დახაორები ძალაშებით. გადაფურცლეთ ფერგადასული გაუთებიც და დავორუნდით — „ორი შზის“ ავტორი, უართლაც, მიხეილ ჯიბლაძე ყოფილა.

მიხეილ ჯიბლაძის ლექსი „ორი შზე“ 1925 წელს დაიტვდა გაუთ „კომუნისტი“, 1926 წელს კი გაუთში „იუვესტია“. 1928 წელს „ორი მზე“ ბელადზე გამოთქმული ლექსების კრებულში შევიდა, ნიკოლოზ ტიბოჩოვის რეაქციით.

ოოლო დროს კი მან ხალხური ფოლკლორის თვალშარგალითა კრებულში პპოვა ადგილი, შასზე იმდერება სხვა-დასხვა ვარიაციის ხალხური სიმღერები.

მაშაჩემის თითქმის ყველა ლექსი ვიცი ზეპირად. „ორი მზე“ კი გონებაში იმდენად ჩამოატანებული რომ დღეს მუსიკის მოყვარულ პენსიონერს, დატებადა სურვილი სიმღერა შემექმნა მასზე — განაცხადა პ. მ. ჯიბლაძემ.

ბელადის საიუბილე თარიღი აღაფრთვანებს ყველას, დიდსა თუ პატარას, მშრომელს, შემოქმედს. პეტრე ჯიბლაძემაც, როგორც შეეძლო, ისე გამოხატა თავისი გულის-თქმა. მუსიკალური ანბანის უცოდინარმა, სხვისი დახმარებით შეძლო სიმღერის ჩაწერა ნოტებზე და მოკრძალებით წარადგინა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში. სიმღერის მოსმენის შემდეგ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა ალექსი მაჭავარიანმა პატარა ბარათით მიმართა ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორ მიხეილ ჩირინაშვილს:

„გთხოვთ, მოუსმინოთ პატივცემულ პეტრე მიხეილის ძე ჯიბლაძეს, რომელმაც ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ მამამისის ლექსზე შეთხა მელოდია უბრალო თანხლებით. მე მიმაჩნია, რომ ამ სიმღერას შეიძლება გაუკეთდეს რედაქცია და გამოიცეს დანარჩენ სიმღერებთან ერთად, რომელიც გამოიცემა ამ დიდ თარიღთან დაკავშირებით.“

გაიგლის წლები... მიხეილ ჯიბლაძის პოპულარული ლექსი „ორი მზე“ კი დარჩება ხალხში, როგორც დიდი ბელადის სახალხო გლოგის მოწამე. მას მომავალშიც იმღერებენ სახალხო მთქმელები, გამოიყენებენ კომპოზიტორები, წაიკითხავენ სახელმოხვეჭილი მსახიობები... აი, ეს ლექსიც:

„მზეო, ნუ სტირი, ილიჩ
შეგვიმოსევი სხივებით.
შენი შეგობრის ცხედარი
მოფინე მარგალიტებით.

ცრემლები დალვრილიც კრარა,
ვერ იტევს ოკეანები,
შენ მანც შემოგვცინევი,
ტირილით ნუ გვებანები.

ვით გადრო, მაგრამ თქვენს შუა
დიდია განსხვავებათ.
შენ მარტო დლისით გვინათებ,
ის კი დამითაც მზე არის.

კარგია შენი სხივები,
მაგრამ ის გულსა ვერ სწვდება,
გარედან სახეს გვიბრწყინებს
და იხვე უკან ბრუნდება.

ლენინის სხივი კი გულის
და სულის სიღრმეს სწვდებიან,
მოყვარეს განსაკურნავად,
მტკრს ლახვარივით ხვდებიან.

ლენინის მოვლინებამდე
მარტო შენ გვჟავდი ნუგეში,
კველასგან მოძულებული
ვთბებოდით შენსა უბეში.

მაგრამ თბებოდა სხეული,
სული კი იყინებოდა,
ვინ ჩამოთვალოს, რამდენი
მუშა უმწეოდ კვდებოდა.

ირგვლივ წყვდიადის გაქრობა,
მზევ, ორვეს ერთგვარ გჩვევიათ,
თქვენგან გაბრწყინდენ უკველნი,
გარშემო ვინც გახვევიათ.

როცა, მზევ, სახეს გვარიდებ,
— მზე ჩავიდაო — გოდებენ,
დღეს კი ლენინის შესახებ,
ვითომ მოკვდაო, ამბობენ.

ვერ დავიჭრებ, თქვენ ორში
ლენინი უწინ მოკვდესა, —
ის კაცი, ვინც მსოფლიოში
თავისუფლება დათესა.

გააქრო ძალმომრეობა,
მტარვალთა გული აკვესა,
პირველად თანასწორობა
ამ ქვეყნად ვინც დაწესა.

ორივე მზე ხართ ბრწყინვალე,
სიცოცხლის ამჟვავებელი,
არ არის ქვეყნად ძალია
თქვენთა სხივთ ჩამაქრობელი.

ორთავე მზე ხართ ცხოველი,
მსოფლიოს მანათობელი,
ვერ დაგაშორებ ერთმანეთს,
არც ერთის სიკვდილს არ ველი“.

ვ. ი. ლენინის გულთბილი, მამობრივი ზრუნვა ადამიანებზე, მისი იდეების ცხვევლყოფელი ძალა, საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ბრძოლა ხალხთა კეთილდღეობისათვის ქართველი მელექსის, მთქმელის, მესტვირის შთაგონების წყარო გახდა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ხალხური პოეტური თუ სასიმღერო შემოქმედება ვითარდება და იქმნება ცხოვრებისეულ მოვლენებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში. ერთიან, სოციალისტურ მხატვრულ შემოქმედებაში უდიდესი ადგილი ეთმობა ხალხური ტალანტების შემოქმედებას. 1921 წელს ვ. ი. ლენინი ამბობდა: „შეიძლება რამდენიმე თვეში გაიმარჯვოთ ომში. კულტურის დარგში გამარჯვება ასეთ

ვადაში შეუძლებელია“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 13).

ბელადი დიდად აფასებდა ხელოვნების მუშაკთა (მათ შორის სახალხო მთქმელ-მომღერლების) შემოქმედებას, რაც შეუნელებლად ზრდიდა მათ პასუხისმგებლობას სოციალისტური ხელოვნების წინსვლისა და აღორძინების საქმეში.

ქართული საბჭოთა მუსიკალური თუ პოეტური ფოლკლორის მრავალრიცხოვანი არმიის საუკეთესო წარმომადგენლები იმთავითვე გახდნენ ბელადის ღვაწლისა და ამაგის დამფასებლები. ისინი უმღეროდნენ და დღესაც უმღერიან კაცობრიობის მხსნელის უკვდავებას. ასე იქმნება ქართული ხალხური პოეტური და მუსიკალური ლენინიანა. განსაკუთრებით აღსანიშნავია „თქმულება ლენინზე“ — ფანდურის თანხლებით. ეს არის ბალადა გმირზე, რომელმაც დაამხხო ძველი დროება:

„ბელადის პირს ჩამოჭდებოდა
შვილი, ჰყითხავდა დედასა:
მთიდან რომ ზევი მოქანავს,
არა გლეჭავსა დეკასა?
ან ცივ მთაჭედა დამრჩალსა,
არ სცივა იმა ბეჩავსა“ და ა. შ.

ამ ლექსს ფანდურზე შთაგონებით ამღერებენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. პაპალაშვილი, მ. სამჭერაშვილი, ი. ზაქაიძე და სხვ. იგი მელოდიისა და ლექსის შერწყმის საუკეთესო ნიმუშია. მასში ბელადის თანამედროვე ახალგაზრდა თაობას მოუთხრობს წარსულის მიმდე და დუხტირ ცხოვრებაზე, რომელიც დაამსხვრია დიდმა ლენინმა და ახალი, ბედნიერი ცხოვრება დამკვიდრა.

ვ. ი. ლენინზე შექმნილ ქართულ ხალხურ სიმღერებს შორის პოპულარულია სიმღერა „ლენინ, ოქტომბრის ბელადო“. იგი 1930-ან წლებში შეიქმნა. მას შემდეგ ეს ლექსი-სიმღერა უღერს რადიოსა თუ ტელევიზიაში, ხალხური შემოქმედების ოლიმპიადებსა თუ თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტებზე. მუსიკალურ ფოლკლორში არსებობს ამ სიმღერის როგორც სოლო, ისე საგუნდო ვარიანტები:

„ლენინ, ოქტომბრის ბელადო,
შენ არა ხარ ჩვენთვის მკვდარი,
მთელს მსოფლიოს გააღვიძებს
შენგან შემოკრული ზარი.

მართალია, მოკვდი, ლენინ,
უდროოდ დახუჭე თვალი,
მაგრამ შენი საქმეებით
ხარობს ჩვენი მომავალი.

შენ იყავი მხნე, გულადი,
დაკვირვებით მუშის მცველი,
მჩაგვარელების კლანებიდან
ტანჯულ ხალხის გამომხსნელი.

შენით ხარობს ჩვენი ხალხი,
წინ მიუძლვის შენი მცნება,
კომუნიზმი ჩვენ გვიღიმის,
მტრები წელში იკეცება,

კომუნიზმის გამარჯვება
ასალყლევებს მუშის გულსა,
გაუმარჯოს წითელ დროშას,
ლენინიზმით მოქარგულსა“.

„ლენინ, ოქტომბრის ბელადო“, როგორც ფანდურზე სათქმელი სიმღერა, გავრცელებულია ქართლ-კახეთის რაიონებში. მისი ვარიანტული სახესხვაობა არაერთხელ მოგვისმენია განთქმული რაჭველი მესტვირეებისაგან. ამ სიმღერას გუდასტვირზე დღესაც მღერიან. ბელადის საიტილეო დღებში იგი არაერთხელ აედერდა თბილისში, საოპერო თეატრის სცენაზე, ინელი შალგა ჯაფარიძისა და თბილისელი იოსებ ზურაბაშვილის მიერ. აღნიშნული ლექსის მიხედვით მეტად საინტერსო, მრავალმხრივი საგუნდო სიმღერებია შექმნილი გურიის, სამეგრელოს, იმერეთის რაიონებში. მათ შორის მაღალმხატვრულ ნიმუშად ითვლება ხალხური სიმღერის გამოჩენილი მოქმედის, ლოტბარის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის არტემ ერქომაიშვილის საგუნდო სიმღერა. მან არც ამ სიმღერაში უღალატა გურული სიმღერისათვის დამახასიათებელ თვითმყოფადობას. აქ ყველა ხმა პოლიფონიური განვითარების კანონს ემორჩილება. ძალზე მოძრავია მესამე ხმა — ბანი.

როცა ამ სიმღერის სხვადასხვა ვარიანტს ისმენ, რწმუნდები, რომ მუსიკალური ფოლკლორი, ხალხური სიმღერა კვლავაც იქმნება, ვითარდება, იხვეწება და შთამომავლობას სრულყოფილი ფორმით გადაეცემა.

სიმღერა ლენინზე დაუშრეტელი, ამოუწერავი წყარო ქართულ საბჭოთა სასიმღერო ფოლკლორში. მრავალი საინტერესო ლექსი-სიმღერა შეიძლება დავასახელოთ, რომელთაც ჩვენი სულიერი ცხოვრების ყოველდღიურ ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობათ. ბუნებრივია, ბევრი მათგანი დიდი ბელადის გარდაცალების შემდეგა დაწერილი და იმ მწეხარე დღების გამოძახილია. მიუხედავად ამისა, ქართულ ხალხურ ლექს-სიმღერებში ბელადის სახე ამაღლებულ ნათელ ფერებშია მოცემული. ასეთია „რუსეთით მაცნე მოვიდა“, „ლენინის სიკვდილზე“, „სიმღერა ლენინზე“, „ცას მოსწყდა ერთი ვარსკვლავი“ და სხვ. სამწუხაროდ, ხალხური მუსიკის ლენინიანა ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი, ჩაწერილი და აკინძული. მრავალი მათგანი ახლებურად აუღერდება ბელადის დაბადების საიტილეო დღეებში. ჩვენი ვალია, შევისწავლოთ ისინი.

სიმღერა ლენინზე საუკუნეებში გაჰყება კაცობრიობას, როგორც პიმინი-გალობა იმ დიდი ადამიანის მიმართ, რომლის გენიამ დედამიწაზე თანასწორობა, თავისუფლება, ხალხთა სიყვარული და მეგობრობა დაამყარა. სიმღერა ლენინზე კიდევ უფრო ომახანად აუღერდება, როცა კაცობრიობას კომუნიზმის მზე გადააფრევებს თავის მაცოცხლებელ სხივებს. მსოფლიოს მუსიკალურ ლენინიანაში ახმიანდება ქართველი კაცის გულიდან ამოხეთქილი ძარღიანი სიტყვები:

„...წუთი—წუთს, დღე—დამეს მიჳყვება რიტმულად,
იგი არ იცვლება დრო-უამის ტრიალში,
და შენი სახელიც მარადი, უკვდავი,
გაჰყება უამთა სვლას მზეში თუ გრიგალში...“

3ლალიშერ

0ლიას ძე

ლენინის

დაგადების

100 ჭლისთავისადგი

მიძღვნილი

საქართველოს

მხატვართა

საიუგილეო

გამოფენილან



დ. ნოდია.

სერიიდან „საქართველოში“



ა. გომართელი.

ქართული ვაზი

ე. ნარიმანაშვილი.
მშენებელი ქალი



ზ. თელია.
სერიდან „საქართველოს ინდუსტრიული ქალაქები“.

კომპიტორის კომპიტორის

საიუბილეო

ნაწარმოებები

საბჭოთა კავშირის მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილების მუშაობა განსაკუთრებით ნაყოფიერი და ინტენსიური გახდა ვ. ი. ლენინის საიუბილეო წელს. გამოიცა ქართველი კომპოზიტორების ახალი პატერული, საგუნდო, სიმფონიური ნაწარმოებები, რომელნიც მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. ჩვენი რეპუბლიკის სანოტო მაღაზიებსა და ჯიხურებში უკვე გამოსულია ამ თარიღით შთაგონებული მუსიკალური ლიტერატურა.

გამოჩენილმა ქართველმა კომპოზიტორმა რევაზ ლალიძემ დაწერა „კანტატა ლენინს“ ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპიანოს თანხლებით. ტექსტის ავტორია პოეტი ირაკლი აბაშიძე, მუსიკალური რედაქტორი — კო-

მპოზიტორი ნიკოლოზ გუდიაშვილი. კომპოზიტორმა ოთარ გორდელმა დიდ ბელადს მიუძღვნა საგუნდო სიმღერა „ლენინ, დიადო“. ეს ნაწარმოები განკუთვნილია შერეული გუნდისა და ბარიტონისათვის ფორტეპიანოს თანხლებით. ეს სიმღერა შეიქმნა პოეტ ალიო მირცხულავას ლექსის მიხედვით.

გამოჯვეუნდა რ. გაბიჩვაძის სიმღერა „ლენინს და პარტიას ვფიცავთ!“.

„სამშობლო იყოს ჩვენი დიდება!“ ასე უწოდა კომპოზიტორმა ტარიელ ბაქრაძემ ახალ ნაწარმოებს შერეული გუნდისათვის (აკაპელა). ავტორმა ეს ნაწარმოები პროლეტარიატის დიდ ბელადს მიუძღვნა. ტექსტი ეკუთვნის ირაკლი აბაშიძეს.

გამოიცა კომპოზიტორ ანატოლი ბასკავოვის სიმღერა „ლენინი მუ-

ლამ ჩვენთანაა“. ამ სიმღერის ტექსტი თვით კომპოზიტორს დაუწერია.

კარგა ხანია ქართველი შემსრულებლების საკონცერტო რეპერტუარში შესულია გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის კონცერტი ფორტეპიანოსათვის ორკესტრის თანხლებით. საიუბილეოდ გამოიცა ამ კონცერტის პარტიტურა.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა, დიდი წარმატებით შესრულდა კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის სამი სავიოლინო პიესა. ახლახან გამოცემულ ნოტებს შორის შეხვდებით ამ ძალზე საინტერესო ნაწარმოებებსაც.

3. ი. ლენინ

ქართულ

ფილმები

კარლო გოგოძე

„ქართულ და საზოგადოდ ადგილობრივ ინტელი-
გენციას ჩვენ ვექვევით სრული ნდობით, ჩვენ ვეცდებით
ჩავაყენოთ ინტელიგენცია შრომისათვის საკეთილო
პირო-
ბებში და მივცეთ სრული თავისუფლება გააფართოონ საკუ-
თარი ნაციონალური კულტურა მშობლიური ენის ნიადაგ-
ზე“, — წერდნენ მამია ორახელაშვილი და შალვა ელიაგა
ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიდ ბელადს
ვლადიმერ ილიას ძე ლენინს მოსკოვში მისი წერილის საპა-
სუხოდ კაგვასიის კომუნისტებისადმი, კერძოდ, ქართველი
ინტელიგენციის შესახებ 1921 წლის დამდეგს.

ქართულმა ინტელიგენციამ, კულტურის მოღვაწეებმა უკ-
ვე რევოლუციის პირველ დღეებშივე იგრძნეს ქს მშობლი-
ური ზრუნვა. მათთვის გამოიყო უდიდესი თანხა, შეიქმნა
სახეციალური კომიტეტები კულტურის ფრონტზე ჩამკვდარი
მუშაობის გამოსაცოცხლებლად, მწერლობისა და ხელოვ-
ნების ასაყვავებლად. ქართული კულტურის ვეტერანებს და-
ქნიშნათ პერსონალური პენსიები. მწერლებს გადაეცათ ყო-
ფილი ხოშტარიას სახლი სერგიევის ქუჩაზე (დღევანდველი
მწერალთა სასახლე) და ა. შ. ქართული კულტურის მო-
წინავე ნაწილი მაშინვე დადგა ახალი ყოფის მშენებლობის
სადარაჯოზე, გადაიქცა მის უშუალო და აქტიურ მონაწი-
ლედ. ქართული ინტელიგენციის პროგრესული ნაწილის და-

მოკიდებულება ახალი ცხოვრებისადმი ნათლად გამოიკვეთა
ქართველი მწერლებისა და ხელოვნების მუშავთა 1921
წლის 3 მარტის გაერთიანებული კრების დადგუნილებაში,
რომელიც მთავრდებოდა სიტყვებით: „გაუმარჯოს ახალ
ცხოვრებას, წინ! პროლეტარული ხელოვნების ამომავალი
ვარსკვლავებისაკვენ“.

ამავე თვეში, სახელდობრ, 16 მარტს გაზეთ „კომუნის-
ტში“ გამოქვეყნდა ცნობილი თეატრალური მოღვაწის ვახ-
ტანგ გარიკის წერილი „ქართველ ხელოვანთ“: „...და
თქვენ, ქართველნო ხელოვანნო, — წერდა ავტორი, —
ყველას მოგიწოდებთ, ეროვნულ ნიადაგზე იმუშაოთ ეროვ-
ნული კულტურის ასაყვავებლად. შემოიკრიბოთ მშობლი-
ური კერის გარშემო და დაანთოთ თქვენს სამშობლოში
ღვთიური ცეცხლი. დე! ამ ცეცხლში ჩაიწვას ქართველი
ხალხის დიდი ტანჯვა. საქართველო აღდგება ახალი ცხოვ-
რებისათვის.

მაშ გაგიმარჯოთ თქვენ! გაუმარჯოს ახალ საქართვე-
ლოს!“

ეს სიტყვები ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწი-
ლის განწყობილებას გამოხატავდა.

კიდევ უფრო მჭექარედ უღერდა ქართული თეატრალური
ხელოვნების დიდი რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის
სიტყვები: „სანამ გვიან არ არის, დაგდგეთ იმათ გვერდით,
უნც ახალ ცხოვრებას აშენებსონ“.

„ახალ ცხოვრებას ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ პოეტები საქართველოსი“. —

გუგუნებდა დიდი გალატიონი.

არც კინემატოგრაფიის მუშავები ისხდნენ უქმად.

ქართული კულტურის მოღვაწეთა იმ გაერთიანებულ კრე-
ბას, რომელიც 3 მარტს ჩატარდა, კინემატოგრაფიის რევო-
ლუციამდელი მუშავებიც ესწრებოდნენ. მათ შორის იყვნენ
შალვა დადიანი, ალექსანდრე წუწუნავა, ალექსანდრე დიდ-
მელი, ვლადიმერ ბარსკი, იმ პერიოდში საქართველოში
მყოფი ივანე პერესტიანი და სხვები, რომლებიც შემდგომში
ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის პირველ მშენებლებად
იქცნენ.

1921 წლის მარტში განათლების კომისარიატთან შეიქ-
მნა კინოსექცია. თვის დამლევს გამოიცა სპეციალური დეკ-
რეტი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კინო-ფოტო წარ-
მოებისა და კინოთეატრების ნაციონალიზაციის შესახებ,
რომელსაც საფუძლად დაედო ვლადიმერ ილიას ძე ლენი-
ნის მიერ 1919 წლის 27 აგვისტოს ხელმოწერილი დეკ-
რეტი რუსეთის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლი-
კის მთელ ტერიტორიაზე კინო-ფოტო და მასთან დაკავ-
შირებული საწარმოების ნაციონალიზაციის შესახებ.

დაიწყო ქართული ეროვნული ხელოვნების აყვავების პე-
რიოდი.

„საბჭოთა კინემატოგრაფია ქრონიკით უნდა დაიწყოს“ —
ამბობდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. ქრონიკითვე დაი-
წყო ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიაც.

დღემდე უკვე გადაღებულია მრავალი ათასი მეტრი ფირი. შექმნილია ჩერნი ცხოვრების უნიკალური, კინემატოგრაფიული მატიანე, რომლის ფასიც წელთა სვლაში სულ უფრო მატულობს.

ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის მატიანეში, მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ლენინისადმი მიძღვნილ დოკუმენტურ კინომასალას.

ცნობილია, რომ ვლადიმერ ილიას ქე ლენინს არაერთხელ გამოუთქვამს სურვილი საქართველოში ჩამოსვლის შესახებ. მას უნდოდა ენახა ქვეყანა, რომლის ისტორიას, კულტურას, ხალხს ძალიან კარგად იცნობდა, რომლის საუკეთესო შეილებიც მისი ერთგული თანამებრძოლნი და ახლო მეგობრები იყვნენ, მაგრამ უდიდესი სახელმწიფოებრივი საქმეები საშუალებას არ აძლევდნენ დიდ ბელადს ეს სურვილი განეხორციელებინა. ამიტომ ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკები მოკლებულნი იყვნენ ბედნიერ შემთხვევას შექმნათ ფილმი უშუალოდ ლენინის მონაწილეობით. მიუხედავად ამისა, ქართველმა კინემატოგრაფისტებმა ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას არაერთი დოკუმენტური და მხატვრული ფილმი მიუძღვნეს.

ქართული კინემატოგრაფიის ოსტატთა შორის კი, ამ მხრივ, განსაკუთრებულ აქტივობას დოკუმენტური კინოს

მუშაკები იჩენენ. თუ მათ დიდსა და ნაყოფიერ მუშაობას თვალს გადავავლებთ, შევნიშნავთ, რომ ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა ლენინისადმი მიძღვნილი არც ერთი ღონისძიება, რომელიც მათ სათანადო შემოქმედებითი მიღვომით, განსაკუთრებული სიყვარულითა და გრძნობით არ გადაღოთ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კინო-ფოტო-ფონო არქივში ინახება მრავალი ასეული კინოსიუჟეტი, სპეციალური გამოშვება, კინონარკევე, რომლებიც ღრმა პოლიტიკური გააზრებითა და მხატვრულობით ასახავენ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს ჩატარებულ, დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ მოქლენებს.

ლენინის დაბადების საზეიმო თარიღები, მისი გარდაცვალების დღესთან დაკავშირებული სამგლოვიარო სალამები, რომლებიც თბილისის სახელმწიფო საოპერო აკადემიურ თეატრსა და რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ოდესმე ჩატარებულა, აგრეთვე რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში აღუნიშნავთ, ასახულია ჩვენი კინოდოკუმენტალისტების მიერ.

ბათუმში, სოხუმში, მახარაძეში, წულუკიძეში, თელავში, გურჯაანში, ცხინვალში, ავჭალასა და საქართველოს სხვა

ვლადიმერ

ილიას ქე

ლენინის

დაბადების

100 ფლისთავისადმი


მიძღვნილი

საქართველოს

მხატვართა

საიუბილეო

გამოვენიდან



დ. თავაძე.
ესკიზები პიესისათვის
„ლენინი და საქართველო“

ქალაქებში ლენინის ძეგლების დადგმასთან დაკავშირებული საზეიმო ცერემონიალი უკლებლივ არის გადაღებული ჩვენი კინოპერატორების მიერ. ამ ფილმებში მთელი სისახსით ჩანს დიდი ლენინისადმი ხალხის განუსაზღვრელი სიყვარული, ლენინიზმის იდეების განხორციელებისთვის მზადყოფნისა და ერთიანი დარაზმულობის გამომხატველი სურათები.

ამ უნიკალურ ფილმებზე მუშაობდა ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის თითქმის ყველა თვალსაჩინო მუშაკი, კინორეჟისორები: გ. ასათიანი, შ. ჩაგუნავა, შ. ხომერიკი, ო. ჭიაურელი, ვ. ვალიშვილი, რ. ჭიაურელი, ვ. ალავიძე, ა. აჯიბეგიშვილი, ო. დეგანოსიძე, ნ. ნაგორნი, ლ. არზუმანოვი, ა. სემიონოვი, გ. ქორელი, ბ. კრეპსი, შ. შიოშვილი, ვ. შანიძე, ზ. მაჩაიძე, ო. მაგაკიანი, თ. მეგრელიშვილი, ვ. კურიანი, ა. პოლოსოვი, ი. ბარამიძე და სხვები. მათ ოპერატურას, შემოქმედებით ოსტატობას, პროფესიულ ინტუიციასა და სწორ პოლიტიკურ თვალთახედებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენი მომავალი თაობა არაერთხელ დატკბება ამ ხელოვანთა მიერ სხვადასხვა დროს გადაღებული, დიდი ლენინისადმი მიძღვნილი ქართული დოკუმენტური ფილმების ცეკვით.

პირველ ფილმებს შორის ძალუე მნიშვნელოვანია ლენინის პირველი ძეგლის გახსნა თბილისში 1921 წელს, რომელიც თავისი ხასიათით, მნიშვნელობით, გადაღების თავისებურებითა და მსალისადმი მიღობით ქართული კინოს ღირსშესანიშნავ ძეგლად უნდა ჩაითვალოს. ფილმში ნაჩვენებია ხალხმრავალი მიტინგი, ძეგლის საზეიმო გახსნა. გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერისა და სახელმწიფო მოღვაწის, ლენინის ერთგული თანამებრძოლის ფილიპე მახარაძის გამოსვლა, რომელიც დიდი ბელადის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას ეხება. აგრეთვე სხვადასხვა ცერემონიალი, რომელიც დაკავშირებული იყო ამ მნიშვნელოვან მომენტთან.

ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილ დოკუმენტურ ფილმებში განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ კინონარკვევები: „ლენინის დაკრძალვის დღეები თბილისში, 1924 წელს“, „ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წელი“, „ლენინის წერილები“, „ლენინი ქართულ სახით ხელოვნებაში“, „გმირული წარსულის ფურცლებიდან“, „ამხანაგი ნოე“ და „ილიჩის მეგობარი მიხა“. მათ შორის პირველი ოთხი უშუალოდ ვ. ი. ლენინისადმია მიძღვნილი, სამი უკანასკნელი კი უშულოდ მას არ ეხება, მაგრამ თავისი თემატიკითა და შინაარსის თავისებურებით გვისურათებს იმ დიდ ისტორიულ



მნიშვნელობას, რომელიც ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ბრძნულ მოძღვრებასა და პრაქტიკულ ხელმძღვანელობას ჰქონდა საქართველოში რევოლუციური მოძრაობისა და ქართველ რევოლუციონერთა მებრძოლი სულის ფორმირებაში. ამრიგად, ისინიც, ისე როგორც პირველნი, ლენინის სახეს გვიხატავენ, მისდამი მიძღვნილ კინონაწარმოებებად წარმოგვიდებიან.

1924 წლის 27 იანვარი საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს პროგრესულ ადამიანთა გლოვის დღე იყო. ლენინის დაკრძალვის მომენტში მსოფლიო ხუთით გაირინდა, შეჩერდა, თავდასრილი გაშოვთხოვა კაცობრიობის მზიური მომავლისათვის მებრძოლ დიდ ბელადს. ასე მოხდა საქართველოშიც, კერძოდ, თბილისში. ფილმი „ლენინის დაკრძალვის დღეები თბილისში“ მთელი სისავსით გადმოგვცემდა ძაძით მოსილი დედაქალაქის გლოვის ამ-სახველ სურათებს.

აი, ქარხნის საყვირებმა ქალაქის შშრომელებს ამცნეს მუშაობის შეწყვეტა. იკეტება მაღაზიები, წარმოება-დაწესებულებები, ფაბრიკა-ქარხნები.

ხალხი ნელ-ნელა მიდის ქუჩებში ძაძით მოსილი სახლებისა და სვეტების გასწერივ. სვეტებს შორის გაბმულია პლაკატები — ლენინის აზრების გამომხატველი წარწერები.

სასახლე, მისი რუხი კედლები, შემოსილია შავ-წითელი ფარჩით. თავისუფლების მოედნის ცენტრში აღმართულია დიდი თაღი, რომელიც, აგრეთვე მორთულია წითელი და შავი ფერის ქსოვილებით.

თაღის ზევით ბელადის დიდი სურათია ხუთქიმიანი ვარსკვლავით. მდუმარე ხალხი ნელი მოძრაობით ათვალიერებს ვ. ი. ლენინის სურათებსა და ქანდაკებებს, რომლებიც გამოფენილია ყველა მაღაზიის ვიტრინაში.


ნელა მიმავალი, ხალხმრავალი დემონსტრაცია... წინ ლენინის დიდი პორტრეტი... მუშების, გლეხების, ინტელიგენციის სევდიანი სახეები...

დემონსტრანტებით გაჭედილი რუსთაველის, პლეხანოვის პროსპექტები... ვერის დაღმართი და მეტების ხიდის მიდამო... ყოველი მხრიდან მოედინება ხალხი ლენინის დიდი პორტრეტებით... ისინი ნელი მოძრაობით ჩაუვლიან მოედანს.

საპატიო ყარაულში დგანან ვ. ი. ლენინის ერთგული თანამებრძოლნი მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე და სხვანა.

ოთხი საათია. ქვემეხები სალუტს აძლევენ.

წყდება მოძრაობა. ზღვა ხალხი ქუდმოხდილი, გაშეშებული დგება.



დ. თავაძე.
ესკიზები პიესისათვის
„ლენინი და საქართველო“

ასეთი იყო შეგლოვიარე თბილისი. იგი მშინდელმა პრე-სამ აღწერა და ასევე შემორჩა მეხსიერებას. ყოველივე ეს ზუსტად იქნა გადაღებული სახითმრეწვის კინოპერატორების მიერ. ესენი იყვნენ: ალექსანდრე დიღმელი (დიღმელოვი), სერგეი ზაბოზლავევი, ვლადიმერ კერძესელიძე, ან-ტონ პოლიგევიჩი, ახალგაზრდა ოპერატორი მიხეილ კალატოზიშვილი (კალატოზოვი), ფერდინანდ ენგელსი და სხვები.

ამ დღეს სამგლოვიარო პროცესის არც ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი მომენტი არ დარჩენილა გადაუღებელი. გადამღები აპარატის წინ გაიარა 200.000-ზე მეტმა ადამიანმა, სამგლოვიარო პროცესის კოლონებმა. ფილმი დამონტაჟების შემდეგ 800 მეტრი გამოვიდა. ეს იმ დროისათვის დიდ მეტრაჟად ითვლებოდა.

გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ წერდა: „ერთი ეგზემპლარი პოზიტივისა გაიგზავნა მოსკოვს, ლენინის დაკრძალვის ამსახველ დიდ ფილმში შესატანად“.

1924 წლის თებერვლის შუა რიცხვებში კინოთეატრ „ას-ფასტოში“ (დღევანდელი „სპარტაკი“) დაიწყო ფილმის დემონსტრაცია და, როგორც დამსწრენი გადმოგცემდნენ, ცელ კეირას გაგრძელდა.

ფილმმა თავისი შინაარსით, გაფორმებით, მასში ჩაქ-

სოვილი შემოქმედებითი სითბოთი მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

„ლენინის დაკრძალვის დღები თბილისში“¹ ქართველ კინემატოგრაფისტთა პირველი დიდი ნაწარმოებია, რომელიც ვლადიმერ ილიას ძე ლენინს მიეძღვნა, რომელმაც მთელი სისაგისით წარმოგვიდგინა ლენინის, როგორც უდიდესი ისტორიული პიროვნებისა და ხალხთა ბელადის განუმეორებელი სახე; დაგვანახა მისდამი მასების განუსაზღვრელი ერთგულება და სიყვარული.

1961 წელს საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული დაქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიამ გამოუშვა სპეციალური კინონარკვევი „ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის“ (სცენარი ა. მუმლაძისა, რეჟისორი ალ. მამულაშვილი, პერატორი ვ. შანიძე). თემასთან დაკავშირებული დიდადი ფაქტიური მასალის მრავალფეროვნების საფუძველზე დამდგმელმა კოლექტივმა შექმნა სრულყოფილი კინოდოკუმენტური ნაწარმოები, რომელიც,

¹ სამწუხაროდ, ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის პირველი პერიოდის ეს შესანიშნავი ძეგლი ჩვენს კინო-ფოტოობრივ არქივს არ მოეპოვება. ამ ფილმის როგორც ნეგატივი, ისე პოზიტივი გაიგზავნა მოსკოვში. საჭიროა კინოარქივებში მისი დაცება და ასლის გადმობეჭდვა.



მოკლემეტრაჟიანი კინონარკვევის სპეციფიკური ფორმის ფარგლებში, გვიხატავს დიდი ბელადის რევოლუციურ ცხოვრებასა და მოღაწეობას; მოგვითხრობს იმ მჭიდრო კაგზირზე, რომლითაც საქართველოში 900-ანი წლებიდან დაწყებული რევოლუციური მოძრაობის მთელი ისტორია დაკავშირებულია ლენინის სახელთან.

ფილმი მოგვითხრობს მესამე დასის მუშაობაზე, რომლის რევოლუციური უმცირესობაც ლენინური იდეების პროპაგანდისტი იყო საქართველოში; გვიამბობს იმ დიდ ყურადღებაზე, ვ. ი. ლენინი საქართველოსადმი რომ იჩენდა, რის გამოც ლენინურ „ისკრაში“ ხშირად იბეჭდებოდა წერილები საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაზე.

აღტაცებას იწვევს სცენები, რომლებიც ასახავს ლენინის მუზეუმში ხალხის შეხვედრას ქართული კულტურის იმ მოღვაწეებთან, რომლებსაც თვითონ უნახავთ ლენინი, შეხვედრიან მას. შეხვედრაზე მოდიან მწერლები: დავით სულიაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, სანდრო ეული-ქურიძე და სხვები.


განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მწერალ დავით სულიაშვილის ძვირფასი მოგონებები — ემიგრაციაში ყოფნისას მისი შეხვედრები ვ. ი. ლენინთან. 1917 წელს შვეი-

ცარიიდან პეტერბურგისაკენ ერთად მგზავრობა, ლენინის სიტყვა ჯავშნოსანიდან და ა. შ.

ცნობილია, თუ როგორ გამოხმაურა ვ. ი. ლენინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტს. ოსტატურად შერწყმული სადიქტორო ტექსტი და რეალური დოკუმენტის ჩვენება, რომელიც კავკასიის ბოლშევიკებისადმი გამოგზავნილ წერილსა და მის შინაარსს გვამცნობს, ნათლად მეტყველებს ლენინის დიდ მზრუნველობასა და მეგობრობაზე ქართველი ხალხის მიმართ.

დასასრულ, ფილმში, როგორც აპოთეოზი, ნაჩვენებია საბჭოთა საქართველოს ის დიდი კულტურულ-კონომიური წარმატებები, ქართველმა ხალხმა, სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად, ლენინის დიადი იდეების და სწავლების რეალიზაციის შედეგად რომ მოიპოვა.

ქართველი დოკუმენტალისტების მიერ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების საიუბილეო დღეებისათვის შექმნილი ფილმი „ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის“, დოკუმენტური მასალის სწორი შერჩევით, ძველი ფილმოთვეები კინკადრების აზრიანი გამოყენებით გვიხატავს რევოლუციის დიდი ბელადის სახეს; წარმოგვიდგენს მას, როგორც დიდ პუმანისტსა და კაცომოყვარე ადამიანს, მოგ-



დ. თავაძე.
ესკიზები პიესისათვის
„ლენინი და საქართველო“

ვითხრობს იმ ტიტანურ შრომაზე, რომელსაც ვ. ი. ლენინი ეწეოდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მოსამაგრადად, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის განსამტკიცებლად.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა, აგრეთვე, ლენინისადმი მიძღვნილი ფერადი, მოკლეშეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ლენინი ქართულ სახვით ხელოვნებაში“ (სცენარი მ. თოფურიასი, რეჟისორი ო. ჭიაურელი, ოპერატორი შ. შიოშვილი). ეს კინონარკვევი მიზნად ისახავს ფართო მაყურებელს აჩვენოს ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრები; აქ პორტრეტულ ნაწარმოებებთან ერთად წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის მოღვაწეობის ამსახველი სხვადასხვა მომენტის, ადგილისა და პერიოდის მრავალი ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნიმუში; გადაღებულია იაკობ ნიკოლაძის, უჩა ჯაფარიძის, ვალერიან თოფურიას, რობერტ სტურუას, კონსტანტინე კიგნაძის, შოთა მიქაუტაძის, რევაზ კეჭეყმაძისა და სხვათა ქმნილებები.


ფილმში სხვადასხვა სტილის ოსტატთა მიერ შექმნილი სხვადასხვა უანრის, ხასიათისა და მოცულობის მხატვრული ნაწარმოები ისე კინემატოგრაფიულად არის განლაგებული, რომ მაყურებელს თვალშინ წარმოუდგება დიდი ბელადის

ერთ მთლიან ძარღველ ფორმაში ჩამოყალიბებული, მიღიონთათვის ღრმად შესაგრძნობი, ნათელი სახე.

კინემატოგრაფიული ნაწარმოების სპეციფიკა ხელს უწყობს დამდგმელს სხვათა ნაწარმოებების საფუძველზე შექმნას ახალი, დამოუკიდებელი იდეური ქლერადობისა და მხატვრული ფორმის ტილო, რომელიც თავისი შთამბეჭდავი თვისებებით, არანაკლები ძალისაა, ვიდრე მის საფუძვლად გამოყენებული სახვითი ხელოვნების ნიმუშები. იდეურ-მხატვრული ხარისხიანობით ფილმმა თავის დროზე კარგი შეფასება მიიღო.

ვ. ი. ლენინის ისტორიული სიტყვა: — „1905 წლის გენერალური რეპეტიცია“ რომ არა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა“. — ეპიკრაფად მიუძღვის რ. ჭიაურელის კინონარკვევს „გმირული წარსულის ფურცლებიდან“ (სცენარის ავტორები: დ. სტურუა, დ. ჭიჭინაძე და რ. ჭიაურელი, ოპერატორი ალ. სემიონოვი), რომელიც საქართველოში 1905 წლის რევოლუციის მღლვარე დღეებს ეხება.

ფილმში გადმოცემულია საქართველოს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლების თავისებურება, მისი დამარცხებებისა და გამარჯვების სხვადასხვა მომენტი, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა კუთხებში. აქვე ნაჩვენებია



ლენინური „ისკრის“ როლი ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის რევოლუციური დარაზმულობის, ორგანიზებულობის, მისი კლასობრივი თვითშეგნების გაღვივებისა და განმტკიცების ისტორიულ საქმეში.

მაყურებელი ხედავს ლენინური წრთობის პროფესიონალ რევოლუციონერებს: მიხა ცხაკაიას, ფილიპე მახარაძეს, ალექსანდრე წულუკიძესა და სხვებს; ისმენს დიქტორის სიტყვებს რევოლუციის მძიმე დღეებში მათი თავდადებული ბრძოლებისა და მუშაობის შესახებ ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად.

ცნობილია ვ. ი. ლენინის აზრი საქართველოში 1905 წლის რევოლუციის ხასიათისა და მნიშვნელობის შესახებ რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლების პერიოდში. ცნობილია, აგრეთვე, საქართველოს პროფესიონალ-რევოლუციონერთა დამსახურების ლენინური შეფასებაც. ფილმი სწორედ ამ ასპექტში წყვეტს მის წინაშე დასმულ მახვილ პოლიტიკურ საკითხებს, იძლევა მის სწორ ანალიზსა და შეფასებას.

ფილმი „გმირული წარსულის ფურცლებიდან“ მაღალი მხატვრულობითა და ემოციურობით გადმოგვცემს ჩვენი რევოლუციური წარსულის ღრმად შთამბეჭდავ სურათებს, ამავე დროს, იგი განსაკუთრებული ელფერით გვაგრძნობინებს ლენინური ხელმძღვანელობის ცხოველმყოფელ ძალას. გვისატავს ბელადის სახეს მთელი მისი სიდიადით.

ასეთი მასშტაბურობით წარმოგვიდგება დიდი ლენინის სახე კინონარკვეში „ნოე ბუაჩიძე“, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი რევოლუციონერის, ურყევი ლენინელის სამუელ (ნოე) გრიგოლის ძე ბუაჩიძის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას (სცენარის ავტორი ი. დუბინსკი, რეჟისორი შ. ჩაგუნავა, ოპერატორი ვ. შანიძე).

ფილმში განსაკუთრებით ხაზგასმულია ის დიდი პოლიტიკური მისადაცვისაც ნოე ბუაჩიძე დიდი ლენინის დავალებით ასრულებდა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პერიოდებში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში.

ლენინის წარგზავნილი, ლენინური წრთობის რევოლუციონერი ნოე ბუაჩიძე 1907 წელს ბალკანეთის თითქმის ყოველ კუთხშია, ებმება იქაური სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობაში, დაკავშირებულია ლენინთან. ნაჩვენებია მისი შეხვედრა ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან 1915 წელს შევიცარიაში. ფილმი გვიამბობს იმის შესახებაც, თუ როგორ შეხვდა იგი ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ ამანაგ ლენინს პეტერბურგში და მის მიერ გაცემული სპეციალური მანდატით როგორ გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში. ნაჩვენებია, აგრეთვე, მისი, როგორც ლენინის წარგზავნილის გამოსვლა მიტინგშე ვლადიკავკავში, თერგის ოლქსა და ა. შ.

ფილმი „ნოე ბუაჩიძე“ გვიჩვენებს გამოჩენილი რევოლუციონერის დიდ ღვწლს მეფის რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში და, ამავე დროს, განსაკუთრებული სითბოთი გვიხატავს დიდი ლენინის, როგორც თავისი თანამებრძოლებისადმი მზრუნველისა და მასწავლებლის საყვარელ სახეს. ეს გარემოება უძრებსად შინაარსიანს ხდის ფილმს.

განსაკუთრებული სითბოთი და მიმზიდველობითაა და-

ხატული ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახე რეჟისორ შ. ჩაგუნავას მეორე ფილმში „ილიჩის მეგობარი მიხა“ (სცენარის ავტორი ი. დუბინსკი, ოპერატორი ო. დეკანოსიძე). ფილმი შექმნილია სკაპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ არტიულ არქივში დაცული ხელნაწერებისა და ფოტოდოკუმენტების საფუძველზე.

ციურისი. სახლი შეიცვლმასის ქუჩაზე № 14. პატარა ოთახი. ლენინისა და კრუსკაიას პორტრეტები. ამ ორი დიდი ადამიანის ცხოვრების დამახასიათებელი დეტალები. ფილმში წარმოდგენილი მხატვრული სადიქტორო ტექსტი გვისურათებს ვ. ი. ლენინის ცხოვრებას შორეულ გმიგრაციაში, მის უძილო ღამეებს, კაცობრიობის დიად მომავალზე ზრუნვას. აქედან გამოდიოდნენ აგრეთვე მისი მგზებარე, ბრძებული აზრებით აღსავე ბარათები, როგორც ცალგულ რევოლუციონერთა, ისე ახლო მეგობრების მიმართ.

არ შეიძლება მღელვარების გარეშე ნახო და წაიკითხო კერანზე დიდი სითბოთი გამსჭვალული სახალხო მისალოცი დეპარტამენტის ლენინისა მიხა ცხაკაიასადმი.

„სუკეთეს სალამი და საახალწლო სურვილები, ძვირფასო მიხა! მოკითხვა ყველა მეგობარს. თქვენი ლენინი“. 1905 წელს მიხა ცხაკაია ლენინის ხვდება ლონდონში. იგი ლენინის წინადადებით ხსნის რსდმპ მესამე ყრილობას. მიხა კონსპირაციის მიზნით ყრილობაზე გამოდის ბარსოვისა და ლეონოვის გვარით.

როგორც ცნობილია, ყრილობა მიესალმა ცარიზმის წინააღმდეგ გლეხთა შეიარაღებული აჯანყების დაწყებას საქართველოსა და კავკასიაში და მიიღო ლენინის მიერ დაწერილი სპეციალური რეზოლუცია, რომელშიც რსდმპ მესამე ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უთვლის კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას. ყოველივე ეს ნათლადაა ასახული ფილმში.

„საჭირო იყო, დიდალი მასალიდან, ყველაზე არსებითისა და მნიშვნელოვანის შერჩევა და მისთვის გარკვეული ფორმის მიცემა. რაც მთავრია, საჭირო იყო დიდი ლენინისა და მისი ურთგული თანამებრძოლის (საუბარია მიხა ცხაკაიაზე, კ. გ.) ახლო მეგობრობისა და თანამშრომლობის ასახვა“ — წერდა რეჟისორი შ. ჩაგუნავა ფილმის დადგმასთან დაკავშირებით. ფილმში შესანიშნავად გადაიჭრა ეს ამოცანა. ლენინისა და მიხა ცხაკაიას თანამშრომლობა და მეგობრობა დიდი შემოქმედებითი ოსტატობითაა ნაჩვენები.

უცუცესი რევოლუციონერის — მიხა ცხაკაიას მთელი ცხოვრება გასხივოსნებული იყო იმ მრავალწლიანი და ურთგულესი მეგობრობით, რომელიც ვლადიმერ ილიას ძე ლენინისა და მის შორის არსებობდა. ლენინმა მიხა ცხაკაიას ერთ პირველთაგანს მიულოცა თებერვლის რევოლუციის დღეები რუსეთში. „...ძეირფასო მიხა! აღსრულდა... გაირღვა... გილოცავ რევოლუციის გამარჯვებას რუსეთში. მაში მიგდივართ? თქვენი ლენინი“. მაყურებელი ერანზე ხედავს უნიკალურ ფოტოს „ლენინი და მიხა ცხაკაია სტოკოლმიდან რუსეთისკენ მიემზურებიან“. ფოტოზე ასახული მომენტი ნათლად გვისურათებს

ლენინისა და მისი თანამებრძოლების სწრაფვას სამშობლოსკებან...

შემდეგ კადრებში ნაჩვენებია: ცხაკაია ლენინთან ერთად კომინტერნის მეორე კონგრესზე, ლენინის გამოსვლა ამ კონგრესზე, ლენინი პრეზიდიუმში და ა. შ.

ფილმში ნაჩვენებია საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მასალები; სესიას ხსნის მიხა ცხაკაია. მან თავისი სიტყვა დიდ მეგობარსა და მასწავლებელს — ლენინს მიუძღვნა.

სტატიური მასალის ოსტატური გამოყენება, დინამიური მონტაჟი, მაღალხარისხოვანი რეპროდუქციები, მათი მხატვრული წყობა და ღრმა აზრობრივი დატვირთვა ფილმს რევოლუციურ-ბიოგრაფიული ხასიათის დოკუმენტური კინემატოგრაფიის საკუთხესო ნიმუშებს შორის აყენებს. იგი მხატვრულად დახვეწილი, მახვილი პოლიტიკური უღერადობის კინონარკვევია, რომელშიც მაყურებელი ხედავს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს თანამებრძოლებთან ერთად; ხედავს მას როგორც პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლების წარმმართველ დიდ ბელადს, ამავე დროს უაღრესად თავმდაბალსა და მშობლიური სიყვარულის გრძნობით აღსავსე ადამიანს.

ფილმი „ილიას მეგობარი მიხა“ საპატიო დიპლომით აღინიშნა ქართული კულტურის დეკადის დღეებში მოსკოვში; იგი მიღებულია საკავშირო ეკრანზე და შეტანილია იმ საკუთხესო ფილმთა სიაში, რომლებიც შეირჩა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის საიუბილეო დღეებში საბჭოთა კავშირის უკანასკნელ სადემონსტრაციოდ.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარის 1968 წლის 30 სექტემბრის ბრძანებაში, იმ ფილმთა შორის, რომლებიც ეძღვნება ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, თემატური ჩერენებისათვის რევოლუციური ქართული ფილმები: „ილიას მეგობარი მიხა“ და „ნოე ბუაჩიძე“. ასეთი შეფასება, უდიდესი სიამაყის გრძნობით ავსებს როგორც ფილმის ავტორებს, ისე ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის თოთოველ მუშაკს.

ჩვენ აღნიშნუთ რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, რომლებიც ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის ოსტატებმა მიუძღვნეს ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. უდავოდ მნიშვნელოვან შემოქმედებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, ქართული სამსახიობო მხატვრული კინემატოგრაფიის მიერ ამ უაღრესად აქტუალური და აღმზრდებობით ხსიათის თემაზე შექმნილი ქართული ფილმები: „ხუთი წეტი“, „დიადი განთიადი“ და „ფიცი“.

მიუხედავად იმისა, რომ სამსახიობო-მხატვრული ფილმების ეს რაოდენობა დიდი არ არის, ისინი მაინც თვალსაჩინო ადგილს იჭერენ საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორიაში და ვლადიმერ ილიას ძე ლენინისადმი მიძღვნილი დიდი კინემატოგრაფიული ტილოების ჯგუფს მიეკუთვნებიან.

ამ მხრივ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა ფილმი „ხუთი წეტი“, რომელიც საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობამ — „სახკინმრეწვა“ 1928 წელს გამოუშვა დიდი

ლენინის გარდაცვალების ხუთი წლისთვის სამორ-რეჟისორები ა. ბალაგინი და გ. ზელენჯევ-შიპოვი, ოპერატორები ნ. ანოშჩენკო და გ. კაბალოვი).

ფილმი მაყურებლის თვალშინ აღადგენდა ვლადიმერილიას ძე ლენინის დაკრძალვის დღეებში მთელი სიძლიერით გამომედავნებულ მსოფლიო პროლეტარიატის ერთიანი დარაზმულობის, სოლიდარობისა და გმირობის გრძნობას; საერთაშორისო მუშათა მოძრაობის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინისადმი უღრმეს სიყვარულს.

…გლოვის ზარს მოუცავს შრომელთა მასები... მწუხარებით გარინდულნი, თავდასრილნი ეთხოვებიან ისინი საყვარელ ბელადს, მათი თავისუფლებისა და ბედნიერი მომავლისათვის თავდადებულ ადამიანს.

მოასფალტებულ შარაგზაზე მსუბუქი მანქანა გაჩერებულა. მძღოლი, ჩინელი ხო-მო-ცინი, მდუმარედ ზის საჭესთან. ამათა მისი პატრონის, მილიარდერ სერ არჩილ-მად ბრუკინგის ვედრება, მუქარა, დაპირება. მილიარდერს კონცესიების საქმეებზე მიეჩეარება. იგი მზადაა ათი ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადოს მძღოლს, ოღონდ დროზე მიიყვანს დანიშნულ ადგილზე, მაგრამ ამაღლ. საყვარელი ბელადისადმი სიყვარული ყოველგვარ ჯილდოს აღემატება.

— სერ! ნუ ფიქრობთ ყველაფერი ფულით იყიდოთ. არის განძი, რომელიც არ იყიდება, — წყარად უპასუებს სიბრაზისაგან გაცოფებულ მილიარდერს მძღოლი.

ფილმის დამდგმელმა ჯგუფმა წარმატებით შეასრულა მიუწინაშე დასმული, ფრიად ძნელი, პოლიტიკური და შემოქმედებითი ამოცანა. ცალკეულ ისტორიულ მოვლენათა და ხალხთა განწყობილების ოსტატური შერწყმით, განსაკუთრებით, ლენინის დაკრძალვის ქრონიკალურ-დოკუმენტური კინოვადრების ნიჭიერი გამოყენებით, აეტორებმა ზესძღვა სრული რელიეფურობით დაესატათ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახე, გადმოცათ მსოფლიო მშრომელთა სიყვარული დიდი ბელადისადმი.

იქ, სადაც მოისხენება ფილმები: „ლენინის მისამართით“, „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“, „სამი სიმღერა ლენინზე“, „ლურჯი რევული“, „ექვსი ივლისი“ და სხვ., არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართული ფილმები, განსაკუთრებით კი „დიადი განთიადი“ და „ფიცი“.

„მე არ ვიცი კინოხელოვნების მეორე ნაწარმოები, რომელიც თავისი არსში ისე აერთიანებდეს დიდი რევოლუციის ყველაზე ფართო იდეებსა და ღრმად ნაციონალურ, ამ შემთხვევაში ქართული ხსიათის შემოქმედებას, როგორც ეს ფილმი, — წერდა კრიტიკოსი ბორის აგაპოვი გაზეთ „იზვებტიას“ ფურცლებზე ფილმ „დიადი განთიადის“ გამოსვლასთან დაგავშირებით და დასძენდა, — ჩემი აზრით, სწორედ ამაშია ამ ფილმის მიზიდველობითი თავისებურების საიდუმლოება“.

„შესანიშნავი, ამაღლებები ხელოვნება“, უკანასკნელი წლების ფილმებში იგი გამოირჩევა თავისი სიახლითა და თავისებურების აუწერებული მშვენიერებით“ — წერდნენ გაზეთები ფილმ „დიადი განთიადის“ შესახებ. იგი (სცენარის ავტორები: მ. ჭიაურელი და გ. ცაგარელი, დამდგმელი რე-

ჟისორი მ. ჭიაურელი, ოპერატორი აღ. დიღმელი, მხატვარი შ. მამალაძე, კომპოზიტორი ი. გოკიელი) უდავოდ ინსახურებდა ამგვარ შეფასებას.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფია პირველად გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზშვი ნაწარმოებით, რომელშიც ნაჩვენები იყო დიდი ოქტომბრის რევოლუციისათვის მზადების მღელვარე დღეები და ვ. ი. ლენინის წარმმართველი, ხელმძღვანელი როლი ამ ისტორიულ ვითარებაში.

ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა მ. ჭიაურელმა მთელი თავის მხატვრული ოსტატობით გამოძერწა ფილმის მთავარი მოქმედი პირის ვ. ი. ლენინის მონუმენტური სახე. ამიტომა, რომ ფილმში ლენინი წარმოდგება არა მარტო როგორც დიდი პოლიტიკური მოღვაწე და ოქტომბრის რევოლუციის უბადლო ორგანიზატორი, არამედ როგორც თავმდაბალი, სრულიად უბრალო და გულთბილი, ჩვეულებრივი ადამიანი. ვ. ი. ლენინის ეს განსაკუთრებული თვისებები დიდი მხატვრული შთაგონებითა გააზრებული რეჟისორის მიერ, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანს, ღრმად შთამბეჭდავსა და მიმზიდველს ხდის ამ იერსახეს.

ამ მხრივ აღსანიშვაია სცენები: ლენინი რაზლივში პარტიის VI ყრილობის მოსამზადებლად, ძირკვეული მიყრდნობილი, ბარათს წერს თავის თანამებრძოლებს; ლენინის ჩამოსვლა პეტროგრადში, მისი შეხვედრა რევოლუციური ჯარისკაცების წარმომადგენლებთან: ქართველ გიორგი ღუდუშაურთან, უკრაინელ პანასიურთან, რუს ერმოვსა და მედდა სვეტლანასთან. განსაკუთრებული მხატვრულობითა და სიოთბოთია გაკეთებული სცენები, სადაც ვ. ი. ლენინი, კონსპირაციული მოსაზრებით, სვეტლანას სახლში მოდის, როგორც გიორგი ღუდუშაურის მკურნალი ქვიმი... მისი საუბარი სვეტლანას დედასთან და, ბოლოს, დიდი ბეჭდის მიერ გამოწერილი „რცეპტი“ — „სვეტლანა ცოლად გაყვეს გიორგი ღუდუშაურს“ — განსაკუთრებული სიოთბოთი წარმოგვიდგნდა ლენინის, როგორც გულმზურვალე, ყველასთვის გულშემატკიფარი ადამიანის სახეს.

ფილმმა შემოიარა მთელი მსოფლიო. ერთ-ერთი უცხოური გაზეთი წერდა: „დიადი განთიადი“ უძლიერეს რევოლუციურ-პოლიტიკურ, ოსტატურად დამუშავებულ და დამაჯერებულ ნაწარმოებს წარმოადგენს. იგი საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა“.

ფილმის ასეთი წარმატება (სხვა კომპონენტებთან ერთად), ფაქტიური მასალის ღრმა ცოდნამ, ნიჭიერი მხატვრის სწორმა პოლიტიკურმა ჭვრეტამ, მასში გამოყვანილი სახეების, პირველ რიგში კი, ვლადიმერ ილიას ქე ლენინის

ბუნებრივმა და მართალმა, უაღრესად მიმზიდველმა და ღრმად რეალისტურმა იერსახემ განაპირობა.

მიხეილ ჭიაურელის ომის შემდგომი პირველი ფილმიც „ფიცი“, არსებითად, დიდი ლენინისადმია მიძღვნილი. მასში ვლადიმერ ილიას ქე ლენინი მხოლოდ ორ ადგილას ჩანს; მაგრამ მთელი ეს გრანატიოზული კინებობება გამიზნულია დაგვიხატოს ლენინის დიადი იდეების გამარჯვება, რაც ლენინიზმის გზით მავალმა საბჭოთა ხალხმა 1924-1945 წლების პერიოდში მოიპოვა; წარმოგვიდგინოს ლენინის უკვდავი იერსახე, საბჭოთა ხალხისა და მსოფლიოს მშრომელთა კლასის საკეთილდღეოდ მიმართული მისი დიადი საქმენი; მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ განხორციელდა ის წმიდა ფიცი, რომელიც პარტიამ და საბჭოთა ხალხმა დიდ ლენინს მისცა.

„მხატვრულ და ამავე დროს ღრმად ფილოსოფიურ, უდიდესი ისტორიული მოვლენებით აღსავსე ფილმში უნდა გაგვესნა საბჭოთა ქვეყნის განვითარების მთელი ეპოქა ვ. ი. ლენინის გარდაცვალების სამწუხარო დღეებიდან პიტლერული გერმანიის განადგურებისადმი მიძღვნილ, გამარჯვებული ხალხის დიდ ზეიმამდე“ — წერდა ფილმის დამდგმელი რეჟისორი მ. ჭიაურელი „ფიცის“ გამოსვლასთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ ფილმი ასრულებს ამ იდეურ-მხატვრულ ამოცანას.

ფილმის მრავალი კადრი — სტეფანე პეტროვი და მისი ქალიშვილი ოლღა კრემლში მიდიან, რათა ლენინის მშრომელთა ბარათი გადასცენ, ფიცის დროს ვ. ი. ლენინის დიდი პორტრეტი, რომელიც თითქმის მთელ წითელ მოედანს ფარავს და თვით ფიცის სცენები სიმბოლური ხასიათის მხატვრული ხერხებით გადმოგვცემს და დიდი შთამბეჭდავი ძალით გვაგრძნობინებს ლენინური მოძღვრების იმ ქმედით ძალას, საბჭოთა ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებამდე რომ მიყავს.

გლადიმერი ილიას ქე ლენინისადმი მიძღვნილ ფილმებს შორის „ფიცი“ ისეგე, როგორც ქართული კინოსურათი „დიადი განთიადი“ ფრიად თვალსაჩინო ადგილს იჭერს საბჭოთა კინემატოგრაფიის საგანძურში.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკები, რომლებმაც დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას ქე ლენინისადმი მიძღვნილი არაერთი ფილმი შექმნეს, მომავალშიაც შექმნიან დიდ მხატვრულ კინემატოგრაფიულ ტილოებს, რომლებშიც ნათელი საღებავით იქნება დახატული ვლადიმერ ილიას ქე ლენინის უკვდავი სახე, ნისი დიადი მოძღვრების განხორციელების საფუძველზე ნიღწეული დიადი, საკაცობრიო გამარჯვებანი.



ბ ე ლ ა ღ ი

ლ ა ი ფ ც ი გ უ ნ

ბასული წლის ნოემბერში გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი სირა ჭიჭინაძე იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, როგორც ქართული კულტურის დღეების მომზადების ჯგუფის მონაწილე. მან ქ. ლაიფციგში დაათვალიერა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მემორიალური მუზეუმები, აგრეთვე სამახსოვრო ადგილები და ჩამოიტანა მათი ამსახველი ფოტოსურათები.

სირა ჭიჭინაძე

როგორც ცნობილია, რუსეთი ვ. ი. ლენინისა და ბოლშევიკების მეშვეობით გადაიქცა მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ცენტრად. ლენინური გაზეთ „ისკრის“ გამოშვება გერმანიაში მტკიცედ არის დაკავშირებული იქაური მუშათა მოძრაობის ისტორიასთან. ვ. ი. ლენინს ლაიფციგში დიდი დახმარება გაუწიეს პირველი რუსული მარქსისტული გაზეთის დაბეჭდვის საქმეში. ლენინის

მოღვაწეობა იმ დროს მიზნად ისახავდა რუსეთის დაქსაქსულ სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეკავშირებას ერთიანი რევოლუციური პარტიის შესაქმნელად. ვ. ი. ლენინის პირველი ნაბიჯი ამ მიზნის განსახორციელებლად იყო 1900 წლის ზაფხულში ემიგრაციაში წასვლა.

ლენინი შვეიცარიიდან გაემგზავრა ბუქარესტში, სადაც მან განაგრძო დაწყებული საქმე, რომელიც დაკა-

გშირებული იყო რუსული შრიფტის მოპოვებასა და გაზეთისათვის შესაცერისი სტამბის გამონახვასთან. ყოველივე ამის გაკეთება ლეგალური გზით შეუძლებელი იყო. ამიტომ ის დაუკავშირდა მიუნხენში კლარა ცეტკინსა და იულიან მარხლევსკის, რომლებიც იმ დროს იქ ცხოვრობდნენ.

დეკემბრის მეორე ნახევარში ვ. ი. ლენინი გაემგზავრა ქ. ლაიფციგში, სადაც საბოლოოდ უნდა გამზადებულიყო გაზეთ „ისკრის“ პირველი ნომერი.

გაზეთის გამოსაშევებად რეკომენდებული იყო გერმანელი სოციალ-დემოკრატი გერმან რაუ, რომელსაც პატარა სტამბა ჰქონდა სოფელ პროფსხაიდში. ეს შენობა მეტად ხელ-საყრელი იყო გაზეთ „ისკრისათვის“. დეკემბრი რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატი გერმან რაუ იყო მუშათა პროფგავშირისა და სპორტული კავშირის ფუნქციონერი. 1893 წლიდან ის ბეჭდევდა გამომცემლობა „არბეიტერ ტურნ-ცეიტუნგ“-ის ორგანოს და ადგილობრივი პროფგავშირული და სპორტული საზოგადოების ბეჭდევრ გამოცემებს.

გაზეთ „ისკრისათვის“ რუსული შრიფტი იშვებს იმ სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც მუშაობდნენ დიდ სტამბებში, სადაც რუსულ ენაზე იბეჭდებოდა რევოლუციური წიგნები. გერმან რაუმ ჯერ კიდევ „ისკრის“ გამოსვლამდე მოახერხა და დაბეჭდა „მაისის დღეები ხარკოვში“. ამ ბროშურას თან ერთვოდა ვ. ი. ლენინის წინასიტყვაობა და „ისკრის“ რედაქტორის განცხადება“.

ვ. ი. ლენინმა თვითონ შეარჩია გაზეთისათვის ასოთამწყობი — პოლონელი სოციალ-დემოკრატი იოსებ ბლუმბენფელდი, რომელიც დახელოვნებული მუშაკი იყო და უაღრესად გამტანი ამხანაგი. ის დიდი გულის-



„ისკრის“ პირველი ნომერი.



გერმან რაუ, გაზეთ „ისკრის“ სტამბის მფლობელი, გერმანელი სოციალ-დემოკრატი, რომელმაც თავს იღვა გაზეთ „ისკრის“ დაბეჭდვა.



გამოშემლობა „ლაიფცაგ-ფოლკცაი-ტუნგის“ ხელმძღვანელი გარე ზაი-ფერტი.



გაზეთ „ისკრის“ ასოთამწყობი, პოლონელი სოციალ-დემოკრატი იოსებ ბლუმენფელდი.

ხშირებით ეკიდებოდა ყოველგარ დავალებას.

„ისკრის“ პირველი ნომერი 1900 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში დაიბეჭდა და 1901 წლის პირველ იანვარს დაიგზავნა ადგილებზე. გაზეთის მომდევნო ნომრების ეპიგრაფი იყო დეკაბრისტების პასუხი ა. პუშ-კინისადმი: „ნაპერშეკლიდან აინთება ალი“.

გარდა გაზეთ „ისკრისა“, ვ. ი. ლე-

ნინმა ლაიფციგში გერმანულ ენაზე გამოსცა ბროშურა „თანამედროვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მდგომარეობა“, რომელიც დაურიგა ხემნიცებში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის დელეგატებს. ეს ბროშურა არის ვ. ი. ლენინის პირველი ნაშრომი გერმანულ ენაზე. დადგენილია, რომ ვ. ი. ლენინი ლაიფციგში იმყოფებოდა შემდეგ წლებში: 1900,

1908, 1912 (ორჯერ), 1913 წლ. და ბოლოს 1914 წელს, როდესაც იგი არალეგალურად ცხოვრობდა თავისი მეგობრის ვასილ ზაგორსკის ბინაზე, ელიზერ-შტრაუს ქუჩაზე, სახლი № 45-ის მეოთხე სართულზე.

ეს იყო ვ. ი. ლენინის უკანასკნელი ყოფნა გერმანიაში.

პირველ მსოფლიო ომამდე ვ. ი. ლენინი ხშირად იყო ხოლმე ქ. ლაიფციგში. იგი არალეგალურად



მიხეილ დავითაშვილი — პროფესიონალი რევოლუციონერი, ვ. ი. ლენინის მეგობარი, რომელიც ლაიფციგის შენობაში მუშაობდა და ხელმძღვანელობდა რუსი ემიგრანტების ჯგუფს.

ვასილ ზაგორსკი, ვ. ი. ლენინის მეგობარი, ლაიფციგის რუსი ემიგრანტების ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, დიდი ოქტომბრის სოციალიტური რევოლუციის შემდეგ იგი მოსკოვის პარტიის კომიტეტის პირველი მდივანი იყო.




პროფესიონალი — ლაიფციგის გარეუბანი, სადაც ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა და რედაქტორობდა გაზეთ „ისკრას“ 1900 წლის 14 დეკემბრიდან 23 დეკემბრამდე.

ცხოვრობდა სხვისი გვარებით იმ რუს მეგობრებთან, რომლებიც ემიგრაციაში იმყოფებოდნენ და გაერთიანებული იყვნენ ლაიფციგის ბოლშევიკთა ჯგუფში. ისინი თავიანთ ბინებში და „რუსეთის აკადემიურ კავშირში“ იკრიბებოდნენ ხოლმე პოლიტიკური კრებებისა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებისა და ჩატარების ჩასატარებლად.

დღემდე დაცულია ლაიფციგში

კაფე-რესტორანების შენობები, სადაც 1908-1914 წლის იკრიბებოდნენ „რუსეთის აკადემიურ კავშირის“ წევრები, მათთან ერთად იმყოფებოდა ვ. ი. ლენინიც. ქ. ლაიფციგში შესანიშნავად არის დაცული ყველა ის შენობა, სადაც ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა: სახლი კრონ პრინც შტრასეს ქ. № 79-ში (ახლანდელი კურტ-ვისნერ შტრასეს ქუჩა), სადაც მოთავსებული იყო მწერალ მაკს ნაზიმოვნის ბინა და

სადაც ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა და აწყობდა დისკუსიებს რუს ამხანაგებთან სხვადასხვა საკითხებზე. კერძოდ, პეტრე მასლოვის მიერ გამოთქმული მცდარი შეხედულებების შესახებ, რომელიც აღნიშნული იყო მის წიგნში „აგრარული საკითხი რუსეთში“, აგრეთვე ვ. ი. ლენინი განიხილავდა მძაფრი კრიტიკით ვ. ა. ბაზაროვის ყალბ თეორიებს.



ამ მანქანაზე იბეჭდებოდა „ისკრა“.



„ისკრის“ სტამბა, რომელიც შემდგომში
მუხეუმად გადაეთდა. მის წინ დგას
სამი შეტრის სიმაღლის მემორიალური
დაფა, მიძღვნილი „ისკრის“ პირველ
ნომრისადმი.




კაფე-რესტორანი ცაიცერ-შტრასეს ქუ-
ჩაზე. აქ 1912 წლის იანვარში იმყოფე-
ბოდა ქონფერენციის საორგანიზაციო
ბიურო.

სახალხო სახლი, აშენებული 1905-1906 წ. წ., სადაც შენევიდან და ბერლინიდან დაბრუნებული ვ. ი. ლენინი 1908 წელს თაბბირობდა ლიფციგის პარტიული ორგანიზაციის სოციალ-დემოკრატებთან 1905-1907 წლების ჩუქეთის რევოლუციის შესახებ.




გამომცემლობა „ლაიფციგ-ფოლკცატეუნგის“ შენობა, საიდანაც 1912 წლის თებერვალში ვ. ი. ლენინი აწვდიდა ინფორმაციებს სახელმწიფო დუმის ბოლშევიკ-დეპუტატებს პრალის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესახებ.



ოთახი, რომელიც მ. ზაიფერტმა მიუჩინა ვ. ი. ლენინს თაბბირების ჩასატარებლად.



გამომცემლობა ლაიფციგ-ფოლკეაიტუნ-
გის ყოფილ შენობა, სადაც ვ. ი. ლენინი
ხდებოდა და ეთათბირებოდა სახელმ-
წიფო დუმის სოციალ-დემოკრატ დეპუ-
ტატები. ამ შენობაში მოთავსებულია
ვ. ი. ლენინის მემორიალური მუზეუმი,
რომელიც საზეიმოდ გაიხსნა 1957 წელს
და ეწოდა გერმანიის დემოკრატიული
რესპუბლიკის ლენინის მუზეუმი.



ვ. ი. ლენინის მემორიალური მუზეუმის
ექსპოზიცია

რესტორანი ლაიფციგში, ზავარიის სა-
დგურთან, სადაც 1914 წლის 4 თებერ-
ვალს ვ. ი. ლენინი გამოვიდა რეფერა-
ტით „ნაციონალური საკითხი“-ს შე-
სახის.






ლაიფციგი. ამ შენობაში არალეგალურად ცხოვრობდა 1914 წელს ვ. ი. ლენინი.



ვ. ი. ლენინის ოთახი ვ. ზაგორსკის ბინაში.



ლენინის სახელობის ქუჩის ხედები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.



ფოტორეპროდუქციები დ. სამხარაძისა.



ს ა ი უ ბ ი ლ ე მ

ქ ა რ თ უ ლ ი

ტ ი გ ნ ე ბ ი

ათას ცხრას სამოცდაათი ვ. ი. ლენინის საიუბილეო წელიწადია და, ბუნებრივია, ქართული წიგნის გამომცემლობისა და პოლიგრაფისტების მთელი ყურადღება მიექცა რევოლუციის გენიალური ბელადისადმი პიძლებილი ლიტერატურის დროულად და მაღალ პოლიგრაფიულ დანეზე გამოცემას.

გამომცემლობებმა — „საბჭოთა საქართველომ“, „მერანმა“ „მეცნიერებამ“, „განათლებამ“, „ნაკადულმა“, „ალაშარამ“, „ირისთონმა“, „ხელოვნებამ“ — უკვე გამოუშევს საიუბილეო წიგნები.

„საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა „ლენინის ბიბლიოთეკა“ — ვლადიმერ ილიას ხე ლენინის რჩეული ნა-

წერები 9 წიგნად. „ბიბლიოთეკა“, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითობაიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში დაბეჭდა, ლამაზად არის გაფორმებული და პოლიგრაფიულად კარგად დაბეჭდილი. იგი მხატვრულად გააფორმა ლადო გრიგოლიამ. გამომცემლობას განზრახული აქვს წელსვე დამთავროს ვ. ი. ლენინის ოხულებათა 45-ტომეულის გამოცემა. დარჩენილი ხუთი ტომიდან ორს საიუბილეო დღეებში მიიღებს მკითხველი, სხვა ტომები კი წლის განმავლობაში გამოვა.



გამომცემლობა „მერანმა“ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნა კრებულები (ქართულ და

რუსულ ენებზე) სათაურით „ქართული ლენინიანა“, რომელშიც შესულია იველი და ახალი თაობის ქართველი პოეტების და მწერლების ნაწარმოებები.

კრებულში — „ქართველი პოეტები ლენინს“ 100 პოეტის ნაწარმოები დაბეჭდა.

პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც შთამაგონებელი ლექსი უძღვნა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, გალაკტიონ ტაბიძე იყო.

ლექსით „გემი „დალანდი“ დაიწყო ქართული პოეტური ლენინიანა: „გახსენებისას მომახოდა მტანგველი ლანდი, ზენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!



შევის ზღვის ზეირთებს მოაპოზდა გემი
„დალანდი“
და თვალზე მადგა განშორების
მსუბუქი ცრემლი“.

ეს იყო 1918 წელი. იმ დღიდან გრძელდება ქართველ პოეტთა სიმღერა დიდ ლენინზე. და ამ სიმღერის ავტორები იყვნენ: ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, გორგი ლეონიძე, ალიო მირცხულავა, სანდრო ეული, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, სიმონ ჩიქოვანი და სხვანი, რომლებიც იმ ქარიშელიან დღეებს შეესწრნენ.

მათ მიყვნენ პოეტები — ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, კარლო კალაძე, ლადო ასათიანი, რეზო მარგიანი, ოთარ ჭელიძე, ხუტა ბერულაგა, ლადო სულაბერიძე და სხვანი.

„დასაბამიდან ამგვარად ხდება:
ადამიანი როდესაც კვდება,
ორი თარიღი დარჩება საფლავს:
ერთი აღნიშნავს მის დაბადებას,
მეორე მისი სიკვდლის ამბავს.
დასაბამიდან ამგვარად ხდება
შენ კი... სიცოცხლის დიად თავდებად
ერთი თარიღი გარგუნა ბედმი,
რადგან სიკვდილი შენს დაბადებას
გვერდით დადგომას ვერ გაუძედავს.“

ასე გახსნა დიდი ლენინის იერსახე პოეტმა ხუტა ბერულავამ.

ძველი თაობის დაწყებული გზა ღირსეულად გააგრძელა ახალმა თაობამ. ისინი, ვისაც არ ენახა ლენინი, ლენინური იდეებით გაიზარდნენ და დავაუკაციდნენ.

თავიანთი საუკეთესო ლექსები უძღვნეს დიდ ლენინს პოეტებმა — ანა კალანდაძემ, ნაზი კილასონიამ, მუხრან მაჭაგარიანმა, შოთა ნიშნიანიძემ, მიხეილ ქვეივიძემ, ზაურ ბოლქვაძემ, ოთარ შალამბერიძემ, ჯანსულ ჩარკვიანმა, მორის ფოცხიშვილმა და მრავალმა სხვამ.

„ლენინ, შენა ხარ ეს გაზაფხული,
ეს აღმაფრენა, ეს ასხვება...
შველა სიამე და სიხარული
შენ მიერაა, შენგან იწყება“.

მორის ფოცხიშვილის ეს ლექსი ყველაზე ახალია ამ კრებულში. მისი თარიღია 1968 წელი.

კრებულში აგრეთვე შესულია ქარ-

თული ხალხური ზეპირსიტყვიერების ბრწყინვალე ნიმუშები:


„ლენინ, ოქტომბრის ბელადო,
შენ არ ხარ ჩვენთვის მკვდარი,
მოელ მსოფლიოს გააღვიძებს
შენგან შემოკრული ზარი.“.

ასე უმღერის ხალხი დიდ ლენინს.
კრებული „ქართველი პოეტები
ლენინს“ უკვე გამოსცა გამომცემ-
ლობა „მერანმა“. სარედაქციო კო-
ლეგიის წევრების: გრიგოლ აბაშიძის,
კარლო კალაძისა და შოთა ნიშნიანი-
ცის დიდი დამსახურებაა ის, რომ
კრებული გემოგნებითაა შედგენილი.

წიგნის მაკეტი მხატვრის (ოთ.
ჯიშვარიანი) მიერ კარგადაა გადა-
წყვეტილი. წიგნის შიდა გვერდები
გაფორმებულია დეკორატიული ელე-
მენტებისა და ტიქსტის პარმონიული
შეხამებით. ორიგინალურადაა ჩაფიქ-
რებული როგორც ფერის, ისე კომ-
პოზიციის მხრივ სატიტულო გვერ-
დები. ყდაზე გამოყენებული ჭედურო-
ბა ქართული წიგნის გაფორმებაში
სიახლეა და ქართული პოლიგრაფი-
ის ტექნიკური მრწყინვალე ექს-
პერიმენტს წარმოადგენს.

რუსული კრებული „ლენინიანა“
მზადაა დასაბეჭდად. აგრეთვე გამო-
ვა თარგმანი ვ. მაიაკოვსკის ცნობილი
პოემისა „კარგია“, მ. დუდუჩიავას
ნაშრომი „ვ. ი. ლენინი და ესთეტი-
კის საკითხები“, გ. სამხარაძის „ლე-
ნინის სახე ქართულ პოეზიასა და
ფოლკლორში“.

გამომცემლობა „განათლებაში“ ღი-
რსშესანიშნავ თარიღს მიუძღვნა
ვლადიმერ ილიას ძე ლენინის წიგ-
ნი „აღზრდისა და განათლების შე-
სახებ“ და ნიკოლოზ მიხაილოვის სა-
ინტერესო მოგონებათა წიგნი „ჩვენ
მოსკოვებას სიზმრად თუ ვხედავთ“.
თარგმანი ეკუთვნის ვახტანგ პაიკი-
ძეს, რედაქტორია ხუტა ბერულავა,
მხატვრები — ლ. ქურდიანი და ზ.
დეისაძე. ნ. მიხაილოვმა ამ ნაშრო-
მის ქართულ გამოცემას დაურთო სა-
ქართველოსადმი, ქართველი ხალხი-
სადმი სიყვარულით გამსჭვალული
ბოლოსიტყვაობა: „ჩვენმა სამშობ-
ლომ მძიმე განსაცდელს გაუძლო ფა-
შიზმთან ომის დროს. კურთხეულია



ბედი საბჭოთა ქვეყნის ხალხებისა, რაკი თითოეული ჩვენგანის გულში ცოცხლობს უწმინდესი მეგობრობის გრძნობა, რაკი ჩვენს ცხოვრებას აცისკროვნებს საბჭოთა პატრიოტიზმის შუქი, რაკი ალექსანდრე პუშკინი და მიხეილ ღვრმონტოვი ისევე უნდართ საქართველოში, როგორც შოთა რუსთაველი და ილია ჭავჭავაძე რუსეთში“.

გამომცემლობამ დასაბეჭდად მოამზადა და მეოთხველები მალე მიიღებენ მოთხოვნებისა და მოგონებების კრებულს „მშობლიური და ახლობელი“.

დაქაბული შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული გამომცემლობა „მეცნიერება“-ში. 1969 წელს გამოვიდა ო. ბაკურაძის „ლენინი როგორც ფილოსოფოსი“, ნ. ცხაკაიას „გ. ი. ლენინი სოციალისტურ რევოლუციაში სუბიექტური ფაქტორის როლის შესახებ“, გ. გერძევაძის „ჯორჯ ბერკლისა და დავით ბიუმის იდეალიზმის ლენინური კრიტიკა“, ავტორთა კოლექტივის „ვ. ი. ლენინი და დიალექტიკური მატერიალიზმის პრობლემები“. 1970 წელს გამოვა ი. ტაბადუას „ვ. ი. ლენინი საფრანგეთში“ (დაწერილია საფრანგეთის არქივებსა და წიგნსაცავებში მოპოვებული მასალების საფუძველზე), მ. გაფრინდაშვილის „კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაზე ზოგიერთი საკითხი ვ. ი. ლენინის ნაშრომებში“ (წიგნში გადმოცემულია ვ. ი. ლენინის შეხედულებანი მსოფლიო და რუსული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების საკითხებზე), ავტორთა კოლექტივის „ვ. ი. ლენინი და ხელოვნება“, „ვ. ი. ლენინი და ლიტერატურის საკითხები“ და სხვ.

მკითხველმა მიმღე „ნაკადულის“ მიერ საიუბილეოდ გამოცემული ვ. მაიაკოვსკის პოემა „ვლადიმერი ილიას ძე ლენინი“. ვის არ ახსოეს რუსული პოეზიის დიდი ნოვატორის ეს პოემა, რომელიც მიქელ პატარიძეს ასე მშვენივრად უთარგმნია:

„დროა
და ვიწყებ

ვითარების ინიციატივის კანონი

ვ. ი. ლენინი

ვ. ი. ლენინი

1970 წლის 1 მარტი



მე ლენინზე ამბავის თხრობას
 არა იმიტომ,
 თოთქოს სულში
 ნაღველი ჩაქრა,
 დრო არის,
 რადგან
 მწუხარების ის მძაფრი გრძნობა
 ქცეულა ჩვენთვის
 ხელშესახებ
 ტკიფილად ახლა.

დროა,
 ლენინის ლოზუნგები
 და დროშა მაღლა!
 დროა, სად ჩვენ და
 სად ცრემლის გუბე?
 ათას ცოცხალზე
 ცოცხალია
 ლენინი ახლაც,
 ის ჩვენი ცოდნა
 ჩვენი ძალა,
 ფარი და შუბი“.

ეს კარგად გამოცემული წიგნი,
 რომელიც გამომცემლობამ მოსკოვ-
 ში დასტამბა, გემოვნებით გაუფორ-
 მებია მხატვარ თენგიზ სამსონაძეს.
 მისი რედაქტორია მურმან ლებანიძე.

ელენე დიმიტრის ასული სტასოვა
 რევოლუციური მოძრაობის ძველი
 მოღვაწე იყო. მრავალი წლის გან-
 მავლობაში იგი ვლადიმერ ილიას ძე
 ლენინის უშუალო ხელმძღვანელო-
 ბით მუშაობდა. თავის წიგნში „ასეთი
 იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“
 აგტორი აგვიწერს ვ. ი. ლენინთან
 შეხვედრებს. წიგნის თარგმანი ეკუთ-
 ვნის ლ. ბერიაშვილს.


დიდი სიყვარულით მოგვითხრობს
 ნ. ხოდა წიგნში „შეხვედრა ტყის პი-
 რას“ ყველაზე კეთილ, ყველაზე ჭიჭი-
 ან და ყველაზე ადამიანურ ადა-
 მიანზე.

„ნაკადულმა“ ამ წიგნების გამო-
 ცემით კარგი საჩუქარი მიუძღვნა
 მოსწავლებს.

გამომცემლობამ მოამზადა და მა-
 ლე გამოვა ლექსების კრებული
 „მსოფლიო პოეტები ლენინს“. დიდ
 ბელადს უმღერა მსოფლიოს მრავალ-
 მა პოეტმა.

ავსტრალიელმა უოლტონ ჯონ
 ბრაუნმა:

„იყო და იბრძოლა,
 დატოვა კვალი,
 დავდიგარ,
 შევხარი სიცოცხლეს მზიანს, —
 რუსეთში მრავალი ადგილი არის,



რომელსაც ლენინის
სახელი ჰქვია“.

აქსტრიელმა პუგო პუპერტმა:

„ილიჩის კუბოსთან
ტიროდა უველა,
ტიროდა თითქოსთან მზეც,
ვიდექით უძრავად,
ჟავშვების დარად
ლენინზე მოთქვამდით ჩვენც...
აკილდა სირენა,
დგას ორთქლმავალი და სტენს, —
ლენინი აზიდეს ხელებით მაღლა,
ხელებით გვეჭირა მზე.
წითელ მოედანზე
ზლვა იყო ხალხთა
არავინ არ მალვადა ცრევლს,
შეხედეთ პარტბილეთს...
ო, სწორედ იმ დღიდან
პარტიას ვეკუთვნი მეც“.

გერმანელმა ბერტოლტ ბრექტმა:

„მსოფლიო ოში,
რისხვის კვამლით დაბურულ დროში,
ძველ იტალიურ საპატიმროს,
პირქუშ სან-კარლოს
საკის კედელზე ამოცხვა
ტუსალა ჩხირით
უბრალო სიტყვა, რაც აღლვებს
ნათელ სამყაროს:
— დიდება ლენინს!“

ბულგარელმა დამიან დამიანოვმა:

„შენი ლიმილი მთელს პლანტას
ეყოფა,
ლენინ,
რათა ისწავლოს ჭეშმარიტი სიცილის
ფასი!“

ერაყელმა აბდალ-ჩვაჩაბ ალ-ბაითმა:

„ლენინ! იზრდება
თაობა ჩვენი
შენ რომ ნატრობდი
ისეთი, ლენინ!“
თურქმა ნაზიმ ჰიქმეთმა:
„და იმ მზით,
ჩვენ რომ გვიანდერდა ლენინმა მაშინ,
დღეს წინ მიგვიძლის ლენინური
ბრძენი პარტია.“

ფრანგმა პოლ ელუარმა:

„ლენინის სიტყვა! ო, უფრო მჭრელი
ჯერ კაცს მხვიდლი
ხელთ არ სჭერია
ტუშილად მოგაქვს, სიკვდილო, ცელი,
ლენინს სიკვდილი არ უწერია“.

კრებულში შესულია აგრეთვე ალ-ბანეთის, არგენტინის, ამერიკის,

ბრაზილიის, ინგლისის, ესპანეთის, იაპონიის, იტალიის, იუგოსლავიის, კანადის, მექსიკისა და მრავალი სხვა ქვეყნის გამოჩენილი პოეტების ლექსები. დაბეჭდილია რუსთის ცნობილი პოეტების ილია იონოვის, გასილ კამენსკის, ვასილ გნიაზვის, სემიონ კირსანვის, ნიკოლოზ კუზნეცვის, ლეონიდ მარტინოვის, სამუელ მარშაკის, ეგორ ნეჩაევის, ნიკოლოზ პოლეტავის, გენადი სერებრიანგის, მიხეილ სვეტლოვის, კონსტანტინე სიმინვის, სერგო სმირნივის, ალექსეი სურკოვის, ალექსანდრე ტვარდოვსკის, ნიკოლოზ ტიხონივისა და სხვათა ლექსები. გამოქვეყნებულია ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რესპუბლიკის პოეტთა ნაწარმოები. ლექსები თარგმნეს ცნობილმა ქართველმა პოეტებმა: ორ აბაშიძემ, გ. კალაძემ, გ. აბაშიძემ, ხ. ბერულავამ, თ. ჭილაძემ, ჯ. ჩარგვიანმა, მ. ფოცხიმილმა და სხვებმა. კრებულში შეტანილია აგრეთვე ქართველი პოეტების ლექსები.

გამომცემლობა „ხელოვნება“ ჯერ თავისი არსებობის ერთ წელსაც არ ითვლის და უკვე რამდენიმე კარგი წიგნით გაახარა მყითხველი. იგი უ. ი. ლენინის საიუბილეო თარიღს უძღვნის ოთ. ეგაძის წიგნს „ლენინის ბრძოლა ხელოვნების პარტიულობისათვის გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე 1912-23 წლებში“.

განსაპატიობით აღსანიშნავი ი ათბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოცემული საიუბილეო კრებული „თბილისის უნივერსიტეტი — ვლადიმერ ლენინს“, რომელშიც მოთავსებულია უნივერსიტეტის მეცნიერთა წერილები დიდი ლენინის ცხოვრებისა და მისი ძლევა-მისილი მოძღვრების შესახებ.

გამომცემლობა „საბჭოთა პარტია“ ღირსეულად ხვდება დიდ თარიღს. აღსანიშნავია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხ. აზვლედიანის წიგნი „საბჭოთა ხელისუფლების განარჯება აჭარაში“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პ. ცევიტარიას — „ლენინი — პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნელი და ხელმძღვანელი“, გ. შარაშიძის

— „აჭარის ისტორიულ-რევოლუციური ადგილები“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის დ. დიასამიძის გრცილი მონოგრაფია „სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის დაცვა, განვითარება და განხორციელება“, ფ. მახარაძის მონოგრაფია „აქტ ზამოარშიაც მოაქვთ ყვავილები“ და სხვ.

ლენინის იუბილეს მიეძღვნა და გასულ წელს გამოიცა მთელი რიგი საინტერესო წიგნები, რომლებმაც მკითხველი საზოგადოების ფართო აღიარება მოიპოვეს. ეს წიგნებია: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. სურგულაძისა და ს. ტაბაღუას — „აჭარა ლენინურ დოკუმენტები“, ნ. ნოღაიდელის — „ლენინის სახე აჭარის ხალხურ ზეპირსიტყვაობაში“, აჭარაში მომუშავე ქართველი პოეტების ლექსების კრებული „უკვდავება“ და სხვ.

გამომცემლობა „აღაშარა“ საიუბილეო წელს ბევრ საინტერესო წიგნს გვთავაზობს. აფხაზურ ენაზე ცალკალებ წიგნებად გამოვა ვ. ი. ლენინის ნაშრომები: „კოოპერაციის შესახებ“, „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“, „უშვობესიაცოტა და კარგი“, „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“.

გამოსცემის წიგნს „აფხაზეთის შერმელები ვ. ი. ლენინს“ (მასალების კრებული), რომელიც შეადგინა პროფესორმა გ. ძიძარიამ. აქ შესულია აფხაზეთის მშრომელთა წერილები და დეპეშები ვ. ი. ლენინისადმი.

გამოვა საინტერესო კრებული „აფხაზეთის მწერლები — ლენინს“, აგრეთვე ვლადიმერ მაიკოვსკის პოემა „ვლადიმერ ილიას ქე ლენინი“ აფხაზურ ენაზე.

დაიბეჭდა ძიძარიას ნაშრომი „ლენინი და აფხაზეთი“, სადაც განხილულია აფხაზეთის მშრომელთა ბრძოლა ლენინისმის დროშით. აქენა მასალები, რომლებიც მეტყველებინ ვ. ი. ლენინის დიდ ყურადღებას აფხაზეთში მომხდარი რევოლუციური გამოსცემისადმი. განხილულია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ზრდისა და განვითარების სახელმწიფო გზა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

მოსკოვში, პარკ სოკოლნიკში, გაიხსნება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის „საერთაშორისო გამოფენა.“ გამოფენის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი რესპუბლიკაც. ამის შესახებ აი რას აღნიშვნავს საქართველოს პავილიონის დირექტორი ირაკლი უგულავა: „ქართული წიგნი საერთაშორისო არენაზე პირველად 1967 წელს, დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე გავიდა. მაშინ საერთაშორისო გამოფენამ, რომელიც აგრეთვე „სოკოლნიკში“ იყო მოწყობილი, ბევრი გამოცდილება შეგვძინა. და აი, ჩვენი რესპუბლიკა მეორედ გადის წიგნის მსოფლიო პარადზე. როგორ მოვემზადეთ, რას წავიდებთ თან, რით დავიმშვენებთ ხელს, რას ვაჩვენებთ წიგნის აურაცხელ მოყვარულთ ჩვენი პლანეტის ყველა კუთხიდან?“

გამოფენისათვის მზადება დიდი ხანია მიმდინარეობს. ჯერ კიდევ შარშან შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც საქართველოს სსრ შინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის საბელმწიფო კომიტეტის თავმჯ-

